ჯვარი
მცენარეთა...

წიგნზე მუშაობდნენ:

შოთა იაშვილი, მარიამ კობახიძე, თორნიკე მეგრელიშვილი, თამთა მარღიშვილი, თეონა ფაცაცია, ანა ჭინჭარაძე, პაატა ყვავაძე, ვაკო მეტრეველი, თინათინ გოგრიჭიანი, ზვიად გელოვანი, გიგი აბრახამია, ზურაბ აბრამიძე, დეა როსტიაშვილი, ლაშა ჯაფარიძე, გვანცა ჩუბინიძე

სარედაქციო კოლეგია:

ნათია სიმონია
მაია ფირჩხაძე
დალი კირვალიძე-ტომარაძე

ტექნიკური უზრუნველყოფა:

ხათუნა მარაული
თეონა ნიკოლაიშვილი

ISBN 978–9941–0–8263-4

© ვ. ესვანჯიას სახელობის იტალიური სკოლა "ცისკარი", 2015

საქართველო, თბილისი, 0192, თ. ერისთავის 2ᵃ

www.italianschool.ge, info@italianschool.ge

უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის ილია II-ის საიუბილეო თარიღისადმი მიძღვნილი ქ. თბილისის ვ. ესვანჯიას სახელობის იტალიური სკოლა "ცისკრის" მოსწავლეთა 2013 წლის 29 მაისის სამეცნიერო კონფერენცია „ჯვარის მტვირთველის" მასალები

თბილისი
2015

საქართველოს ისტორიაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ქართულ ეკლესიას. გამორჩეული და ფასდაუდებელია ეკლესიის მეთაურთა, ქართველ მწყემსმთავართა ღვაწლი დედა-ეკლესიისა და მშობელი ხალხის მსახურებაში. მათ შორისაა უწმინდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპიკოპოსი და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი ილია II (შიოლაშვილი), რომლის საიუბილეო თარიღსაც - დაბადებიდან მე-80-ე და აღსაყდრებიდან 35-ე წლის იუბილეს მიუძღვნეს იტალიური სკოლის მოსწავლეებმა სამეცნიერო კონფერენცია "ჯვარის მტვირთველი". წიგნში კონფერენციის მასალებთან ერთად შევიდა მოსწავლეთა და მასწავლებელთა შემეცნებითი ხასიათის ნაშრომები რწმენის, თავისუფლების, ოჯახის, სკოლისა და ეკლესიის ურთიერთობების შესახებ და მოსწავლეთა და მასწავლებელთა შემოქმედება. მათში ნათლად აისახა უდიდესი პატივისცემა და მოწიწება იმ ადამიანთა მიმართ, რომელთა ცხოვრების გზაც ხიდია მიწიდან ცისკენ მიმავალი, რომლებიც წარმოგვიდგებიან როგორც მაგალითი თავდაუდებელი შრომისა, სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულისა და პიროვნული ღვაწლისა.

ვულოცავთ სრულიად საქართველოს საიუბილეო თარიღს და ქართველ მოსწავლეებს ვუსურვებთ ჭეშმარიტი იდეალების მსახურებისთვის მზადყოფნას.

მაია ფირჩხაძე
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი
იტალიური სკოლის პედაგოგი

მართლმადიდებლური ქრისტიანობა ქართველთა არჩევანი

“დიდხარ შენ, უფალო, და საკვირველ არიან საქმენი შენნი და ვერვინ შემძლებელ არს მადლის მიცემად საკვირველებათა შენთა”

ორიათასწლოვანი ისტორია აქვს ქართულ ეკლესიას. იგი იმდენივე ხნისაა, რამდენსაც მოითვლის თავად ქრისტიანობა. მართალია, მრავალი განსაცდელი გამოიარა ჩვენმა ქვეყანამ ამ ხნის მანძილზე, მაგრამ ღვთის შეწევნით დღემდე ურღვევლად მოიტანა მოციქულების მიერ საძირკველჩაყრილი ეკლესიის ლოცვა-კურთხევა. ეს შემთხვევითიც არ იყო: ეკლესიის დიდი მამები, ნამდვილი მწყემსმთავრები იდგნენ მეფეების გვერდით და მათ სიტყვას და აზრს ხალხი ერთგულად მიჰყვებოდა. ასეთად წარმოგვიდგება საქართველოს დღევანდელი მწყემსმთავარიც, რომელიც თანამედროვეობის უდიდესი პრობლემების ფონზე ერთგულად და დაუღალავად იღწვის საქართველოს ფიზიკური გადარჩენისა და სულიერი გაბრწყინებისათვის და

რომლის საიუბილეო თარიღიც - აღსაყდრებიდან 35-ე და დაბადებიდან მე-80-ე წლის იუბილეს ზეიმით აღნიშნავს ქართული საზოგადოება.

დღეს, ყურადღების გამახვილება და ხაზგასმა საქართველოს ეკლესიისა და ქრისტიანული რელიგიის როლზე, აუცილებელია, რადგან მართლმადიდებელ სარწმუნოებაში დევს ყველა ის საფუძველი, რომელმაც მნიშვნელოვნად განსაზღვრა საქართველოს სახელმწიფოებრიობის მიმართულება და ქართველი ხალხის მომავალი. ამ მომენტებზე ყურადღების გამახვილება მნიშვნელოვანია თუნდაც იმის გასარკვევად, თუ რა სიკეთე მოუტანა ჩვენს ქვეყანას ქრისტიანობის მიღებამ.

ვფიქრობთ, საკითხი კულტურული და პოლიტიკური პოზიციიდან უნდა შეფასდეს. თუკი კულტურული თვალსაზრისით შევხედავთ პრობლემას, მაშინ ეჭვგარეშეა, რომ ქრისტიანობამ გადამწყვეტად დადებითი როლი შეასრულა ჩვენი ერის ცხოვრებაში, მის სულიერ ჩამოყალიბებაში, რადგან ქრისტიანული რელიგიის მიღებამ და ქრისტიანული მსოფლმხედველობის შეთვისებამ საქართველო იმდროისთვის მოწინავე ბერძნულ-ბიზანტიურ სამყაროსთან დააკავშირა; ქრისტიანობა გახდა სწორედ ის ხიდი, რომლის მეშვეობითაც ქართულ სინამდვილეში შემოვიდა, დამკვიდრდა და განმტკიცდა ქრისტიანული ღვთისმეტყველება, ქრისტიანული ფილოსოფია და ქრისტიანული კულტურა.



ქრისტიანობასთან ზიარებამ საქართველოს საზღვრებს გარეთ ქართული კულტურის ცენტრების ჩამოყალიბება განაპირობა (ანტიოქიის შავმთაზე, ათონში, პალესტინაში, ბაჩკოვოში...). აქ ქართველ სწავლულებს ქართულ ენაზე გადმოჰქონდათ ბიბლია, ღვთისმეტყველური, ფილოსოფიური და მხატვრული ძეგლები – იმ დროისთვის ცივილიზებული მსოფლიოს საუკეთესო ფასეულობანი, ხოლო საქართველოში არსებული გელათისა და იყალთოს აკადემიების სახით, ფაქტობრივად, საფუძველი ჩაეყარა უმაღლესი სასწავლებლების ტიპის სამეცნიერო-სასწავლო დაწესებულებებს, სადაც ძირითადად ბერძნულიდან ქართულ ენაზე ითარგმნებოდა იმ დროისათვის უმნიშვნელოვანესი ღვთისმეტყველურ-ფილოსოფიურ-ლიტერატურული ძეგლები.

დაახლოებით ასეთია ქრისტიანობის როლი საქართველოსთვის კულტურის თვალსაზრისით. რაც შეეხება პოლიტიკურ შედეგებს: განუზომელია მისი მნიშვნელობა ქართველი ტომების გაერთიანებასა და ერთიანული ფეოდალური მონარქიის ჩამოყალიბებაში. სარწმუნოებამ შეადუღაბა ერთი წარმომავლობის,

საერთო ქართული კულტურის, ენისა და ტრადიციების მატარებელი ტომები, რომლებიც ოდესღაც დაიშალნენ და დაიქსაქსნენ ავბედობის გამო; ქრისტიანობა იყო ის საფუძველი, რომელმაც IX-XI საუკუნეებში დასავლური და აღმოსავლური ქართული პოლიტიკური ერთეულების გაერთიანებას ჩაუყარა საფუძველი და განაპირობა კიდეც ერთიანი ქართული ფეოდალური მონარქიის შექმნა. ქვეყნის პოლიტიკური გაერთიანების საფუძველი კი ეკლესიური ერთობა გახდა.



ქრისტიანობამ უდიდესი დადებითი მნიშვნელობა შესძინა ქართულ ენას – რადგან თუკი რელიგიური აღმსარებლობა სხვა ენაზე წარიმართებოდა, თუკი გაიყოფოდა სასულიერო და საერო ენა, მაშინ სულიერი გადაგვარება გარდაუვალი გახდებოდა. სულიერ გადაგვარებას კი უეჭველად სახელმწიფოებრივი დეგრადაცია მოყვებოდა.

ყოველივე ზემოთქმულის მიხედვით, შეიძლება ითქვას, რომ ქრისტიანობა იმთავითვე მოერგო ქართულ სულს და თანდათანობით იქცა ჩვენი სულიერების საფუძვლად. ვფიქრობთ, არ უნდა იყოს სადავო, რომ სწორედ ქრისტიანული რელიგიითა და ქრისტიანული მსოფლმხედველობითაა განსაზღვრული ზოგადად ქართული კულტურისა და ქართველი კაცის თავისებურება და სპეციფიკურობა.

“ქართველმა ხალხმა ამ რელიგიას ქართული ელფერი მისცა.. ეს იყო ქრისტიანობის ინდივიდუალიზაცია ქართველი ხალხის მიერ” (ნ.ბერძენიშვილი), ამიტომ ითვლება მართლმადიდებლობა ქართული ცნობიერების საფუძველთა საფუძვლად. სხვა ერის ისტორიაში არ მოიძებნება მსგავსი მაგალითი მართლმადიდებლობა და ეროვნულობა ერთმანეთთან ასე მჭიდრო ურთიერთკავშირში რომ იმყოფებოდეს ერთმანეთთან.

ყოველი ქართველის თვითშეგნებაში ქრისტიანობის ცნება მამულის სიყვარულთან ასოცირდებოდა: სარწმუნოებისათვის თავდადება მამულისათვის თავგანწირვას ნიშნავდა და პირიქით. ჩვენი წინაპრებს არჩეული გზა – ქრისტიანულ

რელიგიაზე ორიენტაცია – ხსნის ერთადერთ გზად მიჩნდათ. ამ გზამ და ორიენტაციამ ქართულ სინამდვილეში შვა მთაწმინდელები, დავით აღმაშენებელი და შოთა რუსთაველი, ანტონ ბაგრატიონი და დავით გურამიშვილი, სოლომონ დოდაშვილი და ნიკოლოზ ბარათაშვილი, ილია, აკაკი, ვაჟა, ივანე ჯავახიშვილი და ჩვენი ქვეყნის სხვა ბევრი გამოჩენილი მოღვაწე.

ფაქტია, ქრისტიანულ მენტალიტეტზე დაფუძნებულმა პოლიტიკურმა თვალთახედვამ საქართველო დღემდე მოიყვანა, შეიძლება ბევრი სირთულით, მაგრამ დღესაც არსებობს და სიცოცხლისუნარიანია. რა შეიძლება მოგვიტანოს ამ გზამ 21-ე საუკუნეში? მომავალში? შეიძლება თუ არა კვლავ გვყავდეს ასეთი მოაზროვნეები და სულიერი და პატრიოტული ღირსებით გამორჩეული ადამიანები? შეიძლება თუ არა მართლმადიდებლური ღირებულებები, ცნებები, კვლავ გახდეს ქართული საზოგადოების ცხოვრების ნამდვილი წესი? განვლილმა დრომ ხომ დაამტკიცა, რომ ეს ერთადერთი სწორი არჩევანი იყო?

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II ერთ-ერთ ქადაგებაში ბრძანებს: „ჩვენი ერის ისტორია, ჩვენი წარსული მთლიანად განსაცდელითაა სავსე. ადამიანის გონება ვერ სწვდება, როგორ გაუძლო ქართველმა ერმა ამდენ ავბედობას. ჩვენზე ძლიერი იყო მუდამ ჩვენი მტერი, მაგრამ ეს იყო ფიზიკური ძლიერება, ჩვენთან იყო ღმერთი, ჩვენთან იყო სიმართლე, ჭეშმარიტი სარწმუნოება. აი, ამით ვიყავით უფრო ძლიერნი, ამით ვძლიეთ მტერს, ამით გადარჩა ჩვენი ქვეყანა, ამიტომაა, რომ ჩვენ დღეს ვარსებობთ”.

და ჩვენი – თანამედროვე ქართველი ახალგაზრდების – იტალიური სკოლის მოსწავლეების პოზიციაც ეს არის: სწორი არჩევანი - ესაა გზა მართლმადიდებლური ქრისტიანობისკენ, რადგან მხოლოდ მას შეუძლია იაროს უშიშრად, გაუძლოს ჟამთა სიავეს, „ვინც არს უბიწო”, ვისაც არ „შეშლია” ქრისტეს სიყვარულში, ვისაც შეუძლია ქრისტესჯვრისტვირთვა, ვინც მზად არის მოყვასისადმი დაუღალავი სიყვარულისა და მსახურებისათვის!

ღმერთმა ნუ მოუშალოს საქართველოს ეკლესიას და მის მეთაურს ერისა და ბერის სასიხარულოდ ამ გზით სიარული!

შოთა იაშვილი, XII კლ

ნიკეის პირველი მსოფლიო კრება
და საქართველოს ეკლესია

საქართველოს ეკლესიის ისტორია ჩვენი დედა-ისტორიის განუყოფელი და მნიშვნელოვანი ნაწილია და მას განსაკუთრებული მისია აკისრია მომავალი თაობების აღზრდაში, საზოგადოების მორალურ-ზნეობრივი სიწმინდის დაცვაში, მომავლის სავალი გზების განსაზღვრაში. ეს გზა ორიათასი წლის წინ იღებს სათავეს და თუ დავდგებით ამ გზის დასაწყისში და თვალს გავადევნებთ უფალი ჩვენი იესო ქრისტეს მოციქულების მიერ საძირკველჩაყრილი ქართული ეკლესიის გზის სიგრძეს და სიგანეს და მასზე აღმართული ზეცად მიმავალი კიბის ყოველი საფეხურის სირთულეს, სიმაღლეს, სიმძიმეს და სიდიადეს, სწორად დავინახავთ და დავაფასებთ იმ მისიას და ღვაწლს, რომელიც აკისრია ამ გზის გამგრძელებელ საქართველოს ეკლესიის ამჟამინდელ პატრიარქს, რომლის მთავარი მიზანიც, ეკლესიისა და ხალხის მსახურებაა, გზაა როგორც კიბე - მიწიდან ცისკენ მიმავალი.

რა ვიცით ზოგადად ქართული ეკლესიის წინამძღოლთა შესახებ? როგორები იყვნენ ისინი? რა იყო მათი მთავარი საზრუნავი?

საეკლესიო ისტორიის გაცნობისას სასიამოვნო და საოცრად დამაფიქრებელია 325 წლის ნიკეის I მსოფლიო საეკლესიო კრებაზე მთელი მაშინდელი საქრისტიანო

მსოფლიოს წარმომადგენლების გვერდით ბიჭვინთელი ეპისკოპოსის სტრატოფილეს, როგორც მნიშვნელოვანი საეკლესიო ცენტრის მოძღვრის, მონაწილეობის ფაქტი. მართალია, დასავლეთ საქართველოს იმდროინდელი პოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, სტრატოფილე ეპიკოპოსი როგორც კაპადოკიისა და მასში შემავალი პოლემონის პონტოს ეპარქიის წევრი, ისე აღმოჩნდა კრებაზე მიწვეული, მაგრამ ამავე დროს იგი მთელი დასავლეთ საქართველოს სულიერ მეთაურადაც განიხილება საქართველოს ეკლესიის ისტორიაში და მისი მონაწილეობა ნიკეის პირველი მსოფლიო საეკლესიო კრების მუშაობაში ამითაცაა მნიშვნელოვანი.



როგორც ვიცით, ნიკეის კრებამ უდიდესი როლი შეასრულა ქრისტიანული რელიგიის შემდგომი ბედის განსაზღვრაში. მართალია, კრებამ მიიღო უმნიშვნელოვანესი აქტი - რწმენის სიმბოლო (მრწამსი), მაგრამ ეს მოხდა სამების ერთარსობის შესახებ აზრთა უდიდესი წინააღმდეგობის ფონზე, რომლის იდეური მეთაური ალექსანდრიელი მოძღვარი არიანე გახლდათ. მას ბევრი მომხრე ჰყავდა თვით ნიკეის კრების მონაწილე ეპისკოპოსებს შორისაც. ათანასე ალექსანდრიელის, იმდროინდელი კამათის რეალური მონაწილის და აქტიური პირის ცნობის თანახმად, კაპადოკიისა და პოლემონის პონტოს ეკლესიათა მესვეურები - ლეონტი კესარია-კაპადოკიელი და - მართლმადიდებლური მრწამსისანი იყვნენ და და კრებაზეც არიანელთა მოწინააღმდეგე დაჯგუფებაში შედიოდნენ. ბუნებრივია, სტრატოფილე ბიჭვინთელიც, როგორც მის მიერ ხელდასხმული სამწყსოს მეთაური, მართლმადიდებლური აღმსარებლობის იქნებოდა.

ვფიქრობთ, რომ ნიკეის კრებაზე ეკლესიისათვის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე გამართულ კამათში მონაწილეობამ საოცარი ბიძგი მისცა ქართული ეკლესიის გამბედაობასა და შეუპოვრობას, სიმტკიცესა და ჭეშმარიტების დაცვისათვის ბრძოლას. ყოველ შემთხვევაში ფაქტი ფაქტად რჩება - საისტორიო წყაროებში მოხსენიებულმა პირველივე საეკლესიო მეთაურმა საქართველოდან, კონკრეტულ შემთხვევაში დასავლეთ

საქართველოს ეკლესიის სიმბოლურმა მეთაურმა, ჭეშმარიტი რწმენისათვის

ბრძოლის გადამწყვეტ მომენტში ჭემშმარიტება დაიცვა და ამით, გარკვეულწილად, განსაზღვრა კიდეც მომავალში ქართული ეკლესიის მეთაურების სარწმუნეობრივი და პიროვნული პოზიცია - უბიწოდ და უშიშრად სიარული!

გავრცელებული თვალსაზრისით, IV საუკუნის 60-იან წლებამდე ნიკეაში მიღებულმა სიმბოლომ, რომელიც აღმოსავლურ კონსერვატიზმში მხოლოდ ოპოზიციას იწვევდა, ვერ მოასწრო და არც შეეძლო პრაქტიკულად შეეღწია ლიტურგიაში არიანელთა გავლენის გამო და, საერთოდ, ამ დრომდე ვერ მივუთითებთ ვერცერთ ძეგლს, რომელშიც სიმბოლურად აისახებოდა ნიკეის რწმენის გავლენის კვალი. როგორც აღვნიშნეთ, ამ შემთხვევაში გამონაკლისს ქმნის მხოლოდ IV საუკუნის სირიისა და დასავლეთ საქართველოს საეკლესიო ძეგლები, კონკრეტულად, წებელდაში

მოპოვებული IV საუკუნის ვერცხლის მედალიონი წარწერით -„ერთარსი ღმერთი, მშველელი შემწირველთა“ და ოქროს პატარა ჯვარი, ხოლო სირიის (ანტიოქია) ქრისტიანულ ძეგლებში გვხვდება: „ერთარსი ღმერთი, დამხმარე (მის) მოშიშართა“ და „ერთარსი ღმერთი-მფარველი (მის) მოყვარულთა“. ვფიქრობთ, რომ არ ყოფილიყო ამ ეკლესიის მესვეურთა ძალისხმევა, ჩვენს შემთხვევაში კი ბიჭვინითელი ეპისკოპოსების შეუპოვრობა, ჭეშმარიტი ქრისტიანობის დაცვა მოსახლეობაში გაჭირდებოდა.

ეს სიმტკიცე და შეუპოვრობა მთელი ისტორიის მანძილზე მიჰყვება ქართულ ეკლესიას და მის მეთაურებს. ასეულობით წლების შემდეგაც,

მიუხედავად მრავალი სირთულისა, თანამედროვე ეპოქაში მომძლავრებული სულიერი შიმშილისა, ათეიზმისა, მრავალრიცხოვანი ქრისტიანული ერესებისა და პოლიტიკური კატაკლიზმებისაა, რომელიც დიდ გავლენას ახდენს რელიგიურ ცხოვრებაზე,

საქართველოს ეკლესია და მისი ამჟამინდელი კათალიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი, ბიჭვინთისა და ცხუმ-ფხაზეთის მიტროპოლიტი ღირსეულად აგრძელებს მოციქულების მიერ საძირკველჩაყრილ და ნიკეის კრებაზე განმტკიცებულ გზას - „ის ვინც ვალს უბიწოდ, ვალს უშიშრად!“, რითაც სამაგალითონი არიან მომავალი თაობებისათვის.

მართალია, რთული პოლიტიკური ვითარების შედეგად, საქართველოს ეკლესიის მთლიანობასა და ურღვევობის აღსანიშნავად მიიღო უწმინდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა ილია II-მ „ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის“ წოდებულობა, მაგრამ ამით კიდევ ერთხელ აღინიშნა ჩვენი ერთიანობა და წარსულის ფასეულობა, ძირითადი ღირებულებების დაცვის აუცილებლობა!

ღმერთმა ნუ მოგვიშალოს ერსა და ბერს ამ გზით სიარული!

თორნიკე მეგრელიშვილი, XI კლ

საქართველოს ეკლესიის ისტორიის საკითხები

სიმტკიცე და შეუპოვრობა მთელი ისტორიის მანძილზე მიჰყვება საქართველოს ეკლესიას და მის მეთაურებს. ეს შემთხვევითიც არ იყო, რადგან, როგორც ეპისკოპოსი, კირიონი ბრძანებდა, "ქართველებმა არა მარტო გააქრისტიანეს თავიანთი საუკუნოვანი ეროვნული სარწმუნოება და დაამყარეს თავიანთი ცხოვრება ქრისტიანულ საფუძვლებზე, არამედ ქრისტიანობას მისცეს თავიანთი ეროვნული ხასიათის ნიშნები: ლმობიერება, გულითადობა, სითბო, უბოროტობა და მდგრადობაც".

ამიტომ იყო რომ ეკლესიის უფლებებისათვის ბრძოლაც, რომელიც V საუკუნეში დაიწყო, ყველაზე მამულიშვილურ, ეროვნულ საქმედ განიხილებოდა საქართველოში და მისთვის მებრძოლებიც არა მარტო დიდი პატივით, არამედ სამაგალითოდაც ითვლებოდნენ და მათ ღვაწლს არასოდეს ივიწყებდნენ.

ეკლესიის ავტოკეფალიის საფუძველი ქვეყნის პოლიტიკური დამოუკიდებლობაა - საეკლესიო და პოლიტიკური საზღვრები ერთმანეთს უნდა ემთხვეოდეს. V საუკუნეში ეკლესიის უფლებებისათვის ბრძოლის მეთაურად ქართლის მეფე ვახტანგ გორგასალი გვევლინება, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ქართული სახელმწიფოსა და ეკლესიის უმჭიდროეს კავშირს.



ვახტანგ მეფის ხელშეწყობით ქართლის პირველი კათალიკოსი პეტრე ანტიოქიაში იკურთხა და ამ აქტს მხარი დაუჭირეს ბიზანტიის იმპერატორმა და კოსტანტინეპოლის პატრიარქმაც. რაც მთავარია, ამ უდიდესი საქმის მონაწილე ოთხივე პირი მართლმადიდებელი სარწმუნოებისა იყვნენ.

პეტრე კათალიკოსიდან მოყოლებული ერთი საუკუნის მანძილზე კათალიკოსებად ბერძნები იგზავნებოდნენ ბიზანტიიდან, თუმცა VI საუკუნის მეორე ნახევრიდან ქართლის კათალიკოსის ტახტს უკვე ქართველები იკავებდნენ.

681 წლის მსოფლიოს VI საეკლესიო კრებამ მცხეთის კათალიკოსი აიყვანა იმავე პატივსა და ღირსებაში, რომელშიც მსოფლიოს სხვა მართლმადიდებელი

პატრიარქები იმყოფებოდნენ. ამასთანავე, ამ დროს ჩვენმა ეკლესიამ მცხეთაში დაიწყო წმიდა მირონის კურთხევა.

VIII საუკუნეში ანტიოქიის პატრიარქ თეოფილაქტეს (744-750) მმართველობის პერიოდში საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ საეკლესიო კანონიკის დაცვით ხელახლა მოიპოვა სრული ავტოკეფალია.

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის კანონიერებასთან დაკავშირებით XI საუკუნის 50-იან წლებში გიორგი მთაწმინდელი ორჯერ ეწვია კონსტანტინეპოლის, ანტიოქიისა და იერუსალიმის პატრიარქებს.

ანტიოქიის პატრიარქთან კამათისას გიორგი მთაწმინდელმა დაასაბუთა ქართული ეკლესიის

სამოციქულო წარმომავლობა - ვინაიდან ქართული ეკლესია ანდრია მოციქულის მიერ იყო დაარსებული, ამიტომ ივერიის ეკლესია პირველი საუკუნიდანვე სამოციქულოა და შესაბამისად ავტოკეფალური.

ამავე დროს მწვალებლობაში გიორგი მთაწმინდელი თავად ბერძნებს ადანაშაულებდა და მისი ბრალდება სავსებით არგუმენტირებული იყო: ,,იყო ჟამი რომელ ყოველსა საბერძნეთსა შინა მართლმადიდებლობა არა იპოვებოდა და იოანე გუთელი ეპისკოპოსი მცხეთას ეკურთხა ეპისკოპოსად, ვითარცა სწერია დიდსა სვინაქსარსა" .

ქართული სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის უფლებების დაცვა კიდევ ერთელ გახდა საჭირო, როცა 1811-1814 წლებში რუსეთმა გააუქმა მცხეთისა და აფხაზეთის უძველესი საკათალიკოსოები და 106 წლის განმავლობაში საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია საეგზარქოსოს სახით შედიოდა რუსეთის ეკლესიის შემადგენლობაში. ამით დაირღვა როგორც მოციქულთა და მსოფლიო საეკლესიო კრებათა დადგენილება, ასევე საქართველოს საეკლესიო კრებათა დადგენილებებიც.

ერის ღირსეული შვილები ხმას იმაღლებდნენ ქართველი ერისა და ეკლესიის უფლებების დასაცავად და ავტოკეფალიის აღდგენისათვის ბრძოლას ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის განუყოფელ ნაწილად თვლიდნენ [გაბრიელ ეპისკოპოსის, დიმიტრი ყიფიანის, ილია ჭავჭავაძის, იაკობ გოგებაშვილის, ექვთიმე თაყაიშვილის, ქრისტეფორე ციცქიშვილის, მღვდელმთავრები ლეონიდეს (ოქროპირიძე), გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი გიორგის (ალადაშვილი), გორის ეპისკოპოს ექვთიმეს (ოქროპირიძე), ალავერდის

ეპისკოპოსი პეტრეს (კენჭოშვილი) და სხვ.] ამ საქმეში განსაკუთრებით გამორჩეულია ეპისკოპოს კირიონის (სამაგლიშვილი) ღვაწლი.

ქართველმა ავტოკეფალისტებმა არაერთი პეტიცია გაუგზავნეს რუსეთის ხელისუფლებას და საერთაშორისო საზოგადოებას. ავტოკეფალიის აღდგენას მხარს უჭერდნენ რუსეთისა სახელმწიფო სათათბიროს ქართველი დეპუტატები და, ცხადია, ქართველი ისტორიკოსებიც. ივ. ჯავახიშვილი ხმამაღლა აღნიშნავდა, რომ არც სპარსელებს, არაბებს, მონღოლებსა და თურქებს არ გაუკეთებიათ ის, რაც რუსულმა ხელისუფლებამ და მისმა ექსარხოსებმა გაუკეთეს ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიას". რუსეთის იმპერიის დანგრევის შემდეგ 1917 წლის 12 მარტს, კვირას, მცხეთის საკათალიკოსო ტაძარში ეპისკოპოსმა ლეონიდე ოქროპირიძემ წაიკითხა უდიდესი მნიშვნელობის გადაწყვეტილება საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის შესახებ. მასში ხაზგასმით იყო მითითებული, რომ ქართული ეკლესიის ავტოკეფალია მსოფლიო საეკლესიო კრების დადგენილების გარეშე უკანონოდ იყო გაუქმებული, რისი უფლებაც არავის არ ჰქონდა.

ეპისკოპოსი ლეონიდე ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ ამბობდა: ,,12 მარტს მცხეთაში, სარწმუნოებრივი მონობის ბორკილების ნამსხვრევები გავაყოლეთ მტკვრისა და არაგვის ზვირთებს, ზღვის უფსკრულში სამუდამოდ დასამარხად. დღეს ჩვენი ეკლესია თავისუფალია. დღეიდან ქართველ ერს აღარა გადაეღობება რა, რომ მშობლის ენაზე ილოცოს და ადიდოს. ამით საქართველოს ეკლესია კიდევ ერთხელ იქცა საქართველოს პოლიტიკური დამოუკიდებლობის პირველ მერცხლად, მის მესაყვირედ.

კანონიერად არჩეული ეკლესიის მეთაურმა კათოლიკოს-პატრიარქმა კირიონ II-მ უპირველეს მიზნად დაისახა ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარება სხვა ეკლესიების მიერ, ეს მცდელობა განაგრძო უწმიდესმა ამბროსიმაც, რომელმაც წერილობით მიმართა კონსტანტინეპოლის, ანტიოქიის, იერუსალიმის, ალექსანდრიისა და სრულიად ეგვიპტის პატრიარქს.

1927 წლისათვის საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია აღიარეს რუსეთისა და ალექსანდრიის მართლმადიდებელმა ეკლესიებმა, ამასთანავე 1928 წელს ქართული ეკლესიის ავტოკეფალია აღიარა კონსტანტინეპოლის ეკლესიამაც. 1943 წლის ოქტომბერში რუსეთის ეკლესიამ აღიარა საქართველოს ეკლესიის ტერიტორიული ავტოკეფალიაც (საქართველოს სსრ-ს საზღვრებში) და ასევე საქართველოს ეკლესიის მეთაურის საპატრიარქო ტიტული და VI ადგილი მსოფლიო დიპტიხში.

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარების საქმეში თავისი წვლილი მიუძღვის კათოლიკოს-პატრიარქ ეფრემ (სიდამონიძეს), თუმცა XX საუკუნის 60-იან წლებში ზოგიერთმა ეკლესიამ (მაგ. პოლონეთის) ქართული ეკლესიის ავტოკეფალია აღიარა მხოლოდ დე-ფაქტოდ. აღიარება უჭირდა ელადის ეკლესიასაც.

ავტოკეფალიის აღიარება ახალი ძალით გააგრძელა და შეიძლება ითქვას, დიდი წარმატებითაც, მეუფე ილიამ, რომლის ღვაწლიც ამ მხრივ, მსგავსად წინა თაობებისა, სამაგალითოა ყოველი ქართველისათვის, ვისთვისაც სამშობლო და დედა-ეკლესია განუყოფელი ცნებებია.

როგორც ვხედავთ, კანონიერი უფლებებისათვის მებრძოლი ქართული ეკლესიის გზა ხანგრძლივი, რთული, მტკივნეული, მაგრამ შედეგიანი იყო. რა გრჩება ადამიანს ამ ისტორიის გაცნობის შემდეგ?

ჩვენი ღირსეული მამულიშვილების ღვაწლის დაფასების გარდა, გიჩნდება განცდა, რომ ის, ვინც მტკიცედ და შეუპოვრად იცავს სარწმუნოებრივ პრინციპებს და ემსახურება ძირითად ეროვნულ ღირებულებებს, აუცილებლად მიაღწევს მიზანს, რადგან მისი წარმატება ბიბლიური ჭეშმარიტებითაა განპირობებული: „რომელ ვალს უბიწოდ, იგი ვალს უშიშრად“!

თამთა მარღიშვილი, XI კლ

ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხისათვის

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საბოლოო აღიარებისთვის ბრძოლაში უდიდესი წვლილი მიუძღვის კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ს. იგი ჯერ კიდევ შემოქმედელი ეპისკოპოსი იყო, როცა 1963 წელს კუნძულ როდოსზე მართლმადიდებელ ეკლესიათა ფორუმი დატოვა პროტესტის ნიშნად, რადგან ისინი ოფიციალურად არ ცსნობდნენ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიას.

კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ის მოწვევით 1978 წლის 1-4 ივნისს თბილისში იმყოფებოდა მსოფლიო საპატრიარქოს დელეგაცია, რომელსაც ხელმძღვანელობდა ქალკედონის მიტროპოლიტი მელიტონი. საუბრები ქართული ეკლესიის ავტოკეფალიას ეხებოდა.

1979 წლის 2-8 მაისს კათოლიკოს-პატრირქი ილია II-მ სტამბულში კონსტანტინეპოლის მსოფლიო პატრიარქ უწმიდეს დიმიტრიოსთან შეხვედრაზე ხმამაღლა განაცხადა, რომ საქართველოს სამოციქულო ეკლესიის სურვილი იყო ერთხელ და სამუდამოდ მსოფლიო საპატრიარქოებს სათანადო პატივი მიეგოთ ქართული ეკლესიისათვის.

80-იან წლებში ინტენსიური მუშაობა მიმდინარეობდა ავტოკეფალიის აღიარების საკითხზე. ამ პერიოდში ძალზე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მართლმადიდებელი ეკლესიების მეთაურთა ვიზიტებს საქართველოში. აქ სტუმრად იმყოფებოდნენ: 1981 წელს პაპი და პატრიარქი ალექსანდრიისა ნიკოლოზ VI, იმავე წლის 17-20 სექტემბერს იერუსალიმისა და სრულიად პალესტინის პატრიარქი დიოდოროს (კარვალისი). ვიზიტის მიზანი იყო საქართველოსა და იერუსალიმის ეკლესიებს შორის ჯერ კიდევ მეოთხე საუკუნეში დაწყებული კონტაქტების აღდგენა.

დიპტიხში თავის კუთვნილ ადგილთან დაკავშირებით კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ წერილობითი მხარდაჭერა მოითხოვა და მის მოთხოვნას დადებითად გამოეხმაურნენ: სრულიად რუსეთის პატრიარქი უწმიდესი პიმენი (1982 წ. 29.IX), პრაღისა და ჩეხოსლოვაკიის მიტროპოლიტი დოსითეოსი (1982 წ. 16.VII), ბულგარეთის პატრიარქი მაქსიმე (1982 წ. 16.V), ალექსანდრიისა და სრულიად აფრიკის პაპი და პატრიარქი უწმიდესი ნიკოლოზ V (1982 წ. 1.IX).

1990 წლის 7 იანვარს სიონში წირვის დამთავრების შემდეგ საქართველოში სტუმრად მყოფმა მიტროპოლიტმა ქრიზოსთომოსმა ოფიციალურად გამოაცხადა მსოფლიო საპატრიარქოს გადაწყვეტილება საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორიული ავტოკეფალიისა და მისი მეთაურის საპატრიარქო ტიტულის აღიარების შესახებ. სიტყვების: „ვაღიარებ“ და „ვცნობ“ ნაცვლად ყველგან ეწერა „ვამტკიცებ“ და „ვაცხადებ“. ამასთანავე, ერთ-ერთი ბოლო მუხლის მიხედვით, საქართველოს ეკლესიას მირონი უნდა წამოეღო კონსტანტინეპოლის ეკლესიიდან. ისევ გაგრძელდა კამათი. ბერძენმა მიტროპოლიტმა საკუთარი ხელით ჩაასწორა, თუმცა აღნიშნა, რომ მირონის საკითხი ჩემს კომპეტენციას და ძალებს აღემატებაო. კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ მირონის საკითხზე მკაცრად განაცხადა: „საქართველოში არსებული ისტორიული საბუთების მიხედვით, მირონი უკვე VIII საუკუნიდან იხარშება. არსებობს ჰიპოთეზები, რომლებიც კიდევ უფრო ადრეულ ეპოქაში გადასწევენ ამ თარიღს... ეჭვიც არ მეპარება თქვენს სიტყვებში, მაგრამ უნდა მოგახსენოთ, რომ არც მე და არც დიმიტრიოს I და, საერთოდ, არცერთი ჩვენგანი უკვდავი არაა. მე შთამომავლობას ვერ დავუტოვებ საკამათო საკითხს. ვინ მაპატიებს, საუკუნეების წინათ მოპოვებული უფლება დღეს ერთი ხელის მოწერით რომ გავაუქმო?“.

3 მარტს კონსტანტინეპოლის რეზიდენციაში ქართული დელეგაცია მიიღო კონსტანტინეპოლის პატრიარქმა ყოვლადუწმიდესმა დიმიტრიოს I-მა. აღსრულდა პარაკლისი, რომლის შემდეგ კონსტანტინეპოლის წმიდა სინოდის მდივანმა არქიმანდრიტმა მელიტონმა წაიკითხა ტექსტები: 1. საქართველოს უწმიდესი მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის ცნობისა და მტკიცების სიგელი და 2. საქართველოს უწმიდესი ეკლესიის მეთაურისათვის საპატრიარქო ტიტულის ცნობისა და ბოძების საპატრიარქო და სინოდის განჩინება. საქართველოს ეკლესიის



მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე აღნიშნული ორი დოკუმენტის მიღებით საბოლოოდ იქნა აღიარებული კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს მიერ ისტორიული წყაროების საფუძველზე ქართული ეკლესიის სრული ავტოკეფალია და მისი მეთაურის საპატრიარქო ტიტული.

4 მარტს მართლმადიდებლობის დღესასწაულზე კონსტანტინეპოლისა და საქართველოს პატრიარქებმა ერთად აღასრულეს სადღესასწაულო ღვთისმსახურება.

კონსტანტინეპოლის წმიდა სინოდის მიერ დადგენილი ორი დოკუმენტით კონსტანტინეპოლის საპატრიარქო აღიარებდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიას, საქართველოს ეკლესიის მმართველობით ორგანოს - წმინდა სინოდს და მის თავმჯდომარეს.

ორივე დოკუმენტის მიღებისას გათვალისწინებული იქნა ისტორიული რეალობა. სწორედ უძველეს ქართულ და უცხოურ წყაროებზე დაყრდნობით აღიარეს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია და საპატრიარქო ტიტული.

1990 წელს ღიად დარჩა მხოლოდ დიპტიხის საკითხი. რადგან თავის დროზე

რომის ეკლესიის პირველი ადგილი კონსტანტინეპოლმა დაიკავა, რუსეთის მეფეს სურდა მისი ადგილი დაეჭირა ალექსანდრიის პატრიარქის შემდეგ, მაგრამ, უკვე არსებული წესით, დიპტიხში ალექსანდრიის საპატრიარქოს შემდეგ ანტიოქიისა და იერუსალიმის პატრიარქები იხსენიებოდნენ, ამიტომ აღმოსავლეთის პატრიარქებმა გადაწყვიტეს, რუსეთის პატრიარქის ადგილი დიპტიხში ყოფილიყო იერუსალიმის პატრიარქის შემდეგ.

ამრიგად, რუსეთის პოლიტიკური და ეკონომიკური სიძლიერის გამო აღმოსავლეთის პატრიარქებმა რუსეთის ეკლესიას დიპტიხში მეხუთე ადგილი მიანიჭეს, აღნიშნული ქმედებით მანამდე არსებულმა ეკლესიებმა დიპტიხში თითო ადგილით ზემოთ აინაცვლეს, მათ შორის საქართველოს ეკლესიამაც. დღეისათვის საბოლოოდ არ არის განსაზღვრული ქართული ეკლესიის ადგილი

მართლმადიდებელ ეკლესიათა დიპტიხში, რადგან რუსეთის ეკლესია მეექვსე ადგილზე იხსენიებს ქართულ ეკლესიას, კოსტანტინეპოლის, ალექსანდრიის, ანტიოქიისა და იერუსალიმის ბერძნული ეკლესიები კი მეცხრე ადგილზე, ბულგარეთის ეკლესიის შემდეგ.

2011 წლის 22-26 თებერვალს შამბეზში (შვეიცარია) გამართულ სრულიად მართლმადიდებლური მოსამზადებელი კომისიის სხდომაზე, რომელსაც საქართველოდან ესწრებოდნენ მიტროპოლიტი გერასიმე (შარაშენიძე), მიტროპოლიტი თეოდორე (ჭუაძე) და პროტოპრესვიტერი გიორგი ზვიადაძე,

განიხილეს საქართველოს ეკლესიის საფუძვლიანი თხოვნა, ყველა ადგილობრივი ეკლესიის დიპტიხში მისთვის კუთვნილი მეექვსე ადგილის მინიჭების შესახებ. მაგრამ საბოლოო გადაწყვეტილება კომისიამ ვერ მიიღო, ჩათვალა რა, რომ ამ ეტაპზე ადგილობრივი ეკლესიები ერთობლივ მოსაზრებებს ვერ ჩამოაყალიბებდნენ.

ავტოკეფალიის საბოლოო აღიარებით აღსრულდა ქართველი ხალხის დაუცხრომელი სურვილი და საქართველოს ეკლესიას დაუბრუნდა იგივე პატივი და ღირსება, რითაც საუკუნეების განმავლობაში სარგებლობდა. ამიერიდან აღარ იქნება მსჯელობისა და განსჯის საგანი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია, რაც

არაერთხელ მომხდარა ბერძენთა მხრიდან. ავტოკეფალიის საბოლოო აღიარების შემდეგ დაიწყო სულიერი ფერისცვალება ქართველ ხალხში, რომელიც მტკიცედ იცავს დიდი გიორგი მთაწმინდელის ნაანდერძევს: „ვინაიდგან ერთი ღმერთი გვიცნობიეს, არა სადა უარ-გვიყოფიეს.“

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარებით მნიშვნელოვნად გაიზარდა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სტატუსი და გავლენა მთელ ქრისტიანულ სამყაროში. თანამედროვე უცხოენოვან საინფორმაციო საშუალებებში ძირითადად დაფიქსირებულია ქართული ეკლესიის სამოციქულო წარმომავლობა და ავტოკეფალიის მოპოვების, გაუქმებისა და აღდგენის ძირითადი მომენტები.

საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ საფუძველი ჩაეყარა ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის საკონსტიტუციო შეთანხმებასაც (2002 წლის 14 ოქტომბრის შეთანხმება).

ავტოკეფალიისთვის ბრძოლამ საქართველოს სასულიერო ხელისუფლების საშინაო და საგარეო პოლიტიკურ ცხოვრებაში დიდი როლი შეასრულა: მან მრავალი მოღვაწე აღზარდა, გამოაწრთო და გარდა სულიერ-კანონიკური ზეამაღლებისა, დიდ ეროვნულ-პატრიოტულ სამსახურში ჩააყენა. და ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, განპირობებული იყო ქართული ეკლესიის ხასიათით - „რომელ ვალს უბიწოდ, იგი ვალს უშიშრად“!

მრავალჟამიერ ჩვენს პატრიარქს და ქართულ ეკლესიას!

თეონა ფაცაცია, XI კლ

გულზე წარუშლელად დაწერილი მოვალეობანი

ქართული ეკლესიის მწყემსთავრების და მათ შორის ჩვენი დღევანდელი პატრიარქის ღვაწლზე დაუღალავად შეიძლება საუბარი. ეს დამოკიდებულება არაჩვეულებრივად გამოჩნდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესი მელქისედეკ III- ის სიტყვებში, რომლითაც მან 1957 წელს ბერად ახლადაღკვეცილ ილია შიოლაშვილს მიმართა: “ათი შენისთანა რომ მყავდეს, საქართველოს ეკლესიას აღარაფერი გაუჭირდებაო” და იეროდიაკვნადაც დაასხა ხელი. მუხლჩაუხრელი შრომა დასჭირდა ილია შიოლაშვილს ამ სიტყვების გასამართლებლად, განსაკუთრებით კი მას შემდეგ, რაც 1963 წლის 23 აგვისტოს არქიმანდრიტი ილია ბათუმის წმიდა ნიკოლოზის საკათედრო ტაძრის წინამძღვრის მოადგილეობიდან შემოქმედელ ეპისკოპოსად აკურთხეს.

არქიმანდრიტი ილია შემოქმედელ ეპისკოპოსად კურთხევის ჟამს თავის სიტყვაში ხაზგასმით აღნიშნავდა ახალი პატივის მთელ სიმძიმეზე: “ჩემთვის ფრიად ძნელია, გამოვთქვა შინაგანი სულიერი განცდანი და მღელვარებანი, რომლითაც ვარ ახლა გარემოცული, ამ ჩემთვის მეტად საღმრთო და საიდუმლო ჟამს... მაგრამ მძიმე განცდების დროს მანუგეშებს და მამხნევებს ის მადლი ღვთისა, რომელიც უნდა გარდამოვიდეს ჩემს უძლურებას ზედა თქვენი საღმრთო მარჯვენის ხელდასხმით. მე მწამს, რომ ის, რომელიც არის დასაბამი და დასასრული ყოვლისა არსისა, ის, რომელიც გარდამოხდა ზეცით დაცემული კაცის აღსადგენად, შემაძლებინებს კეთილად წარვმართო ეს დიდი სამსახური... ღმერთი შეეწევა და გაუწევს მფარველობას იმ კაცს, რომელიც ღრმად მორწმუნეა და გული გამთბარი აქვს ღვთისა და კაცის სიყვარულით. ღმერთი მიანიჭებს სიბრძნეს და გულისხმაყოფასა მას, რომელსაც აქვს შიში ღვთისა. ამისთანა კაცზედ

იტყვის ბრძენი სოლომონი: „დასაბამი სიბრძნისა შიში ღვთისა არს“, ხოლო

მღვდელმთავარს მუდამ სჭირდება სიბრძნე ღვთიური, გონებით იყვეს ბრძენი და მაღალი, ხოლო ცხოვრებით _ უბრალო და მდაბალი. იყვეს ერთგული დარაჯი ქრისტეს ეკლესიისა, იყვეს შემოსილი უბიწო ცხოვრებით, ვითარცა ბრძანებს მოციქული პავლე. სიტყვისამებრ ბრძენი სოლომონისა, „რომელიც ვალს უბიწოდ, იგი ვალს უშიშრად“. ვხედავ რა ყოველივე ამაში შეურყეველს ნებას ღვთისა, თავმდაბლად მოვიხრი სულიერსა და ხორციელს ქედსა ჩემსა თქვენს წინაშე...”

შემოქმედის ეპარქიაში მეუფე ილია 1963–1967 წლებში მოღვაწეობდა, ხოლო 1967 წლის 1 სექტემბრიდან სრულიად საქართველოს კათოლიკოს– პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესი ეფრემ II-ის ლოცვა–კურთხევით, ეპისკოპოსი ილია გადაიყვანეს ცხუმ–აფხაზეთის ეპარქიის მმართველად. საქართველოს მართლმადიდებელ სამოციქულო ეკლესიაში ცხუმ–აფხაზეთის ეპარქია ერთ–ერთი ყველაზე რთული ეპარქია იყო. XIX ს-ში რუსეთის ხელისუფლებამ სცადა სოხუმის ეპარქიის საქართველოს საეგზარქოსოდან გამოყოფაც, მაგრამ აფხაზეთის ქართველობის წინააღმდეგობის გამო ეს ვერ მოახერხა. საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო

ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ ცხუმ–აფხაზეთის ეპარქიის რუსულმა სამრევლოებმა, რუსეთის ეკლესიის ხელშეწყობით, უარი განაცხადეს, დამორჩილებოდნენ საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის იურისდიქციას, საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქის მიერ დანიშნულ ცხუმ–აფხაზეთის ქართველ მღვდელმთავრებს. ვითარება კიდევ უფრო გართულდა XX საუკუნის 20–30–იან წლებში. მდგომარეობა დიდად არც 40-50-60-იან წლებში შეცვლილა.

ასეთი ეპარქია ჩაიბარა 1967 წელს ეპისკოპოსმა ილიამ. მეუფე ილიამ მოახერხა მრევლის შემოკრება. თუ მის მღვდელმთავრობამდე მხოლოდ 2 ქართველი სასულიერო პირი მოღვაწეობდა ეპარქიაში, 1975 წელს ისინი უკვე თორმეტნი გახდნენ. ეს იყო მეუფე ილიას შორს გამიზნული პოლიტიკა, ასეთ ვითარებაში აფხაზი სეპარატისტები ვერ მოახერხებდნენ ცხუმ–აფხაზეთის ეპარქიაში თავისი მიზნების განხორციელებას. 1969 წლის 17 მაისს უწმიდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქმა ეფრემ II-მ ეპისკოპოსი ილია

მიტროპოლიტის ხარისხში აიყვანა. 1972 წელს საქართველოს ეკლესიის წინაშე დიდი დამსახურებისათვის მან მიიღო მეორე პანაღიის ტარების უფლება, ხოლო 1975 წელს _ სკუფიაზე ბრილიანტის ჯვრის ტარების უფლება. მიტროპოლიტი ილია

საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის სახედ იქცა.

1977 წლის 16 ნოემბერს საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის წმიდა სინოდის სხდომაზე კათოლიკოს–პატრიარქის მოსაყდრე

მიტროპოლიტი ილია ერთხმად აირჩიეს სრულიად საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქად. საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის მეთაურს ეწოდა უწმიდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი ილია II.

25 დეკემბერს სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარში შედგა საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის 141-ე მეთაურის საზეიმო კურთხევა. ქართველი პატრიარქების ჯვარ-პანაღიები, საპატრიარქო გვირგვინი და კუნკულ-ბარტყული უწმიდესსა და უნეტარეს ილია II-ს მიართვეს მანგლელმა ეპისკოპოსმა გიორგიმ და ალავერდელმა ეპისკოპოსმა გრიგოლმა. ახლადარჩეულ პატრიარქს სიტყვით მიმართეს მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქმა, უწმიდესმა პიმენმა და ყოველთა სომეხთა პატრიარქკათოლიკოსმა ვაზგენ I- მა.

საზეიმო შეხვედრაზე პატრიარქი აღნიშნავდა, რომ „ჩვენი ეკლესიის საქმიანობა არ უნდა წარმოვიდგინოთ, როგორც რაღაც მხოლოდ მორწმუნე ხალხთან კარჩაკეტილობა. ჩვენ ყველაფერი უნდა გვწამდეს პროგრესული საწყისებით, ამისათვის ჩვენი ეკლესიაც უნდა იდგეს მთელ ხალხთან ერთად... რა თქმა უნდა, იოლი როდია ღვთისა და ერის წინაშე ვალის

მოხდა, მაგრამ განა შეიძლება რაიმე ტვირთის სიმძიმეზე ფიქრი მაშინ, როდესაც ვიცით, ეს ტვირთი ღვთისგან მივიღეთ? ამ ტვირთთან ერთად მოგვცა სასოება განგებამ. ყოველი ტახტი პატრიარქისა უნდა ემსახუროს ღმერთის დიდების საქმეს. ვიდრე ვიცოცხლებ, ჩემს თვალწინ იქნება ის თვალით უხილავი, მაგრამ რეალური ტახტი, რომელზეც დამსვა უფლის ძლიერმა მარჯვენამ. ჩემს გულზედ წერია ის

ვალდებულებანი, რომლებიც მისმა მოწყალებამ დამაკისრა და ბედნიერს მხდის იმაზე ფიქრი, რომ ყოვლად მაღალი მოწყალებით და ქრისტეს მოძღვრების მოყვარული ქართველი ხალხის თანადგომით, ყველაფერს გავაკეთებთ, რაც მაღალი ღმერთის მადლმა და ძალამ დამაკისრა“.

ახალი პატრიარქის არჩევისას თვალნათლივ ჩანდა საბჭოთა იმპერიის პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისი, მაგრამ ქრისტიანული სარწმუნოება კვლავ „წარსულის მავნე გადმონაშთად“ ითვლებოდა, ოფიციალურ საინფორმაციო საშუალებებშიც დიდი ადგილი ეთმობოდა ანტირელიგიურ თემებს.

ღვთის ნებით, ახალი პატრიარქის არჩევით საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ისტორიაში ახალი ერა დაიწყო. ახლადარჩეულმა პატრიარქმა პავლე მოციქულის სიტყვების სიბრძნე აირჩია გზამკვლელვად:

“რომელ ვალს უბიწოდ, იგი ვალს უშიშრად”!

ანა ჭინჭარაძე, X კლ

ეკლესიისა და ხალხის მსახურების სადარაჯოზე

ძალიან მძიმე იყო ე.წ. კომუნიზმის ეპოქა, ბევრი დევნა, ნგრევა და დამცირება აიტანა ეკლესიამ და სასულიერო პირებმა. რთული იყო ასეთ დროს და ასეთ პირობებში ეკლესიის მწყემსმთავრობაც. 60-70-იან წლებში ამას დისიდენტური მოძრაობა დაემატა, როცა ახალი თაობა ახალი იმედით შესცქეროდა საქართველოს ეკლესიის სათავეში მოსულ ახალგაზრდა პატრიარქს.

რით უნდა დაეწყო ახალგაზრდა პატრიარქს „სუდარაგადაფარებული ეკლესიის" აღდგენა – გამოცოცხლება, ან რით უნდა შეეწყო ხელი დაცემული ქართული სულის აღდგინებისათვის?

საამისო გეგმა ნათლად გამოჩნდა პატრიარქის პირველივე საახალწლო ეპისტოლეში: „სარწმუნოება – ამბობდა ახლადარჩეული პატრიარქი, - ეს ნათელია მშვიდობის გზაზე, სარწმუნოება თავადაა მშვიდობა და სასოება მარადიული, სარწმუნოება წყარო არის სიყვარულისა, რომელიც ამაღლებს კაცის გულსა და გონებას. იგი ხიდი არის, მიწიდან ცისკენ მიმავალი. დადექით მტკიცედ ამ ხიდზე... ჩვენ სიხარულით ვუჩვენებთ ყველას ამ ხიდისაკენ მიმავალ გზას, იმ საქმეთა ნუსხას, რომელიც უნდა აკეთოს მარადიულობისაკენ ამ ხიდით მიმავალმა ადამიანმა, მივუთითებთ ბედნიერების იმ ჭეშმარიტ წყაროზე, საიდანაც უნდა სვას სულისა და ხორცის მასაზრდოებელი ცხოველმყოფელი წყალი, დავეხმარებით სულიერი ამაღლების გზით იხილოს ის ნათელი, რომელიც მზისგან კი არ მოდის, არამედ რომლისგანაც მზემ მიიღო ნათელი თავად".



ამ მიზნის მისაღწევად კი გაჩნდა ჟურნალი „ჯვარი ვაზისა", ასე განახლდა და გაიხსნა ეკლესია-მონასტრები, მათ შორის „ქართველი ერის ავტოპორტრეტად" წოდებული სამების საკათედრო ტაძარი, ეკურთხნენ ახალი მეუფეები. შედეგი კი საოცარი იყო: თუ 1977 წელს 50–მდე მოქმედ ეკლესია–მონასტერში ღვთისმსახურებას ეწეოდა 7 მღვდელმთავარი და 80–მდე სასულიერო პირი, დღეისათვის 1500–ზე მეტ ეკლესიასა და 60–ზე მეტ მონასტერში მოღვაწეობს 37 მღვდელმთავარი და 2000–ზე მეტი სასულიერო პირი.



გამოცოცხლდა სამონასტრო ცხოვრებაც, განსაკუთრებული ყურადღება მიექცა საზღვარგარეთ არსებულ ძველქართულ სამონასტრო ცენტრებს. ახლო აღმოსავლეთში განთქმული იყო საბაწმინდის, სინას, ჯვრის, შავი მთის, ხოლო დასავლეთში _ ათონისა და პეტრიწონის მონასტრები. შუა საუკუნეებში წმიდა მიწაზე ქართველებს განსაკუთრებული პრივილეგიები ჰქონდათ _ გოლგოთაზე ქრისტეს საფლავის ეკლესიის კლიტენი მათ ეპყრათ და გაშლილი დროშებით ცხენზე ამხედრებულებს შეეძლოთ იერუსალიმში შესვლა.

მიუხედავად იმისა, რომ XV საუკუნეში ერთიანი საქართველო დაიშალა, სამეფოთა მეფე-მთავარნი საზღვარგარეთ ქართულ სამონასტრო ცენტრებს ყურადღებას არ აკლებდნენ. ჩვენმა პატრიარქმა ეს ტრადიციაც აღადგინა და გააგრძელა. მისი მიზანმიმართული საქმიანობით რეალობად იქცა XX საუკუნის ქართველ პატრიარქთა და საერო მეცნიერთა ოცნება - ჰქონოდათ კავშირი ათონის წმიდა მთაზე არსებულ ქართულ მონასტრებთან და იქ დაცულ ქართულ ხელნაწერებთან. დღეს ათონზე არაერთი ქართველი ბერი მოღვაწეობს.

უწმიდესისა და უნეტარესის სურვილით საქართველოში ჩამოაბრძანეს ათონის კარის ღვთისმშობლის ხატის ასლი.

უწმიდესი და უნეტარესი ასეთივე დიდი მონდომებით შეუდგა და ბევრი რამ გააკეთა იერუსალიმის მონასტრის დასაბრუნებლად.

უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ 1977–2007 წლებში მოილოცა საზღვარგარეთ არსებული ყველა ეკლესია–მონასტერი, სადაც კი ქართველებს უღვაწიათ, სადაც ქართული სიწმინდეებია დაცული, პატივი მიაგო ჩვენს სახელოვან და ისტორიის მიღმა დარჩენილ უსახელო გმირებს, რომელნიც ემსახურებოდნენ დედაეკლესიას, დედასამშობლოს. უწმიდესმა და უნეტარესმა მოახერხა დაკავშირებოდა 1927 წლიდან საქართველოს საპატრიარქოს იურისდიქციიდან გასულ პარიზის წმიდა ნინოს სახელობის ეკლესიის წინამძღვარ დეკანოზ ილია მელიასაც. აღდგა კონტაქტები კვიპროსთან, ბულგარეთში პეტრიწონის იგივე ბაჩკოვოს მონასტერთან.

საზღვარგარეთ ქართულ მონასტრებთან საუკუნეთა



მანძილზე გაწყვეტილი კავშირის აღდგენით პატრიარქმა საქართველოს სამოციქულო ეკლესიას ძველი სიდიადე და ქრისტიანულ აღმოსავლეთში გამორჩეული მისია დაუბრუნა.

საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია ისტორიულად ცნობილი იყო ქართველ წმინდანთა სიმრავლით. ჩვენი ეკლესია ღვაწლსა და

თავდადებას არ უკარგავდა არც სასულიერო და არც საერო პირებს. თაობები იზრდებოდნენ და იზრდებიან ქართველ წმინდანთა ცხოვრების მაგალითზე.

უწმიდესისა და უნეტარესის ლოცვა–კურთხევით, 1979 წლიდან საქართველოს საპატრიარქოში შეიქმნა სასულიერო და საერო მეცნიერთა კომისია, რომელსაც უნდა ემსჯელა საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის მიერ ახლო მომავალში წმინდანებად შესარაცხ პირთა შესახებ. ასე შეეძინა ქართულ ეკლესიას 1987 წელს „წმიდა ილია მართალი“, ხოლო 1995–2007 წლებში წმინდანებად შეირაცხნენ კათოლიკოსები: პეტრე I და სამოელი; კათოლიკოს–პატრიარქები: მელქისედეკ I, კირიონ II და ამბროსი (ხელაია); ქუთათელი მიტროპოლიტი ნაზარი და

სამღვდელო კრებული მისი; ეპისკოპოსები: ზოსიმე კუმურდოელი, ალექსანდრე (ოქროპირიძე), გაბრიელი (ქიქოძე); მიტროპოლიტები: დოსითეოზ ქუთათელი და ექვთიმე გაენათელი; იმერთა მეფე სოლომონ II, ცოტნე დადიანი, საქართველოს ეროვნული ღირსების დასაცავად მსხვერპლად შეწირული დიმიტრი ყიფიანი, ექვთიმე თაყაიშვილი; მღვდელ–მონაზონნი: თეოდორე აჭარელი, ილარიონ ქართველი, იოანე (მაისურაძე), გიორგი (მხეიძე), გრიგოლი (ფერაძე), ალექსი (შუშანია), ექვთიმე (კერესელიძე), კლარჯეთის უდაბნოს ღირსნი მამანი და დედანი, თევდორე კველთელი, წმიდა მოწამენი ქართველნი, სპარსეთში მოწყვეტილნი...

უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ წმინდანთა დასში შერაცხვით ხელახლა გააცისკროვნა მათი დიდნი საქმენი და გააძლიერა ზეციური საქართველო.



ამავდროულად დიდია პატრიარქის დამსახურება და ღვაწლი განათლებისა და მეცნიერების განვითარებაში, შუა საუკუნეების ტრადიციების აღორძინებაში:

გაიხსნა თბილისის სასულიერო აკადემია, აქვე გადმოვიდა მცხეთის სასულიერო სემინარიაც, ქუთაისში დაარსდა წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის სასულიერო სემინარია, აღდგა გელათის სასულიერო აკადემია და გელათის მეცნიერებათა აკადემიაც; სულიერების, მეცნიერებისა და კულტურის აღორძინება და განვითარებისათვის დაარსდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქის საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდიც.

2005 წელს უწმიდესი და უნეტარესი ილია II აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საპატიო აკადემიკოსად; საქართველოში სასულიერო განათლების აღორძინებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მსოფლიოს მართლმადიდებლურ სასწავლებლებთან კონტაქტებს, რომელსაც ასევე დიდი ყურადღება ეთმობა.

განუზომელია ჩვენი პატრიარქის ღვაწლი საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის საქმეში, იგი გვედრით ედგა ქრთველ ხალს 1989 წლის 9 აპრილს, სამოქალაქო დაპირისპირებისას, აფხაზეთსა და სამაჩაბლოში გამართული ომის დროს.

და, საერთოდ, თამად შეგიძლია ვთქვათ, რომ ჩვენი პატრიარქი 35 წლის განმავლობაში არ მოსცილებია თავის სამწყსოს ჭირსა და ლხინში, მტკიცედ, უშიშრად და უბიწოდ დგას ეკლესიისა და ხალხის სადარაჯოზე, რითაც სამაგალითოა თითოეული ჩვენგანისთვის.

გიგი აბრახამია, XI კლ
ვაკო მეტრეველი, X კლ

კაცთმოყვარეობა - რელიგიური მშვიდობის საფუძველი

საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია ისტორიულად, ქვეყნის გეოსტრატეგიული მდებარეობიდან გამომდინარე, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა განსხვავებულ რელიგიურ კონფენსიებთან ურთიერთობას,

რომელიც ურთიერთპატივისცემის პრინციპებს ეყრდნობოდა. შუა საუკუნეებში მონღოლების, ირანელებისა და ოსმალების წინააღმდეგ ბრძოლაში ქართველი მეფეები და კათოლიკოს–პატრიარქები ცდილობდნენ, დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან მოკავშირეობით განემტკიცებინათ სახელმწიფოებრიობა და დაეცვათ მართლმადიდებლური ქრისტიანული სარწმუნოება. ამ მიზნებს ემსახურებოდა ქართველ მეფეთა და კათოლიკოს–პატრიარქთა წერილები, გაგზავნილი რომაული კათოლიკური ეკლესიის მეთაურებისადმი. მათი მხარდაჭერა ძირითადად კათოლიკე მისიონერების გამოგზავნაში და საქართველოში რომეულ-კათოლიკური ეკლესიის მხარადაჭერაში

გამოიხატებოდა. მიუხედავად ამისა, XX საუკუნის ბოლომდე ურთიერთობა ამ ორ ეკლესიას შორის არ შეწყვეტილა, თუმცა იგი ძირითადად ეპისტოლარულ ხასიათს ატარებდა. მდგომარეობა შეიცვალა XX საუკუნის ბოლოს - 1999 წელს საქართველოს პრეზიდენტისა და

პატრიარქის მოწვევით საქართველოში ოფიციალური ვიზიტით ჩამოვიდა რომის პაპი. ამ შეხვედრამ კიდევ უფრო გააღრმავა და ფართო ხასიათი მისცა ქართული და რომაული ეკლესიის პოლიტიკურ და კულტურულ კავშირებს.

მრავალსაუკუნოვანია ქართველი და სომეხი ხალხების ურთიერთობა. VII საუკუნის დასაწყისიდან ქართულ და სომხურ ეკლესიებს შორის ევქარისტული კავშირის გაწყდა, ვინაიდან სომხურმა ეკლესიამ არ მიიღო 451 წლის ქალკედონის საეკლესიო კრების გადაწყვეტილებანი; მიუხედავად ამისა, ქართველი და სომეხი ხალხი შუა საუკუნეების განმავლობაში ერთად იბრძოდა უცხოელი დამპყრობლების წინააღმდეგ. საქართველოს ეკლესია ყოველთვის თვლიდა, რომ კონფენსიური სხვაობის მიუხედავად, სომხურ სამოციქულო ეკლესიასთან ნორმალური ურთიერთობა აუცილებელი იყო. ამის დასტურია XIX –XX სს. განმავლობაში ეჩმიაძინის (კილიკია), იერუსალიმის და კონსტანტინეპოლის სომხურ საეკლესიო ცენტრებთან ურთიერთობა.

ქართველ ხალხს ისტორიულად ახასიათებს სჯულშემწყნარებლობა და ტოლერანტობა, ეს ტრადიცია არ უნდა დავივიწყოთ და საზოგადოებამ, მეცნიერებმა, პოლიტიკურმა და რელიგიურმა მოღვაწეებმა უნდა შევინარჩუნოთ არსებული ურთიერთობები. ჩვენი ამჟამინდელი პატრიარქის და სომეხთა პატრიარქის ურთიერთობა ამის ნათელი დასტურია.

ისტორიულად საქართველო თავის თავს ევროპის ნაწილად მიიჩნევდა და მრავალი სირთულის მიუხედავად, თუნდაც რელიგიურ-კონფესიური სხვაობისა, ამას მაინც ახერხებდა. სრულიად საქართველოს პატრიარქი ილია II-მ მაშინ დაამყარა კონტაქტები ევროპის ქვეყნებთან, როდესაც საბჭოთა კავშირი ჩაკეტილი სახელმწიფო იყო და საზღვარგარეთის ქვეყნებთან ურთიერთობა _ საგრძნობლად შეზღუდული. 1979 წლის 15 იანვარს იამაიკის დედაქალაქ კინგსტონში უწმიდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქი ილია II არჩეულ იქნა ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს პრეზიდენტად. უწმიდესი და უნეტარესი ყველგან საუბრობდა საქართველოზე, მის ისტორიაზე, უძველეს სამოციქულო ეკლესიაზე. ამ შეხვედრებით მან მეგობრული ურთიერთობა დაამყარა მსოფლიოს მართლმადიდებელი ავტოკეფალიური ეკლესიების მეთაურებთან და მოიწვია ისინი საქართველოში. ამ შეხვედრებმა და პირადმა კონტაქტებმა გადამწყვეტი როლი შეასრულეს მართლმადიდებელ ეკლესიათა მიერ საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ისტორიული ავტოკეფალიის აღიარების საქმეში. უწმიდესი და უნეტარესი გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, საფრანგეთში, იტალიაში, შვეიცარიაში, ნიდერლანდებში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, ინგლისში

სხვადასხვა დროს შეხვდა პროტესტანტული, ლუთერანული, ანგლიკანური ეკლესიების მეთაურებს, ამ ქვეყნების პოლიტიკურ მოღვაწეებს, მეცნიერების, ხელოვნების წარმომადგენლებს. მისმა შეხვედრებმა ახალი სტიმული მისცა ევროპაში ქართველოლოგიური მეცნიერების განვითრებას. უწმიდესი და უნეტარესი სტუმრობდა აზიის ქვეყნებსაც. იგი შეხვდა და საქართველოს სამოციქულო ეკლესია გააცნო ეგვიპტის კოპტთა პატრიარქს შენუდა III-ს, მალაბარიის ინდოელთა მონოფიზიტ პატრიარქ –კათოლიკოსს ბასილ მართომა მათე I-ს, ეთიოპიის მონოფიზიტ პატრიარქს აბუნა თეკლე- ჰაიმანოტს, სირიელ იაკობისტთა პატრიარქს მარი იაკობ III-ს, აღმოსავლეთის მონოფიზიტ პატრიარქს მაქსიმე V-ს. უწმიდესმა და უნეტარესმა ქართული სტუმართმოყვარეობით უმასპინძლა საქართველოში საპასუხო ვიზიტით ჩამოსულ სხვადასხვა ქვეყნის რელიგიურ და პოლიტიკურ ლიდერებს, მეცნიერების, ხელოვნების თვალსაჩინო წარმომადგენლებს. საქართველოს, ქართველების შესახებ საინფორმაციო მასალებს ბეჭდავდნენ ევროპის, აზიის, აფრიკის, ამერიკის ქვეყნების წამყვანი გამოცემები.

ამის დასტურია კავკასიის მუსლიმანთა ლიდერის შეიხ ალახ შუქურ ფაშა ზადესა და უწმიდესი და უნეტარესი ილია II-ის მეგობრული ურთიერთობა, შეხვედრები ირანის ისლამურ რესპუბლიკაში პრეზიდენტ ჰათამთან და ირანის ისლამური რესპუბლიკის სულიერ ლიდერ ალი ჰამეინისთნ. პატრიარქმა შემდეგი სიტყვებით მიმართა ირანელებს: „ვფიქრობ, რომ ჩვენი ქვეყნების - ირანისა და საქართველოს - რელიგიური ლიდერები და სასულიერო მოღვაწენი, ჩვენი ხელისუფალნი და საზოგადოება მზად არიან, რათა მსოფლიოს ვუჩვენოთ მაგალითი იმისა, რომ რელიგიური განსხვავებულობისა და წარსულში დაპირისპირების მიუხედავად, შეგვწევს უნარი ურთიერთპატივისცემისა, უნარი მშვიდობიანი და მეგობრული თანაარსებობისა”.

1997 წლის 20 მაისს საქართველოს მართლმადიდებელმა სამოციქულო ეკლესიამ უარი თქვა ეკუმენურ მოძრაობაში მონაწილეობაზე და გამოვიდა ეკლესიათა მსოფლიო საბჭოდან. აამ ნაბიჯით ჩვენმა ეკლესიამ თავიდან აიცილა გლობალიზაციისათვის დამახასიათებელი ტენდენციების საეკლესიო სფეროში

შეჭრა და დაიცვა მართლმადიდებელი ეკლესიის სიწმინდე. ამით ჩვენმა პატრიარქმა და მასთან ერთად ქართულმა ეკლესიამ გააგრძელა დედა-ეკლესიის ტრადიციული გზა – გზა ჭეშმარიტების მსახურებისაკენ!

მართლაც რომ ამაზე უთქვამთ: „რომელ ვალს უბიწოდ, ის ვალს უშიშრად” – ო!

ღმერთმა ნუ მოგვიშალოს ამ გზით სიარული!

თინათინ გოგრიჭიანი, X კლ

ადამიანი - ხატება ღვთისა

ხატს უდიდესი მნიშვნელობა აქვს ადამიანის ცხოვრებაში, რადგან ხატი ღვთისა - ერთის მხრივ ღვთაებაზე, უფლის დიდებულებაზე, მის სრულყოფილებაზე უნდა მიგვითითებდეს, მეორეს მხრივ კი ღმერთს მიმსგავსებული ადამიანის შინაგან და გარეგან სულიერებას უნდა ასახავდეს. ეს კი, მოგეხსენებათ, არც ისე ადვილი გამოსახატავი თუ დასაწერია.



თავად სიტყვა "ხატი" (icon) მოდის ბერძნული სიტყვიდან "eikon". იგი ძველ აღთქმაშიც გვხვდება: "თქვა ღმერთმა: გავაჩინოთ კაცი ჩვენს ხატად..... შექმნა ღმერთმა კაცი, თავის ხატად შექმნა იგი, მამაკაცად და დედაკაცად შექმნა ისინი" [დაბადება 1:26-27]. რაც შეეხება ახალ აღთქმას, წმიდა მოციქული პავლე კოლასელთა მიმართ ეპისტოლეში წერს: "ვინც არის ხატი უხილავი ღვთისა..."-ო [კოლასელთა მიმართ 1:15]. ხატი, როგორც „ღვთისმეტყველება ფერებში“, აცხადებს და ფერში ხორცს ასხამს იმას, რასაც სახარება აცხადებს სიტყვით. ღვთისმსახურებისათვის ტაძარში შეკრებილი მართლმადიდებელი მორწმუნეები ხატებისა და ლოცვების მეშვეობით უკავშირდებიან ზეციურ ეკლესიას.

ისტორია მოგვითხრობს, რომ ხატების ეკლესიაში გამოყენების ტრადიცია ჯერ კიდევ ქრისტეს დროიდან მომდინარეობს, როდესაც წმ. მახარებელმა ლუკამ ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი დახატა ყრმა ქრისტეთი ხელში. იგი შემდეგ მსოფლიოს მრავალმა ეკლესიამ გადაწერა. ასევე არის ცნობა, რომ მოციქულსა და მახარებელს წმ. ლუკას დაუწერია მთავარანგელოზ მიქაელის ხატი ალექსანდრიის საკათედრო ტაძარში. ზოგადად ლუკა მახარებელის სახელს 100-მდე ხატის დაწერა უკავშირდება.

ხატს სათავე დაუდო ასევე ხელთუქმენლი ხატის

ტრადიციამაც, რომელიც, გადმოცემით, ქრისტემ ედესის მეფე ავგაროზს გაუგზავნა. მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატის გარდა, არსებობს ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხელთუქმნელი ხატიც, რომელიც წმინდა ქალწულის პირისახეზე მიდებით გამოისახა. იგი ღვთისმშობელმა თან გამოატანა საქართველოში საქადაგებლად წამოსულ ანდრია პირველწოდებულს. ეს ხატი დღესაც საქართველოშია და აწყურის ყოვლადწმნიდა ღვთისმშობლის ხატის სახელწოდებითაა ცნობილი.

ხატის უკეთ გაგებაში ეკლესიათა შემკობის ისტორია გვეხმარება, კერძოდ, ფრესკები და მოზაიკები. უძველესი ფრესკების ნახვა შეგვიძლია, მაგალითად, სახელგანთქმულ ათონის მთაზე, საბერძნეთში (თესალონიკი, მისტრა, იოანინა), მაკედონიაში (ოქრიდი, ნერეზი, კურბინოვო), სერბიაში (სტუდენიცა, დეჩანი, სოპოჩანი, გრაჩანიცა), ბულგარეთში (რილა, ივანოვო, სოფია), ვლახეთში და განსაკუთრებით მოლდავეთში (რუმინეთი), კვიპროსზე (ასინუ, ლაგუდერა, კაკოპეტრია), უკრაინაში (კიევის წმ. სოფია), რუსეთში (შობის ტაძარი სუზდალში), საქართველოში. მდიდრული მოზაიკების მაგალითებს ვხვდებით ვენეციაში, პალერმოში, ცეფალში.

თვითონ ხატის თემა კანონიკურად განისაზღვრება და არაა ხატმწერზე დამოკიდებული. როცა გამოვსახავთ წმინდანებს, გამოვხატავთ მათ ისე, როგორც ინახავს ეკლესია მათ თავის ცოცხალ მეხსიერებაში.

უძველესი ხატწერული ტრადიციების გამგრძელებლად ჩვენი პატრიარქიც გვევლინება. უწმიდესმა და უნეტარესმა დიდუბის ეკლესიის კედელზე თამარ მეფის ხატი შექმნა. წმიდა მეფე თამარის ოთხ ფრესკას, ეკლესიის კედელზე გამოსახულს, მიემატა მეხუთე - უწმიდესისა და უნეტარესი ილია II-ის მიერ შესრულებული.საქართველოს ძველ საპატრიარქო რეზიდენციაში უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ დაწერა წმიდა დიდმოწამე გიორგის ხატი, რომელიც ერთ-ერთი გამორჩეულია უწმიდესისა და უნეტარესის შემოქმედებაში. უწმიდესმა და უნეტარესმა შექმნა წმიდა მეფე ვახტანგ გორგასლის ხატი, რომელიც ხელოვნების, ხატწერის ბრწყინვალე ნიმუშია. ახოვან მეფეს ერთ ხელში დროშა უჭირავს, მეორეში - ეტრატი. უწმიდესისა და უნეტარესის მიერ არის შესრულებული წმიდა სამების ხატი, რომელზეც ამოტვიფრულია პატრიარქის მიერ შექმნილი ლოცვა: „სამებაო

დაუსაბამოო, მამაო, ძეო და სულო წმიდაო, დიდება შენდა! ყოვლადწმიდაო სამებაო,

შემოქმედო ცათა და ქვეყნისაო, სიმართლითა და მოწყალებითა განმგებელო ყოველთა დაბადებულთაო, მადლობა შენდა! შენ გიგალობთ, შენ გაკურთხებთ და მარადის თაყვანს გცემთ შენ, სამწმიდაო, ერთარსებაო, მამაო, ძეო და სულო წმიდაო, უფალო უფლებათაო, ღმერთო ძალთაო, და გევედრებით შენ, სიყვარულო და სასოებაო ჩვენო, გარდამოიხილე ზეცით და იხილე, და მოხედე ვენახსა ამას, და დაამტკიცე ესე, რომელ დაასხა მარჯვენამან შენმან, ამინ".

არ არის ადვილი, მრავალსაუკუნოვან ტრადიციებს ფეხი ისე აუწყო, რომ ამ მხრივაც მისაბაძი აღმოჩნდე მრავალთათვის. აქ არ შეიძლება კიდევ ერთხელ არ გაგვახსენდეს პავლე მოციქულის სიტყვები: „რომელ ვალს უბიწოდ, იგი ვალს უშიშრად”.

მის უწმიდესობის დამსახურებაა საქართველოში ტიხრული მინანქრის, ჭედური ხელოვნების ისტორიული ტრადიციის აღორძინება. ფოკის დედათა მონასტრის ტიხრული მინანქრის სკოლით, დედათა მიერ შესრულებული ნამუშევრებით ნებისმიერი ერი იამაყებს.

ხატწერისგან განსხვავებულია პორტრეტული ხელოვნება, რადგან ნახატი მხატვრის აზრის მატერიალიზაციის, სამყაროს მისეული ხედვის გადმოცემის ცდაა. ამ მხრივაც გამორჩეულია ჩვენი პატრიარქი - მისი უწმიდესობის შემოქმედებაში დიდი ადგილი უკავია სახელოვანი წინაპრების პორტრეტებს. შიოლა ღუდუშაურს მიუძღვნა მან როგორც სკულპტურული ნამუშევარი, ასევე ფერწერული ტილოც.

შევცქერით რა ჩვენი პატრიარქის მიერ დაწერილ ხატებს, სადაც ეს უძველესი კანონიკური ტრადიციები მთელი სიმძაფრით განაგრძობენ არსებობას, ასევე მის უმშვენიერეს პორტრეტულ ხელოვნებას, არ შეიძლება არ გაგვიჩნდეს განცდა - „ადამიანი ხატია ღვთისაო”.

ზვიად გელოვანი, X კლ

”ვუგალობდეთ უფალსა”

ადამიანი ხატია ღვთისაო და ღმერთს მიმსგავსებული ადამიანის შინაგან სულიერებას საოცარი ძალით გამოხატავს ლოცვა და საგალობელი.

წმ. ბასილი დიდი ამბობდა, წმიდა სულმა იცოდა, რაოდენ ძნელია ადამიანის მოდგმის სათნოებასთან ზიარება და ამიტომ დოგმატურ სწავლებას მელოდიით ტკბობა შეუერთაო, რათა ადამიანებს უფრო მსუბუქად, ყურისათვის სასიამოვნოდ, ლამის შეუმჩნევლად აღექვათ სიტყვების არსი. ამიტომ იყო, რომ გალობა „მართლმადიდებლობითა მიერ ღმრთის მეტყველებად” მიიჩნიეს (სულხან-საბა), და მტკიცედ დაამკვიდრეს საეკლესიო მსახურებაში. გალობა რწმენის განმტკიცების აუცილებელ პირობად მიაჩნდა წმ. პავლე მოციქულსაც და ადამიანებს მოუწოდებდა საკუთარი თავისთვის ღვთის სიბრძნე ფსალმუნებით, ჰიმნებითა და

სასულიერო ჰანგებით ჩაეგონებინათ. სახარების მიხედვით, პირველი ქრისტიანული საგალობელი დედამიწაზე ანგელოზებმა შობის ღამეს ჩამოიტანეს (ლუკა 2, 12-13). ხოლო ქრისტიანულ ლიტურგიაში გალობის გამოყენება თავად მაცხოვრის კურთხევით დადგინდა. გავიხსენოთ საიდუმლო სერობა, რის შემდეგაც იესომ და მისმა მოწაფეებმა ,,გალობა წარსთქუეს და განვიდეს მთასა მას ზეთისხილისასა” (მათე 26,30).

არ არსებობს ზუსტი ცნობა იმის შესახებ, თუ რომელ საუკუნეში შეიქმნა ქართული გალობის პირველი ნიმუში, თუმცა მისი გამორჩეული თვისება სამხმიანობაა. ქართველები გალობის ფორმით ვამბობთ: ღმერთი ერთია, მაგრამ სამპიროვანი, სამი ჰიპოსტასისაგან შემდგარი. ქართულ მრავალხმიან გალობაში სამი პირი ერთ სათქმელს ამბობს სხვადასხვანაირად, მაგრამ ერთ ნებასა და სურვილს გამოხატავს და, ამავე დროს, თითოეულს თავისი ინდივიდუალური თვისებები არ ეკარგება.

VI საუკუნის ცნობილი საეკლესიო მოღვაწის საბა განწმედილის ანდერძი გვამცნობს, რომ ,,ივერიელებს და ასურელებს ნება არა აქვთ ჟამისწირვა შეასრულონ თავიანთ ეკლესიაში. აქ მათ შეუძლიათ წარმოთქვან ჟამნობა, შეასრულონ სამხრობა, წაიკითხონ თავიანთ ენაზე სამოციქულო და სახარება”. IV საუკუნეში, ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებისას, ქართული ღვთისმსახურება ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესში იყო. შესაბამისად ნაადრევია საუბარი ამ ეპოქაში ორიგინალური ქართული გალობის არსებობაზე. სულ სხვა სურათს აღწერს

X საუკუნის მოღვაწე გიორგი მერჩულე ,,გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში”: ,,ქართლად ფრიადი ქუეყანაი აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულისა ენისათა ჟამი შეიწირვის და ლოცვაი ყოველი აღესრულების, ხოლო კირიე ელისონი



ბერძნულად ითქუმის, რომელ ამას ქართულად ,,უფალო წყალობა ყავ”, გინა თუ ,,უფალო შეგვიწყალენ’’. რამდენადაც გრიგოლ ხანძთელის პერიოდში სრული ღვთისმსახურება ქართულ ენაზე მიმდინარეობდა, ბუნებრივია, მისი შემადგენელი მუსიკალური ნაწილიც ეროვნულ საწყისებზე იქნებოდა დაფუძნებული.

ცნობილია, რომ ღირსმა მამამ შიო მღვიმელმა ჯერ კიდევ VI საუკუნეში შექმნა ღვთისმშობლისა და ყოვლადწმინდა სამებისადმი მიძღვნილი საგალობელი "ოხითა", თუმცა ქართული საგალობლის აყვავების ხანა IX_XII საუკუნეებია. ცნობილია ისიც, რომ ამ პერიოდის ქართულ ეკლესია_მონასტრებთან (როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ) არსებულ სასულიერო სემინარიებსა და აკადემიებში დიდი ადგილი ეთმობოდა საეკლესიო გალობის სწავლებას. XII საუკუნის საქართველოს უკვე თავისი კომპოზიტორებიც ჰყავდა. ცნობილი ქართველი მეცნიერი ივანე ჯავახიშვილი წერს: ,,საგალობლის სიტყვების თარგმნა თუ შეთხზვა და მისთვის საგანგებო ჰანგების დაწერა, თუ ამაზე უწინარეს არა, მაინც და მაინც XII საუკუნის დამდეგს უკვე სხვადასხვა სპეციალობად ყოფილა ქცეული. ამ დროს საქართველოს უკვე ჰყოლია ისეთი პირები, რომლებიც მხოლოდ ჰანგსა თხზავდნენ. სიტყვიერი შემოქმედების ნაწარმოებისთვის ჰანგის ამნაირს

შეთხზვას მაშინ ხმისა დადებაი და ასეთი სამუშაოს დაწყებას ხმისა დადების ხელყოფაი ჰრქმევია”. ქართული საგალობლის განვითარება დაკავშირებულია ისეთი დიდი მოღვაწე მამების სახელებთან, როგორებიც არიან არსენ იყალთოელი, იოანე

ზოსიმე, იოანე მინჩხი, მიქაელ მოდრეკილი, იოანე მტბევარი, ექვთიმე და გიორგი მთაწმიდელები.

აღსანიშნავია, რომ უფლისადმი საგალობლებს არა მარტო სასულიერო პირები, საქართველოს მეფეებიც ქმნიდნენ. ქართველთა წმინდა მეფემ, დავით აღმაშენებელმა ქართული ჰიმნოგრაფია ორიგინალური საგალობელით "გალობანი სინანულისანი" გაამდიდრა.

საგალობელი "შენ ხარ ვენახი" კიდევ ერთ ქართველ მეფეს, დავით აღმაშენებლის ვაჟს, დემეტრე პირველს ეკუთვნის. ის ერთიანი საქართველოს მეფე გახლდათ, ხოლო ღვთისმშობლის საგალობელი კიდევ ერთმა მეფემ, წმინდანად შერაცხულმა თამარმა მიუღძვნა.

XII საუკუნის შემდგომ ომებით იავარქმნილ საქართველოში საეკლესიო მუსიკაზე ზრუნვამ ლოკალურ გარემოში გადაინაცვლა. ქართული საგალობლის ფენომენი ცალკეული მგალობლების და დაინტერესებული პირების წყალობით შემორჩა ისტორიას.

XIX საუკუნეში სამოციანელთა მოძრაობის პარალელურად ქართული გალობის აღდგენა-ჩაწერაზე დაიწყეს ზრუნვა. ქართული გალობის მოამაგეების მღვდელ-მონაზონ ექვთიმე კერესელიძის, დეკანოზ ბასილი კარბელაშვილის და მისი ძმის პოლიევქტოსის, ფილიმონ ქორიძის და სხვების ძალისხმევით ქართული გალობა მივიწყებას გადაურჩა.



საქართველოს მართლმადიდებელმა სამოციქულო ეკლესიამ XIX-XX საუკუნეებში ურთულესი პერიოდები გაიარა. ავტოკეფალიის გაუქმებისა და ეგზარქოსობის ხანაში ქართული წირვა-ლოცვა, გალობა რუსულმა შეცვალა. ერთეული ადამიანების თავგანწირვის წყალობით გადარჩა ქართული საგალობლების



ნოტები, მაგრამ მუსიკათმცოდნეები მათ, როგორც ისტორიულს, ისე აღიქვამდნენ და ფიქრადაც არავის მოსდიოდა, რომ ეს უნიკალური ქართული საგალობლები კვლავ გამოეყენებინა. უწმიდესი და უნეტარესი ილია II პატრიარქად აღსაყდრების პირველი დღეებიდანვე შეუდგა ქართულ საეკლესიო საგალობლებზე ზრუნვას. ამ საქმეში მას დაეხმარა დიდი მუსიკალური ნიჭი და გატაცება. მისი უწმიდესობა აღნიშნავს: „მუსიკა ბავშვობიდანვე მიყვარდა, როგორც ამბობდნენ, საუკეთესო სმენა მქონდა. რა თქმა უნდა, ყველაზე საამო ჩემთვის ქართული საგალობლების მოსმენაა. ამასთანავე, საათობით შემიძლია ვიჯდე და ვუსმინო კლასიკურ მუსიკას. გამორჩეულად მიყვარს მოცარტი, ფალიაშვილი. ღმერთმა ყველა ერს მისცა სიყვარულის მადლი, მათ შორის - ჩვენც, ქართველებს, რომელიც, პირველ რიგში, ჩვენს უძველეს ხალხურ სიმღერასა და საეკლესიო გალობაში ჩანს. ქართული გალობა არის სიყვარული უფლისადმი, ხოლო ქართული სიმღერა - სიყვარული მოყვასისადმი, მუსიკაში აჟღერებული და გადმოცემული“.

2003 წლის 18 აგვისტოს, ურბნისისა და რუისის ეპარქიაში შედგა წმ. სინოდის კრება, რომელიც მიეძღვნა დავით აღმაშენებლის მიერ მოწვეულ რუის-ურბნისის საეკლესიო კრების 900 წლისთავს. წმიდა სინოდმა იმსჯელა ქართული საეკლესიო გალობის შესახებაც და განაჩინა, რომ ”ამა თუ იმ ხალხისათვის გალობა, ისევე როგორც ენა, წარმოადგენს თვითმყოფადობის გამომხატველ უმნიშვნელოვანეს საშუალებას. აქედან გამომდინარე, ისტორიულ ტრადიციებზე დაყრდნობით ვაცხადებთ, რომ საქართველოს მართმადიდებელ ეკლესიაში კანონიკური გალობა იყო და არის მრავალხმიანი ქართული ტრადიციული გალობა. მისი აღსრულება სავალდებულოა ყოველ ქართულ ტაძარში და ყველგან, ქართულ ენაზე აღვლენილი ღვთისმსახურების დროს”.

უწმიდესისა და უნეტარესის ლოცვა-კურთხევით, ძველი ქართული საგალობლების შესრულება დაიწყო ჯერ სიონის, შემდეგ - ანჩისხატის ტაძრებში. ამჟამად საქართველოს ყველა ეკლესია-მონასტერში აღდგა ძველი ქართული საგალობლების თანხლებით წირვა-ლოცვა. უწმიდესსა და უნეტარესს ეკუთვნის ბრწყინვალე საგალობლები: „გიხაროდენ, ფრიად მშვენიერო“, „მოდი ჩემთან,

უფალო“, „უფალო იესო ქრისტე“, „წმიდაო ღმერთო“, „მამაო ჩვენო“, „მრწამსი“, „დიპტიქი“, „მიცვალებულთა კვერექსი“, „ჩემი ვედრება“.

2007 წლის 4 მარტს მისი უწმიდესობისა და უნეტარესობის მოსკოვში ოფიციალური ვიზიტის დროს მაცხოვრის საკათედრო ტაძარში სამების საკათედრო ტაძრის მგალობელთა გუნდმა შეასრულა „კირიეელეისონ“. რუსეთის პატრიარქმა უწმიდესმა ალექსი II-მ სთხოვა მის უწმიდესობას, იქნებ ამ უძველესი და ულამაზესი საგალობლის ნოტები გვიშოვოთო. რაოდენ დიდი იყო მისი გაოცება, როდესაც შეიტყო, რომ ამ საგალობლის ავტორი უწმიდესი და უნეტარესი ილია II-ა.

ქართული მრავალხმიანი საგალობლების დაცვასა და განვითარებას ემსახურება მისი უწმიდესობის ლოცვა-კურთხევით სამების საკათედრო ტაძართან შექმნილი ქართული საგალობლების უმაღლესი სკოლა, რომელიც ნიჭიერ ახალგაზრდებს საშუალებას აძლევს, ღრმად დაეუფლონ ქართულ გალობას. ამ საქმიანობითაც ჩვენი პატრიარქი წარმოგვიდგა როგორც ქართული ეკლესიის საუკუნოვანი ტრადიციების ნამდვილი ღირსეული გამგრძელებელი. მისი ასეთი დამოკიდებულება წარსულის, მშობლიური კულტურის, ეკლესიის მიმართ ნამდვილად დასაფასებელია, ეს უკანასკნელი კი - როგორც უდიდესი პასუხისმგებლობა საქმის, უფლის, სამშობლოს მიმართ, მართლაც რომ შესაშური და მისაბაძია ყოველი ჩვენგანისათვის.

საგალობელთან ერთად პატრიარქი საკუთარ ლოცვებსაც აღავლენს უფლის წინაშე. სხვა რომ არაფერი ვთქვათ მისი უწმინდესობის ღვაწლის შესახებ, ეს ლოცვები სრულ წარმოდგენას გვიქმნის იმ ადამიანზე, რომელიც დღეს დგას ქართული ეკლესიის სათავეში, მასში ჩანს ის უდიდესი სათნოება, სიყვარული და მოწიწება უზენაესის მიმართ, შემოქმედის მიმართ, რომელიც მხოლოდ დიდი რუდუნებითაა მისაღწევი და შესაძლებელი:

ეს ლოცვა უწმინდესმა და უნეტარესმა დაწერა სინას მთის წმ. ეკატერინეს მონასტერში,

ხოლო წარმოთქვა სინას მთის წვერზე, სადაც უფალმა მოსე წინასწარმეტყველს ათი მცნება უბოძა:

„მამაო ჩვენო, - დიდება შენდა!

ძეო ღმრთისაო, - დიდება შენდა!

სულო წმიდაო, - დიდება შენდა!

ყოვლადწმიდა სამებაო, ერთარსებაო, შემოქმედო და განმგებელო ორსავ სამყაროსაო, - დიდება შენდა!

ვითარ ვთქვა ქება მე უღირსმან და გლახაკმან შემკობად შენდა; გონება ჩემი და გული ჩემი ვერ შემძლებელ არს გამოთქმად დიდებისა შენისა. გარნა გვედრი,

მიითუალე იგი, ვითარცა უმეცარი სიტყუა ყრმისა მშობლისა მიმართ. ბაგითა ჩემითა მით ცოდვილითა, ღმერთო ჩემო, შენ შეგღაღადებს ერი ჩემი, შენს მიერ შეყვარებული.

უფალო ჩემო, შენ გიგალობენ სერაფიმნი და ქერუბიმნი, მთავარანგელოზნი და ანგელოზნი, ურიცხვნი ძალნი ზეციურნი. მე რა ვთქვა, როგორ შეგასხა ქება? ან რა საქმენი გიჩვენო; ოდეს ღვაწლითა თვისითა განბრწყინდნენ წინასწარმეტყველნი, მოციქულნი, მოწამენი, მღვდელმთავარნი, ღირსნი მამანი და ყოველნი სხვანი წმიდანნი შენნი?

ვითარ სახელ გსდვა? არა უწყი. დამიდუმდა ენა ჩემი წინაშე დიდებისა შენისა. ვიცი ოდენ, რომ ჩვენთანა ხარ და არა განგვეშორები, რომ ხარ დაუსაბამო და უსასრულო სიყვარული, რომ თბილა შენთან და გარეშე შენსა არა არს ცხოვრება ჩვენი.

წმიდაო, წმიდაო, წმიდაო, უფალო საბაოთ, სავსე არიან ცანი და ქვეყანაი დიდებითა შენითა! დიდებაი შენი, ვითარცა სიყვარული შენი, დაუტეველი შენში, ეფინება ყოველსა ქმნულსა შენსა. და ჩვენც მდაბალნი ზიარებულნი მადლსა შენსა დიდებისასა ვმაღლდებით უფალო, ვიწმიდებით, მამაო ჩვენო.

მსგავსად წმიდისა მამისა ჩვენისა იოანე ოქროპირისა, მე, ცოდვილი მონა შენი, ილია II, ყოველთა ქართველთა სახელით ვხმობ: „დიდება და მადლობა შენდა ყოვლისათვის“, გადიდებ შენ, რომელი ყოველგან ხარ, რომელი ხარ ჩვენთან და რომლისა წიაღშიც ვართ ჩვენ, გადიდებ შენ, რომელმან სავანედ თვისსა აღირჩიე გული ჩვენი და მუნითგან გვსწავლი და გვწვრთნი, ვითარცა ასწავებდი მოსეს და ელიას ქორების წმიდასა მთასა ზედა.

გადიდებ შენ და გმადლობ შენ, მოწყალეო, რამეთუ გვქმენ მსგავსად შენდა, რამეთუ მოგვანიჭე ენა ქართული და რწმენა ჭეშმარიტი, სიყვარული ღმრთისა და სიყვარული მოყვასისა, მოგვფინენ ნათელი გონებისა და ჭეშმარიტებაი მეცნიერებისა!

გარნა რაი არს ჭეშმარიტი? ადამის მოდგმა დასაბამიდან ეძიებდა მას. ერნი მრავალნი, ჩვენზე ძლიერნი, მოსწყდნენ და აღიხოცნენ პირისაგან მიწისა მის ძიებაში. ჩვენზე მოიღე მოწყალება სახიერო და გამოგვიცხადე თავი შენი, და ოდეს კაცობრიობას მოუვლინე ძე შენი საყვარელი, უფალი ჩვენი იესო ქრისტე, შენი კურთხევით, შენი წყალობით ერმა ჩემმა ისმინა მისი, შეისისხლხორცა მცნებანი მისნი შენგნით ბოძებულნი, სიყვარულით იტვირთა უღელი მისი ტკბილი და ტვირთი მისი სუბუქი. ამისთვის გმადლობთ შენ, რამეთუ მოძღვრავდი და მოძღვრავ

ხალხსა ჩემსა, ატარებ რა მას გზითა მით შენითა იწროითა, ვითარცა ატარებდი ერსა ისრაელისასა უდაბნოთა შინა.

გმადლობ მამაო უფალო, რამეთუ გვრწამს და აღვიარებთ, სულსა წმიდასა შენგნით გამომავალსა, სულსა, რომელი ყოველგან არს და ყოველსავე აღავსებს მადლითა შენითა; რომელი არს უძლურთა მკურნალი, დაცემულთა საყრდენი, ნაკლულევანთა სრულმყოფელი. გმადლობ შენ, წმიდაო სამებაო, აღმავსებელო ჩვენო ძალითა შენითაო.

და კვლავ გმადლობ შენ, ღმერთო ჩემო, იმ მრავალთა წყალობისათვის, რომელი გარდმოავლინე, თავსა ზედა ჩემსა, რომე დამადგინე მოძღვრად ერისა შენისა ივერიისა. ხოლო დღეს მონა შენი ცოდვილი ღირს მყავ ხილვად წმიდისა მთისა ამისა და თაყვანისცემად დიდისა სიწმიდისა მისისა.

„ითხოვდით და მოგეცეთ თქვენ, ეძიებდით და ჰპოვოთ, ირეკდით და განგეღოს თქვენ“, - ბრძანებს მაცხოვარი და იტყვის ესე: „რასაცა ითხოვდით მამისაგან სახელითა ჩემითა, გეყოს თქვენ“. მამაო სახიერო, გევედრები სახელითა ძისა შენისათა, ნუ განეშორები ერსა ჩვენსა, შეცოდებათა გამო ჩვენთა; მოგვიძიენ ვითარცა მამაი მოიძიებს ძესა თვისსა წარწყმედულსა; შეგვინდევ ურწმუნოებაი, გულფიცხობაი, ამპარტავნებაი, შური და ვერცხლისმოყვარებაი, გეაჯებით, აღხოცენ ცოდვანი ჩვენნი და განკურნენ სულნი ჩვენნი ვნებულნი. მოგვმადლე, სარწმუნოებაი ჭეშმარიტი, ძალი წყლისა და ძლიერებაი ცეცხლისა, აღგვავსე მადლითა ყოვლადწმიდისა სამებისა, სარწმუნოებასა და სიყვარულსა შინა შენსა, სულიერად განამტკიცე მთავრობა ჩვენი, გვაკურთხე მშვიდობითა, უფალო, მოგვფინე სული სიწმიდისაი, თავმდაბლობისაი და მოთმინებისაი.

განამრავლენ შვილნი და შვილთა შვილნი ჩვენნი, გული წმიდაი დაბადე მათ შორის, სული წრფელი განუახლე გვამსა მათ შინა.

აკურთხე გვირგვინი ქორწინებულთა და სიყვარულითა განამტკიცე კავშირი მათი, ცოდვანი სიჭაბუკისა და უმეცრებისანი შეუნდევ და ნათელ ჰყავ მომავალი მათი.

სრულასაკოვანთა მიჰმადლე გული ბრძენი და მოწყალე, გონება საღი, რათა გიცნან შენ და აღასრულონ ნებაი შენი.

მხცოვანთა წელნი აკურთხენ სიმშვიდითა. განამრავლენ მოდგმა მათი, ცხოვრება მათი სათნო ჰყავ, რათა უშფოთველად შეერთონ საუკუნეთა.

გევედრები უფალო, განუნათლე გონება მეცნიერთა, მწერალთა და ხელოვანთა ჩვენთა. დალოცე საქმე მათი, რათა იქმნას ნაღვაწი მათი საკეთილოდ ქვეყნისა, რათა შრომითა თვისითა გემსახურონ შენ, ემსახურონ ერსა შენსა ივერიისასა.

დალოცე ჩვენი მშრომელი ხალხი, ყოველი მაშვრალი და ტვირთმძიმე. ჩვენთა დიდთა წინაპართა რწმენა, სიყვარული და სიწმინდე მიანიჭე მათ.

ღმერთო, განამტკიცე და განაძლიერე ჩვენი წმიდა სამოციქულო ეკლესია და მღვდელმსახურნი მისნი, ყვენ იგინი ნათელ ერისა, აღადგინე ტაძარი და მონასტერნი ჩვენნი და შეგვკრიბე საფარველსა ქუეშე შენსა.

გარნა რა გთხოვო, უფალო, მათთვის, რომელნი უარგყოფენ შენ, რომელნი ვლენან გზასა ცთომილთასა? გეაჯები, შეიწყალენ იგინი, მოაქციე და მრევლსა შენსა შეუერთე: „რათა იყოს ერთ სამწყსო და ერთ მწყემს“.

მერმეცა გევედრები ღმერთო, რათა მოიხსენო სასუფეველსა შენსა სულნი ქართველთა მოღვაწეთა სინას მთისათა, გევედრები, რათა მოიხსენო მეფენი და დედოფალნი ჩვენნი, მამამთავარნი, კათოლიკოს-პატრიარქნი, სამღვდელო და სამონაზვნო წესით აღსრულებულმი, პატიოსანი შრომით დაღლილნი, აღმშენებელნი ტაძართა და მონასტერთა, ბრძოლის ველზე მოწყევტილნი და ყოველნი შვილნი შენნი ქართველნი. დალოცე სავანენი ზეციურისა საქართველოისა, შეუნდე შეცოდებულთა და იხსენ ტანჯვისაგან, მოჰფინე მათ ნათელი შენი და სიყვარული შენი.

მუხლმოდრეკილი აღვავლენ ლოცვებს, უფალო, მშვიდობისათვის სოფლისა, რათა სუფევდეს ქვეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება: მამაო წმიდაო, გეაჯები, შეისმინე ლოცვისა ჩემისაი და დაგვიფარე ჩვენ!

დასაბამო და მიზეზო ყოვლისაო, არსთაგამრიგეო, სავსე დიდითა წყალობითა შენითა კვალად ვხმობ: „დიდება შენდა, უფალო, დიდება მენდა! დიდება შენდა შემოქმედო ჩვენო, მწყალობელო ჩვენო, დიდება შენდა! დიდება შენდა, ღმერთო ერისა ჩვენისაო, რომელმან დაწერე სახელნი ჩვენნი წიგნსა მას ცხოვრებისა კრავისასა!

„მე ვარ ანი და ჰოე, იტყვის უფალი ღმერთი, რომელი არს და, რომელი იყო და, რომელი მომავალ არს, ყოვლისა მპყრობელი“ (გამოცხადება 1,8) მოვედ ჩვენთანა უფალო, და გვაცხოვნენ ჩვენ ღმერთო ჩვენო, ამინ!“

დეა როსტიაშვილი, X კლ
ზურაბ აბრამიძე, XI კლ

დავაფუძნოთ განათლება ბიბლიაზე...

ეკლესიის ისტორიისა და მის მოღვაწეთა ცხოვრების გაცნობით ჩვენ ვსწავლობთ კიდეც ქრისტიანულად ცხოვრებას. და ეს ახალი ცხოვრება არის ეკლესია. მასში ჩვენ, „აწ შეწყალებულნი“ (1პეტ. 2,10), ვქმნით ღმრთის ერს, რომელიც სწირავს ღმერთს მადლობასა და ძღვენს, ღმრთის საქმეს აღასრულებს ამქვეყნად, მოწმობს გამოხსნაზე და იზრდება ჭეშმარიტებისა და მადლის შემეცნებით. ასეთი ცხოვრებისათვის კი სწავლა-განათლება აუცილებელი პირობაა.

განათლება-ნათლით ავსებაა, ნათელს -უფალი გვაძლევს და იგი უფლის ის ნათელია, რომელიც ღვთისგან ენიჭება ადამიანს და აძლევს შესაძლებლობას, დაინახოს ირგვლივ მყოფი სამყარო და მასში მიმდინარე მოვლენების ჭეშმარიტი არსი.

რადგან უფლისგან მოწოდებული ნათელის მთავარი აზრი - ბოროტის დამარცხებაში და სიკეთის გამარჯვებაშია, აქედან გამომდინარეობს ეკლესიის ხასიათიც, ამიტომ ეწოდება მას მებრძოლი ეკლესია - იგი ნათელი სწავლებით წინ აღუდგება ბოროტს და დაამარცხებს მას, უშიშრად აღუდგება ნათლის საწინააღმდეგო წესებით ცხოვრებას. ამ მებრძოლ ბუნებას ეკლესიისას ახალი აღთქმის საძირკველშივე - ბიბლიაში - ვხედავთ, საიდანაც საერთოდ მომდინარეობს ძირითადი ქრისტიანული ღირებულებები. განსაკუთრებით ცხადად ქრისტიანობის მებრძოლი ბუნება იოანეს გამოცხადებაში განცხადდა, როდესაც ღმერთი, ქრისტე, თეთრტაიჭოსან ზეციურ მხედრად წარმოდგა კაცობრიობის წინაშე (იოანეს გამოცხადება. 19. 11-15). ქართული ცნობიერების საფუძველი ქრისტიანულ ღირებულებათა პრიორიტეტია, სულიერის მატერიალურზე მაღლა დაყენებაა, ღვთის და ერისათვის თავგანწირვა და მარტვილობაა. იგი მიყვება რწმენის სწორ, მართლმადიდებლურ საძირკველს და ამიტომ მასში მკვეთრადაა გამოხატული ქრისტიანობის მებრძოლი ხასიათი და მისი ე.წ. მიქაელური ასპექტი - ქართული ცნობიერების ხატი ხომ ბოროტების წინააღმდეგ ამხედრებული წმინდა გიორგია, ამიტომ ვხედავთ მას საქართველოს გერბზე. ეს კი მოწამეობრივი იდეალის მსახურებაა, მებრძოლი სიკეთეა, მებრძოლი ქრისტიანობაა.

განათლებამ უნდა მიგვაახლოს ზნეობრივი წარმატების იმ იდეალთან, რომელიც მაცხოვრის სიტყვებში ასეა გამოხატული: „იყვენით თქვენ სრულ, ვითარცა მამაი თქვენი ზეცათაი სრულ არს“ (მათ. 5,48). მაგრამ ასეთი სწორი შემეცნებისთვის უმთავრესი როლი სკოლამ და განათლების სისტემამ უნდა შეასრულოს, ისეთი მეთოდები უნდა შეარჩიოს, რომ გზის გაგნება გაუადვილდეს მოსწავლეს. ცოდნით შეირაღებული ადამიანი ძლიერია და მას ამ ცოდნის შეძენის რეალური საფუძველი უნდა ჰქონდეს.

რადგან სწავლა-განათლებას, ისევე როგორც სიცოცხლეს, უფალი გვანიჭებს, ამიტომ მხოლოდ ღვთის სიტყვის შესწავლის საფუძველზეა შესაძლებელი აღზრდა-განათლების სწორი წარმართვაც. ასეთი განათლების მოსალოდნელი შედეგი ასეა წარმოდგენილი ბიბლიაში: „აჰა მოვა უფალი ღმერთი ძლიერებით და იხელმწიფებს მისი მკლავი, აჰა საზღაური მასთანაა და მის წინაშეა გასამრჯელო და როგორც მწყემსი, დამწყსის თავის ფარას“ (ესაია 40,10-11). მხოლოდ ღვთის სიტყვით განათლებულები იქნებიან უფლის ფარა და მათი ცხოვრებაც იქნება მშვიდი და სათნო.

სად ვეძებოთ ასეთი საგანმანათლებლო სისტემა? რა გზით მივაღწიოთ ამას?

როგორც ვიცით, ქრისტიანული აღზრდის აუცილებლობას ყველა აღიარებს, მასზე ბევრს წერენ, მაგრამ ქრისტიანული განათლების ფორმები და მეთოდები გამოკვეთილი არაა. აქ ალბათ აუცილებლად უნდა გავიხსენოთ, რომ ცხოვრების მართლმადიდებლური გზა საეკლესიო ტრადიციების შემოქმედებითი აქტუალიზაციაა; როდესაც არ მივყვებით ამ გზას, ცნობით თუ უმეცრებით ვშორდებით მართლმადიდებლობას. იქნებ მასში, მართლმადიდებლურ ტრადიციაში მოვიძიოთ სწორი გზისთვის საჭირო განათლების მეთოდები? აქ, რა თქმა უნდა, არ

იგულისხმება სწავლების იმ მეთოდების მექანიკური აღდგენა, რომლებიც სხვა ისტორიულ ეპოქაში გამოიყენებოდა, არამედ ვგულისხმობთ, ხომ არ ვცადოთ, სულიერად ვცეთ პატივი საეკლესიო ტრადიციას, ცხადი გავხადოთ მისი სული, მისი მარადიული მნიშვნელობა.

კაცობრიობა ქრისტესთან ძველი აღთქმის გზით მივიდა. ძველი აღთქმა თავისი სრული სულიერი რეალობით არის არა მხოლოდ როგორც განყენებული ჭეშმარიტება, არამედ როგორც საფუძველი ახალი აღთქმისა. ამიტომ, ვფიქრობთ, მასში უნდა ვეძებოთ განათლების ჭეშმარიტი საფუძველი, რომელიც სწორ ქრისტიანულ საძირკველზე დაგვაყენებს, ჩვენს თავში ქრისტეს აღმოგვაჩენინებს და ქრისტიანული ცხოვრებისთვის მოგვამზადებს.

სიბრძნისა და გონიერების დასაბამი ბიბლიის მიხედვით, მხოლოდ სწავლაა. ამიტომაც მოგვიწოდებს უფალი სწავლისთვის ზრუნვისაკენ: „მისი (სიბრძნის) დასაბამი სწავლის ჭეშმარიტი სურვილია, ხოლო სწავლაზე ზრუნვა მისი სიყვარულია“, შემეცნების სურვილი კი გონების სრულქმნაა“.

პედაგოგიკის მეცნიერებაში უმთავრეს პრობლემად და ქვაკუთხედად გონებრივი აღზრდა ითვლება და მთელი სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესი ძირითადად მას ემსახურება. ბიბლიაში დასაბუთებულია არა მარტო სწავლისა და ცოდნის შეძენის აუცილებლობა და მნიშვნელობა, ამასთანავე მასში ხაზგასმულია ცოდნის შინაარსის სისწორე და ჭეშმარიტებაც.

ბიბლია ნათელს ჰფენს სიბრძნის არსსა და მის წარმომავლობას: „ხოლო რა არის სიბრძნე და როგორ იშვა ის, გამოგიცხადებთ და არ დაგიმალავთ საიდუმლოებებს ... ნათელს მოვფენ მის შემეცნებას და ჭეშმარიტებას გვერდს არ ავუვლი“. „განისწავლეთ ჩემი სიტყვებით და მარგებელი იქნება თქვენთვის“ .

უამრავ ღირსებასთან ერთად, ეს საღვთო წიგნი - ბიბლია - შეიცავს მთელ რიგ პედაგოგიკურ კონცეფციებს, პიროვნების აღზრდასთან დაკავშირებულ სწავლებებს, რჩევებს, დარიგებებს, გამოხატულს კანონებში, პრინციპებსა და წესებში; მათ შესაბამის ცხოვრებისეულ მაგალითებს; იდეალური პიროვნების სრულყოფილ მოდელს (ბიბლია სავსეა სხვადასხვა შეგონებებითა: „ისმინე“, „ეძიე“, „ჩემი მცნებები დაიმარხე გულში“, „ჩააგონებდე შენს შვილებს“, „შეისმინე ჩემი სიტყვები, ჩემს ნათქვამს ყური მიაპყარი“. „ყურადღებით იყავი, რომ ჭკუა ისწავლო“, „ყური უგდე მასწავლებელს“, „შეუგნებელი თავისი სიბრიყვით დაიკარგება“, „ასე მოიქეცი“, „განიგდე ბაგიდან უკუღმართობა, ცბიერი სიტყვები მოიშორე“, „სიბრძნეს უსმინე“, „თვალებს ძილს ნუ მისცემ და წამწამებს - თვლემას“, „ყური ათხოვეთ ჩემს ნათქვამს“, „შეიგნეთ, სულელნო, გონიერება“, „ასწავლეთ მართალს და ცოდნას შეიმატებს“, „ვისაც წვრთნა უყვარს, ცოდნას შეიმატებს“ და ა.შ), რომელშიც გამოსჭვივის ცნობილი პედაგოგიური პრინციპები: მიზანსწრაფულობა, შემეცნებითი ინტერესი, შეგნებულობა და აქტიურობა, თანმიმდევრობა და სისტემატურობა და ა. შ.

ბიბლიაში ცხადადაა მინიშნებული ცოდნის სფეროები, განათლების მიმართულებები და შინაარსი. სოლომონ მეფე კონსტანტაციას უკეთებს სიბრძნითა და უდიდესი ძალისხმევით მიღწეულ ინტელექტუალურ შედეგს და ახდენს განათლების შინაარსისა და მიმართულების კონკრეტიზაციას: რომ მან შეიცნო ცა და დედამიწა და ყოველივე, რაც მასშია, ბუნება თავისი ფლორა-ფაუნით, წყლითა და ზღვით, ციური სხეულებით, გონების მთელი შესაძლებლობებით. მასში იკითხება როგორც საბუნებისმეტყველო, ისე საზოგადოებრივი, ფსიქოლოგიური და, განსაკუთრებით, ეთიკური ციკლის მეცნიერებათა საწყისები. ყოველივე შევიცანი დაფარულიც და განცხადებულიც, რადგან სიბრძნემ განმასწავლა, ყოველთა შემოქმედმა“.

ბიბლია იძლევა დარიგებას, რომ უნდა ვისწავლოთ მხოლოდ ის, რაც ყოველი კეთილი საქმისათვის განგვამზადებს. ასევე გარკვევით მიუთითებს სულიერი ზრდისათვის ცოდნის მუდმივი განახლების აუცილებლობაზეც: „ბრძენის ცოდნა წყალდიდობასავით იზრდება და მით ხელმძღვანელობა სიცოცხლის წყაროა“-ო.

ბიბლიის მიხედვით ცოდნისა და განსწავლულობის გარეშე პიროვნება წარმოუდგენელია. ყოვლის შემოქმედმა სწორედ შემეცნების უნარით განასხვავა და ყველაფერზე მაღლა დააყენა ადამიანი გონებით: „აღავსო ისინი ცოდნითა და

სწავლებებით და აჩვენა კეთილი და ბოროტი“. მსგავსად ამისა, პედაგოგიკაც ადამიანის პიროვნებად, სოციალურ არსებად ფორმირების ერთ-ერთ უმთავრეს ფაქტორად შემეცნებასა და აღზრდას აღიარებს.

ბიბლიაში არაერთგზისაა მითითებული აგრეთვე ნიჭის შესახებ, საიდანაც ვიგებთ, რომ ნიჭი სხვადასხვანაირია, მაგრამ სული ერთია, რომელიც მას ამოქმედებს: „სულის მიერ ეძლევა ერთს სიბრძნის სიტყვა, მეორეს ცოდნის სიტყვა, იმავე სულით ზოგს წინასწარმეტყველება, ზოგს სხვადასხვა ენები, ზოგს ენების განმარტება“.

ბიბლიიდან ასევე ვიგებთ, რომ ნიჭთან ერთად აუცილებელია საქმის სიყვარული და მონდომება, კონკრეტული ძალისხმევა: „თუ ისურვებ მას... განისწავლები, თუ სულით მიენდობი, დახელოვნდები“.

ბიბლიაში მრავლადაა პარალელები განსწავლულობასა და უმეცრებას შორის და

მოყვანილია სათანადო მაგალითები, მათი შედეგების საჩვენებლად. განსწავლულობის შედეგი გონიერება, სიბრძნე და სიკეთეა, ხოლო უმეცრების - ბოროტება და უბედურება. უგუნურებისა და უჭკუობის გამო უბედურება ატყდებოდათ თავს ადამიანებს, მეფეებს, ხალხს, ერებს, ქვეყნებს, რასაც მოწმობს წარღვნა, სოდომი და გომორი, ბაბილონის განადგურება, იერუსალიმის დამხობა. ამავე მიზეზით მძვინვარებს გამაოგნებელი უბედურებები თანამედროვე მსოფლიოშიც, რომელსაც, როგორც ბიბლია იტყობინება, ღმერთი მალე მოუღებს ბოლოს. „მისი სიმართლით გაასამართლებს მთელ ქვეყნიერებას“.

ბიბლიის სწავლება ჩვენ გვესახება როგორც წიგნიერების დონის ამაღლების საშუალება, მათი ღრმა აზროვნების ფორმირების საფუძველი და იმის მკურნალიც, რაც ეპოქის გლობალიზაციური პროცესების კვალდაკვალ, განათლების სისტემის დეჰუმანიზაციას მოსდევს შედეგად.

ბიბლია იმითაც არის უნივერსალური "წიგნთა წიგნი", რომ ის მისაღებია ყველა ძირითადი რელიგიური რწმენის აღმსარებელთათვის და, ამასთან, მასში ყველა დონის მკითხველისათვის მოიპოვება ნარატიულიც, სამოძღვრებოც და ფილოსოფიურ-სააზროვნოც. ცხადია ივარაუდება, რომ, ძველი აღთქმის ზღვა მასალა, შესაბამისი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამებში, მოზარდთა განვითარების დონის გათვალისწინებით იქნება ასახული.

ჩვენ მხარს ვუჭერთ ქართული საზოგადოების იმ ნაწილის პოზიციას, რომელიც მიიჩნევს, რომ აუცილებელია ისეთი საგანმანათლებლო კონცეფციის შემუშავება, რომელიც, ერთი მხრივ, ტრადიციული ეროვნული მემკვიდრეობისა და, მეორე მხრივ, თანამედროვე საგანმანათლებლო ტენდენციების რაციონალური შეხამების მეშვეობით უზრუნველყოფს ახალგაზრდობის ფიზიკურ, გონებრივ, სულიერ, ზნეობრივ და სოციალურ განვითარებას და შესაბამის გზებს და ხერხებს დააფუძნებს ბიბლიაზე.

უნდა აღინიშნოს, რომ საკითხის ამგვარად დასმა არ არის ახალი, ის, ერთი მხრივ, რომ არაფერი ვთქვათ სამონასტრო საგანმანათლებლო ტრადიციაზე, სრულად შეესაბამება ქართული ეროვნული სკოლის გოგებაშვილისეულ იდეას, რომელმაც შექმნა კიდეც ყრმათათვის მისაწვდომი ბიბლიური მოთხრობების პირველი ციკლი, ხოლო მეორე მხრივ - ამ მხრივ გვაქვს მრავალი ევროპული ქვეყნის განათლების სისტემათა მნიშვნელოვანი გამოცდილება.

დავაფუძნოთ განათლება ბიბლიაზე, მის ღირებულებებზე და მივიღებთ იმ ახალგაზრდას, რომელიც სწორად შეიმეცნებს სამყაროს და დაეხმარება ჭეშმარიტი რწენის აღმოჩენაში. და თუ მოზარდი აღიზრდება ბიბლიაზე - იგი აღიზრება იმ სწორ საძირკველზე, რომლითაც ადვილად გაიგებს ეკლესიის ნამდვილ ბუნებას - მის მებრძოლ, შეურიგებელ ხასიათს. ამით იგი იპოვის მიწიდან ცისკენ მიმავალ გზას, მის დამაკავშირებელ ხიდზეც ადვილად გაივლის და გააზრებულად დაძლევს ცხოვრებისეულ პრობლემებსაც, რადგან „რომელ ვალს უბიწოდ, იგი ვალს უშიშრად“.

პირადად ჩვენ ამ გზით სიარულს ვისურვებდით.

მაია ფირჩხაძე,
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

ჭეშმარიტება და მისი არსი

რომ თქვა, რა არის ჭეშმარიტება, უნდა შეიცნო იგი.

„სცანით ჭეშმარიტი". . . (სახარება)

რით?

ერთადერთი გზით – ჭეშმარიტებისკენ სწრაფვით, მაგრამ რომ ისწრაფვო, უნდა გწამდეს იმის არსებობა, რისკენაც ისწრაფვი.

რწმენის გარეშე სწრაფვა შეუძლებელია.

რა ბადებს რწმენას?

ამქვეყნიური ამაოების, წარმავლობის, სიცრუის („ჰე, ცრუ სოფელო, დაუნდობელო, შენში კეთილი სად არს ფერ-უცვლელ?" გრ. ორბელიანი) დანახვა, წარმავალის უარყოფა, წარუვალის მოძიება.

შეცნობით ჭეშმარიტებისა, რომ „საქმე სოფლისა ზღაპარია და ჩმახია" (შოთა), ცხადდება, რომ ამსოფლიური სიცრუე „ჭეშმარიტად" არსებობს, მაგრამ ჭეშმარიტება არაა.

მაშ, რაა ჭეშმარიტება?

ის, რაც სიცრუე არაა, დაუსაბამოა (რასაც დასაბამი აქვს, აქვს დასასრულიც. ჭეშმარიტებას კი არ შეიძლება ჰქონდეს არც პირველი, არც – მეორე).

ის, რაც სიცრუე არაა, ერთადერთია.

რატომ არ შეიძლება არაერთი, ან მრავალი იყოს ჭეშმარიტი?

თუ დავაწყვილებთ თუნდაც ამ ორს (ორი კი ერთზე მეტია და რაც ერთზე მეტია, მრავალია!) – ჭეშმარიტებასა და სიცრუეს (ანუ თუ გავაჭეშმარიტებთ სიცრუესაც) – მაშინ მათ ერთი საწყისი უნდა ჰქონდეთ (ყოველგვარი სიმრავლის სათავე ხომ ერთია), რაც დაუჯერებელია: ისინი ურთიერთგამომრიცხავნი არიან (სიცრუე იქაა, სადაც არაა ჭეშმარიტება). რაკი სათავე ან ერთი (ჭეშმარიტება) უნდა იყოს, ან – მეორე (სიცრუე), ხოლო სიცრუით არაფრის შექმნა არ შეიძლება, ჭეშმარიტება ერთადერთია, ღმერთია.

ვინც ცნობს ჭეშმარიტს (ღმერთს), იგი მოიძულებს ცრუს (ეშმაკს, თავადს ამას სოფლისას) და მონაგებთა მისთა. დგება ჟამი სიყვარულისა (ღვთისადმი) და სიძულვილისა (ეშმაკისადმი), გატვალსაჩინოვდება სამანი კეთილსა და ბოროტს, წარუვალსა და წარმავალს, მარადიულსა და ჟამიერს შორის და ადამიანი თავისუფლდება.

„სცანით ჭეშმარიტი და ჭეშმარიტმან განგავითავისუფლნეს თქუენ". (სახარება)

„რისგან გვათავისუფლებს ჭეშმარიტება?

ცხადია, სიცრუისაგან.

მისგან თავდახწეულნი, ვხდებით მართალნი (ჭეშმარიტი მხოლოდ ღმერთია).

ჭეშმარიტება – ღმერთია ჩვენი გამათავისუფლებელი. დფალი (ვისაც ვერ და არ ფლავენ. ვიფლობით ჩვენ, მოკვდავნი), გვანიჭებს უფლებას, ვიყოთ უფალნი თავისა („უცნაურო და უთქმელო, უფალო უფლებათაო . . .“ შოთა).

გგვამცნობს: „მე ვარ უფალი ღმერთი შენი . . . .“ (I მცნება)

მე ვარო ღმერთი შენთვის . . .

ვინღა ვარ მე?

გათავისუფლებული, ღვთისაგან უფლებამონიჭებული, ვიყო უფალი საკუთარი ნებისა, რათა შევუერთდე უფალს, ანუ სიყვარულს, სინათლეს, სიკეთეს, სიწმინდეს (იმას, რაც ჩვენში დაუფლველია, უფლისაგან შთაბერილი სულია).

ასეთი თავისუფლება დიდი სასოებაა კაცისათვის, რადგან იგი თავისუფალი არ იბადება, მერე ხდება მაძიებელი საკუთარი თავისუფლებისა, რომელიც რწმენით, სიყვარულით, სიკეთით, ცოდვათა გამო სინანულით ხორციელდება (გავიხსენოთ პატრიარქ აბრაამის ძმისწულ ლოთის მიერ სამი გამხმარი ხის განედლება სინანულით, ლოცვით, მარხვით).

„სინანული განმაახლებელ არს ნათლისღებისა, სინანული აღთქმა არს ღვთისა მიმართ ახლისა ცხოურებისა“, „სინანული გაწმენდა არს სვინდისისა, რომელი იდი მამხილებლად ბოროტისა დაუბადებიეს ღმერთსა კაცისა – თანა“ (იოანე კლემაქსი).

განმაახლებელი, გამწმენდელი, აღმადგინებელი, გამანედლებელი სინანული.

მონანული უყვარს ღმერთს.

ჭეშმარიტება ღმერთია, არსი მისი – თავისუფლება.

ეს თავისუფლება ტანჯვად ღირს.

პაატა ყვავაძე, X კლ

რწმენა და თავისუფლება

უნდა გწამდეს! იმიტომ რომ ურწმუნოება უნუგეშობაა, უღონობაა, უგნურებაა, უგზობაა, სიბრმავე და სიყრუეა.

„ნეტარ არიან მორწმუნენი..“ რადგან ისინი აღასრულებენ ღვთის ნებას და არა-საკუთარს. უფრო მეტიც: ღვთის ნებას ამთხვევენ საკუთარს, რათა განხორციელდეს სინერგია.

რატომ უნდა აღსრულდეს ღვთს ნება? იმიტომ რომ მისი ნებით შეიქმნა სამყარო, ფერუთვალავი ქვეყანა, ადამიანი. ღვთის ნების შეცნობა იმის შეცნობაა, თუ რატომ შეიქმნა ადამი ღვთის ხატად. თუ კაცი ამას მიხვდა, მადლიერების გრძნობა მართებულ არჩევანს გააკეთებს.

ირწმუნო ღვთისა- ნიშნავს ირწმუნო სიყვარული, მისი ძალა და მადლი. რწმენა შობს სიხარულს სულისას, აგონიერებს გულს, აღმართვს სათნოების კიბეს, რომელიც სრულყოფილი სიყვარულისკენ მიემართება. მაშასადამე, ღვთის ნების შემმეცნებელი ცხოვრების წესად სიყვარულს გაიხდის, ღმერთი კი მას შეეწევა.

ადამიანის შინაგანი სულიერი მდგომარეობისა და სათნოებისთვის აუცილებელია რწმენა. კაცი წყურვილით უნდა დაეძებდეს სიმშვიდეს, უფლის გზას. რაც მეტ ფუფუნებას აღწევს ადამიანი, მით უფრო იზრდება მისი სულიერი შფოთი, ხოლო რაც უფრო შორდება ღმერთს, სიმშვიდესაც კარგავს. პლანეტა ვეღარ იტევს ამდენ შფოთს, ამდენ ხმაურს, ამდენ კატასტროფას.

უფალმა სამყარო მარადისობისთვის შექმნა და ადამიანს მისცა უკვდავი სული. მას შემდეგ, რაც კაცმა შესცოდა და მასში ცოდვა შემოვიდა, დაკარგა მარადისობა და ჩამოქვეითდა წუთისოფელში. ამის შემდეგ მისი ცხოვრება დროით შემოისაზღვრა და ამსოფლურ ცხოვრებას ქართველმა წუთისოფელი უწოდა.

სულიერი, საეკლესიო გაგებით, წუთისოფელი, ანუ ცხოვრების ხანა, მოგვეცა მარადიული ცხოვრების მოსამზადებლად. ქრისტეს ჯვარცმით და აღდგომით ადამიანს კვლავ მიეცა საშუალება, პიროვნული მადლით და უფლის მცნებათა აღსრულებით დაბრუნდეს მარადიულობაში, საიდანაც ის გამოვიდა. ჭეშმარიტი მართმადიდებელი დედაეკლესია ემსახურება იმას, რომ ადამიანს დააძლევინოს წუთისოფელი, დროის, ეპოქის, ცხოვრების ყოველგვარი სირთულე და მოამზადოს მარადიული ცხოვრებისათვის.

ყველა დროს თავისი სირთულე ახლავს. ერთადერთი, რაც უცვალებელი და გარდაუვალია, ეს არის ღმერთი, გარდაცვალება და მარადიული ცხოვრება. რომელ ეპოქაშიც უნდა ცხოვრობდეს ადამიანი, ვერ ასცდება ამ გარდაუვალობას, რადგან ყველა მივალთ უფალთან, ყველა განვისჯებით და მოვიპოვებთ მარადიულ სამყოფელს. ჩვენი ცხოვრების ამ გზას ვერ უარვყოფთ. სულიერი ცხოვრებით,რწმენით უნდა ვაჯობოთ დროს. განვერიდოთ წუთისოფლის საცდურს და ამით სული მოვამზადოთ მარადიული ცხოვრებისათვის.

ნათქვამია, დრონი მეფობენ და არა მეფენიო. დროზე აღმატებულია სარწმუნოება და სულიერება. ადამიანი ყველა დროში უფლის მცნებებს უნდა ემორჩილებოდეს. უფალი ბრძანებს „ცა და ქვეყანა გარდავალს და ჩემი სიტყვები არ გარდავალსო,“ ანუ არ შეიცვლებაო. მართლაც, უფალი მარადიულია და თუ ამ მარადიულთან შეერთება გვსურს, ჩვენი ცხოვრებაც მარადიულზე, ანუ რწმენაზე უნდა დავაფუძნოთ.

უფალი ბრძანებს იგავის სახით, რომ გონიერია ის ადამიანი, რომელიც თავის მრწამსს, სამკვიდრებელს დაამყარებს კლდეზე. ეს კლდე არის ქრისტეს სარწმუნოება. უგუნურია ის, ვინც ქვიშაზე დაიწყებს შენებას. ეს ქვიშა არის საცდური წუთისოფლისა. ამიტომაც ჩვენი ცხოვრების წესი და მიზანი უნდა იყოს ღვთისმსახურება და ზრუნვა საკუთარი სულისთვის. 21-ე საუკუნეში თითქოს ძალიან გვიჭირს უფლის მცნებების დაცვით ცხოვრება. შეუძლებელი, სირთულის მიუხედავად, არაფერია, ვინაიდან უფალი იგივეა „მარად და მარად“. იგი ბრძანებს: მე ვარ ანი და ჰოე, დასაწყისი და დასასრული. უფალი გვაძლევს ძალას. მთავარია, კაცმა მოინდომოს. ვინ რა ხარისხით შეასრულებს ღვთის მცნებას, ეს თავად ადამიანზეა დამოკიდებული. უფალი ბრძანებს „მე თქვენთან ვარ ვიდრე აღსასრულამდე სოფლისა“. ჩვენ მოგვეცა ძალა, ვძლიოთ საცდურებს და განსაცდელებს წუთისოფელში. დედაეკლესიის წიაღი არის ის ხომალდი, რომელიც აბობოქრებულ ზღვას გადაგვალახვინებს და გაგვიყვანს სამშვიდობო ნაპირზე. ეკლესია იბრძვის და მრევლსაც აბრძოლებს. არ შეიძლება წუთისოფელში დასვენება. ვისაც ჩაეძინება, მას საცდური მალე იპოვის. ეკლესია დროს კი არ ითვალისწინებს, არამედ ადამიანის შინაგან, ინდივიდუალურ შესაძლებლობებს. ეს შესაძლებლობები კი, თუ ღვთის ნებით წარიმართება, უძლიერესია. რატომ მოგვიწოდებს სიტყვა ღვთისა „ მოვედით ჩემთან ყოველნი მაშვრალნი და ტვირთმძიმენი“(მათე 11,28) ეს მოწოდება ასე კი არ გრძელდება „მომეცი მე ესა და ეს...“ არამედ სხვა დასასრული აქვს. ის გვეუბნება, თუ ღმერთი რას აკეთებს მოწოდებულთათვის: „და მე განვისვენო თქვენ, ჰპოვოთ განსველ ნებაი სულთა თქვენთათაი“ ე.ი. ღმერთი მოგვიხმობს, რომ რაღაც გვიბოძოს. ეს არის ცოდნა: „ ისწავლეთ ჩემგან...“ სული: „მიიღეთ სულისაგან ჩემისა..“ სიყვარული, მშვიდობა და სიხარული: „იყავით სიყვარულში... მშვიდობასა ჩემსა მოგცემ თქვენ... დაე თქვენთან იყოს სიხარული ჩემი“. მაგრამ ქრისტე კიდევ სხვას, დაუჯერებელს გვაძლევს: „იყავით ჩემში და მე თქვენში... მიიღეთ, ესე არს სისხლი ჩემი, თქვენთვის დათხეული“. ქრისტე საკუთარ თავს მთლიანად ადამიანებს აბარებს, თავის ღვთაებრიობასაც და თავის კაცობრიობასაც.

თანამედროვე მედიცინაში არსებობს პროცედურა, როცა ადამიანს თავისივე სისხლს უსხამენ. მისი სხეულიდან გამოიღებენ სისხლს, გაწმენდნენ მავნე შენაერთებისაგან, ანდა-პირიქით, გაამდიდრებენ იმავე კომპონენტებით, რომლის გამომუშავებაც საჭირო რაოდენობით სნეულის ორგანიზმს აღარ შეუძლია, და ამგვარად გაწმენიდილსა და გამდიდრებულ სისხლს უკან უსხამენ.

რაღაც ამგვარი ხდება ქრისტესთან ჩვენი დამოკიდებულებისას. ღმერთი ადამიანი ხდება. ის თავის თავში ჩვენს ბუნებას იტვირთავს, ხრწნადობის მდგომარეობაში ჩავარდნილი, თავის თავში მას (კაცობრივ ბუნებას) განკუნავს, გაჟღენთს ღვთაებრიობით, მარადისობით, უკვდავებით და თავის კაცობრივ სხეულს უკვე სიკვდილსა და აღდგომაგამოვლილს გვიბრუნებს. თავის კაცობრივ სისხლს, ღმრთაებრივი დინებით გაჟღენთილს, ჩვენ გადმოგვისხამს, რათა ჩვენც საკუთარ თავში ვატარებდით აღდგომის ჩანასახს და თანაზიარნი ვიყოთ მარადისობისა. (ა.კურაევი)

ესე იგი, ჩვენ ტაძარში იმისთვის მივდივართ, რომ რაღაც მივიღოთ. რელიგიაში მთავარი ის კი არ არის, ადამიანს რა მიაქვს ტაძარში, არამედ ის, რაც მიაქვს ტაძრიდან.

ტაძარი ზიარების საიდუმლოს მადლით აგებული კედლებია. საიდუმლო კი ისაა, რომ კაცთათვის ხელია გაწვდილი საღვთო ძღვენით. ამიტომაც ეკლესიაში სიარული მძიმე ბეგარა კი არ არის, არამედ საკვირველი პრივილეგიაა. ჩვენ მოგვეცა უფლება, საიდულო სერობის თანაზიარნი გავხდეთ.

ქრისტემ გვითხრა, სად გველოდება და რის მოცემაც სურს ჩვენთვის. იგი საუკუნოა. მას სურს შეგხვდეს და შეგვიერთდეს ამ ცხოვრებაში, რათა მომავალ საუკუნო ცხოვრებაში არ დავრჩეთ მარტონი.

რწმენა - ეს მოქმედებაა, სწრაფვაა ღვთისკენ, ნაგრძნობისკენ, ახალი გამოცდილებისკენ. რწმენა ეს გამეცნიერებული სარწმუნოება და გასარწმუნოებული მეცნიერებაა, როგორც ილია ჭავჭავაძე ამბობს. ნაწინასწარმეტყველებია, რომ ბოლო ჟამს საქართველო გახდება ის რჩეული ქვეყანა, ციხე-გოდოლი, რომელიც მთელი მსოფლიოს მისცემს მაგალითს ჭეშმარიტი სარწმუნოების დაცვისა; ზეციური დედოფლის შემწეობით, ჩვენი ქვეყანა გახდება ის ოაზისი და სულიერი ნათლის სვეტი, რომელიც ნიშანს და მაგალითს მისცემს მსოფლიოს. შემთხვევით არ წერია შესანიშნავ ნაწარმოებში „ ქებაᲐ და დიდებაᲐ ქარულისა ენისაᲐ“ (იოანე-ზოსიმე), რომ ამით ენითა იმხილება მეორედ მოსვლის წინ ქვეყნიერება. „ ამ ენაში“ იგულისხმება ჩვენი ერი. წარმოიდგინეთ, რამხელა პასუხისმგელობა გვაკისრია ქართველებს !

დრო დაუნდობელია, ყველას და ყველაფერს წალეკავს. ამიტომ სულიწმინდის მადლით უნდა გავიაროთ წუთისოფელზე და გავიდეთ სამშვიდობოს. ჩვენი სრულყოფის პროცესი დაუსრულებელია. იმის მიხედვით, თუ საითკენ არის მიდრეკილი ჩვენი ნებისყოფა, გონება და გული, არჩევანს ვაკეთებთ სიკეთესა და ბოროტებას, ვიწრო და ფართო გზას შორის. რაკი აბსოლუტური ჭეშმარიტება არის ღმერთი, ე.ი. თვისუფლებას ღვთის შეცნობით უნდა ვეზიაროთ, ღვთის შეცნობას კი- საკუთარი თავის შესწავლით, საკუთრი ნაკლის დანახვით და ყოველთა ცოდვათა

დედის-ამპარტავნებისა და ეგოიზმის დაძლევით. როცა დავითრგუნავთ ცოდვით დაცემის გამო ღვთისა და მოყვარისადმი დაპირისპირების მანკიერ ჩვევას, ვიგრძნობთ, რომ „ცხოველი არღა მე ვარ, არამედ ცხოველ არს ჩემთანა ქრისტე“ (მალატ. 2,20) და მოვიპოვებთ ნამდვილ თავისუფლებას, რომელსაც ვერავინ წაგვართმევს.

„იცანით ჭეშმარიტი და ჭეშმარიტმან განგათავისუფლნეს თქუენ“ (იოანე 8,32)- გვასწავლის საღმრთო წერილი.

რა არის ჭეშმარიტი?

„მე ვარ გზა და მე ვარ ჭეშმარიტება და ცხონება“ (იოანე 14,6)- ბრძანებს მაცხოვარი.

„კაცთა მოდგმის ისტორია წარმოდგენილია იესო ქრისტეს- სრული ღვთისა და სრული კაცის გარეშე. მის გარეშე წარმოუდგენელია კავშირი სამყაროსა და ღმერთს, ადამიანური ყოფის რეალობასა და აბსოლუტურს შორის. იგია ზეციურის და მიწიერის გადაკვეთის ცენტრი.

ნამდვილ თავისუფლებას მხოლოდ ჭეშმარიტება გვაზიარებს და მხოლოდ თავისუფლებით მივუახლოვდებით ჭეშმარიტებას.

„ადამიანის გონება მაშინ გამოიღებს კეთილ ნაყოფს, როდესაც იგი ღვთაებრივი სიბრძნითა და ჭეშმარიტებით საზრდოობს.“ (კათოლიკოს-პატრიარქი ილია II)

რისგან ვთავისუფლდებით ჭეშმარიტების შეცნობით? ცხადია, სიცრუისაგან. „ „არაფერია ჭეშმარიტებაზე ნათელი და ძლიერი, ისევე, როგორც არაფერია სიცრუეზე უძლური, თუნდაც იგი აურაცხელ სახვევში იყოს გამოხვეული, რამეთუ სიცრუის გამომჟღავნება და უარყოფა ადვილია, ხოლო ჭეშმარიტება კი დაუფარავად სთავაზობს ყველას თავის თავს, ვისაც კი მისი სილამაზის ნახვა სურს. მას არ უყვარს შენიღბვა, არ ეშინია საფრთხის, არ თრთის დაბეზღებაზე, არ ეძებს სახალხო სახელს და ადამიანურს არაფერს ექვემდებარება, იგი ყველაფერზე მაღლა დგას, ხდება რა, ბუნებრივია, ათასგვარი დაბეზღების საგანი, მაინც დაუმარცხებელია, მისდამი მთლტოლვილებს იცავს, როგორც ძლიერი ზღუდე, დიდებულებითა ძალისა თვისასათა, ვერ ითავებს ფარულ თავშესაფრებს, არამედ დაუფარავად სთავაზობს ყველას რა მასშია“ (წმ. იოანე ოქროპირი)

თავისუფლება თავის უფლობაა. თავის ფლობა სურვილისამებრ ცხოვრება კი არა, სურვილთა მართვას ნიშნავს, რადგან შვებასა და განცხრომას თან ერთვის „ ყოველივე სახე შეგინებისა პირუტყვებრივისაᲐ“. ცოდვა არავის შერჩენია, ადრე თუ გვიან, ყველას მოეკითხება. ამიტომაც თავისუფლების ბალავრად პასუხისმგებლობა გვევლინება, რწმენასთან ერთად.

თავისუფალი ნება ღვთისაგან მოგვებოძა თითოეულს. ნება, მაგრამ არა თავისუფლება. თავისუფლება საკუთარი, ღვთისაგან ბოძებული ნებით უნდა ავირჩიოთ. არჩევანი ერთია, ხოლო ის, თუ როგორ მოვიპოვოთ თავისუფლება, როგორ ვიბრძოლოთ მისთვის-მეორე. ყოველ ადამიანს ღმერთი მფარველობს, მაგრამ მრავალი საკუთარი ნებით, სურვილითა და ქცევით წინ აღუდგა უფლის მადლს, განაშორა საკუთარი თავი ზეციურ შემწეობას, ღვთისწყალობასა და ჭეშმარიტებას.

უგუნური ადამიანი გზას უღობავს სიკეთეს, სათნოებას, საშუალებას არ აძლევს იმოქმედოს და გამრავლდეს მასში მადლი ღვთისა. ყველაზე დიდი მფარველი ჩვენთვის რწმენაა. რამდენადაც გვწამს, იმდენად ვართ უფალნი საკუთარი თავისა და დაცულნი ბოროტებისაგან. რწმენა სულიერი აბჯარია, რომლის წინაშე უძლურია ეშმაკის ყოველგვარი მანქანება. ჭეშმარიტად კეთილგონიერია ის ადამიანი, რომელიც სიკეთესა და ბოროტებას განარჩევს არა მხოლოდ სიტყვითა და შემეცნებით, არამედ-ქმედითად, ცხოვრებითა და ღვთისთვის სათნო ღვაწლით. ჩვენ ცოცხალ, რეალურ სამყაროში ვცხოვრობთ და მხოლოდ ცოცხალი რწმენითაა შესაძლებელი გადარჩენა.

არ არსებობს იმაზე დიდი მფარველობა და მეოხება , რომელსაც ღვთის სამართლიანი მცნებების აღსრულებით ვიხვეჭთ: „უფალი ნათელ ჩემდა და მაცხოვარ ჩემდა, ვისი მეშინოდეს? უფალი შესავედრებელ არს ცხოვრებისა ჩემისა, ვისგან შევძრწუნდი“ .

საქართველოს სულიერებას და ერის ერთობას დღესაც საფუძვლად სულიერება და ზნეობა უნდა დაედოს. დღეს თავისუფლება ასე ესმით-„ყველაფერი ნებადართულია.“ ამ ზღვარდაუდებელი „თავისუფლების“ სახელით ურცხვად გვთავაზობენ გარყვნილების ლეგალიზაციას, სკოლის ასაკიდანვე ბავშვის გახრწნას, უხამს კინოპროდუქციას. შეუძლებელია არ გაგაოცოს სატელევიზიო პროგრამებით ძალადობის, ყაჩაღობის, მკვლელობის პროპაგანდამ, ზოგადსაკაცობრიო, ეროვნულ-ზნეობრივი და სულიერი ფასეულობებისადმი უპატივცემულობამ, რაც ჩვენს დაბალ კულტურაზე მეტყველებს. ამას არ შეიძლება ეწოდოს თავისუფლება, ესაა მონობა ცოდვისა და მანკიერებისა, გზა თვითგანადგურებისა და სიკვდილისა. ახალგაზრებმა უნდა შევიმეცნოთ, რომ უპირველეს ყოვლისა, ეროვნული, ზნეობრივი და სულიერი ფასეულობანი უნდა იყოს ჩვენი არსებობის საფუძველი.

ადამიანი გვირგვინია ქმნილებათა, იგია ხატება ღვთისა, რომელმაც მსგავსებას შემოქმედთან სულიერი მოღვაწეობით უნდა მიაღწიოს და არა ცრუ ფასეულობების ერთგულებით. კაცი ღვთის ხატადაა შექმნილი და მისი სულიერი საზრდო მადლია. მადლს თუ არ ღებულობს, იფიტება. უფლისგან ყველანი ვართ მოწოდებული: „ეძიებდეთ პირველად სასუფეველსა ღვთისასა და სამართალსა მისსა და ესე ყოველი შეგეძინოთ.“ეს არის უფლის დალოცვა . სიყვარული მთავარი მცნებაა, რომელიც ხორციელდება ერთადერთი გზით: რაც გინდა, რომ შენ გაგიკეთონ, ის გაუკეთე სხვას, ნუ გაუკეთებ იმას, რაც შენთვის არ გინდა. ეს მოყვასის სიყვარულის ქმედითი გზაა. აქედან მივდივართ ღვთის სიყვარულამდე. მხოლოდ უფლის სიყვარული ასწავლის კაცს წუთისოფლისგან თავდაცვას. სხვა ძალა, რომელსაც შეუძლია წუთისოფლის ტყვეობიდან კაცის გამოხსნა, არ არსებობს!

დიდია ძალა რწმენისა და ტკბილია ბრძოლით მოპოვებული თავისუფლების ფასი: „ უღელი ჩემი ტკბილ არს და ტვირთი ჩემი-სუბუქ“(მათეს სახარება), არა ბრმა, გაუაზრებელი რწმენის, არამედ გააზრებული, შემეცნებული, გაცნობიერებული, ანუ ჭეშმარიტ ცოდნად გადაქცეული რწმენის შთანერგვა ჩვენში. მართმადიდებლობა იგივე საღვთო ცოდნაა, რომლის შეთვისება ურწუნოდ შეუძლებელია.

პაატა ყვავაძე, X კლასი

„ ჩემი ცხოვრების მიზანი”

ახლა სწორედ იმ ასაკის ვარ, ცხადად რომ უნდა გამოვკვეთო ცხოვრების მიზანი.

არ დაგიმალავთ და მიზნის დასახვა სულაც არ მგონია ძნელი.

ვითომ რატომო, იკითხავთ.

მოგახსენებთ, რა თქმა უნდა, აკი წერასაც ამ მიზნით შევუდექი.

ჩემს ფიქრს კარგა ხანია დაუდარაჯდნენ ქართველი მწერლები. მოსვენებას არ მაძლევენ.

„ ვინა ხარ, სიდამ მოსულხარ, სადა ხარ, წახვალ სადაო“,- ამის გარკვევას მთხოვს გურამიშვილი. „ გახსოვდეს, ვისი გორისა ხარ და კაცი კი ტანჯვისათვის არის გაჩენილიო“,

- გამძლეობისკენ მომიწოდებს ყაზბეგი. „ ყოველ დღესა შენს თავს ჰკითხო: აბა დღეს მე ვის რა ვარგე?“ - მწვრთნის ილია. „ ათას ცოცხალსა ბევრჯერა ათჯერ სჯობს ერთი მკვდარია,“

- მამუნათებს ვაჟა. „ მე მეშინია იმგვარ სიცოცხლის სიკვდილს რომ ჰგავს და უარესია“,

- მაფხიზლებს გალაკტიონი.

ჰოდა, რა დამაბნევს, თუ გიყვარდეთ (როგორც კლდიაშვილი იტყოდა), ამათ მემკვიდრეს?!

არც არაფერი.

ღვთის წყალობაა ქართველობა!

ოღონდ დაჯექი, წაიკითხე, იგრძენი, გაიაზრე, იფიქრე, წაკითხულზე ვინმე ჭკვიანს ებაასე („ ბაასი ჭკვის საზრდო არს“.) და მიზანიც გამოიკვეთება-სულის გადარჩენა, ამაღლება, განღმრთობა. სხვა გზა მოჭრილია!

არა, არ უნდა გავწყვდიადდე! როგორმე უნდა გადავრჩე!

ჩამეძიება იაკობ ხუცესი: „ მტკიცედ სდგაა?“

აბა რა გითხრა, ჩემო წინაპარო?

უკან დასახევი გზა რომ უნდა ჩავხერგო, ვიცი. რით? უპირველესად, სწავლით. „ მით ვისწავლებით, მოგვეცეს შერთვა ზესთ მწყობრთა წყობისაო“,- შეგვაგონებს „ ვეფხისტყაოსანი“. „სცანით ჭეშმარიტი და ჭეშმარიტიმან განგათავისუფლნეს თქვენ“, - ბრძანებს უფალი. ისწავლე! სცანი! - მოვუწოდებ საკუთარ თავს.

ძნელია! სამკვდრო -სასიცოცხლო ომი გამიმართავს სიზარმაცესთან. ხან მძლეველი ვარ, ხანაც-ძლეული. საცდური ბევრია... არ და ვერც ჩამოვთვლი. ამასაც ვგრძნობ, სიზარმაცესთან ბრძოლა სიკვდილამდე რომ გასტანს...და არა მარტო სიზარმაცესთან. ვერც მიზანს შევცვლი. ეს ისაა, რაც ყველაზე მეტად მინდა და სიცოცხლის ფასად მიღირს. აუცილებლად სიყვარულს („ღმერთი სიყვარული არს,“- სახარება) უნდა ვემონო, რომ გავთავისუფლდე სიძულვილისგან, თანალმობა უნდა ვისწავლო, რომ გავთავისუფლდე გულგრილობისგან, სიმართლეს უნდა ვემსახურო, რომ გავთავისუფლდე სიცრუისაგან... უნდა გავმადლიანდე, უნდა გადავრჩე, ღმერთი უნდა დავიახლოვო, ბოროტის კერძი არ უნდა გავხდე.

უნდა... უნდა... შევძლო.

განსაცდელი გამომაწრთობს. დავეცემი- ვერ წამოვდგები?! დავმარცხდები- გამარჯვების ფასს ხომ ვისწავლი?! ვიბრძოლებ სიკეთისთვის? ღმერთი შემეწევა. „ ზრახვამან კეთილმან დაგიცვას შენ“ (ფსალმუნი).

მაშასადამე, მიზნიდან გამომდინარე, ცხოვრების წესიც გამოვკვეთე- სწავლა, ბრძოლა და შრომა სიკეთისათვის.

გამილოზუნგდა (ზმნის მიხვრა-მოხვრა ყოველთვის მაოცებს) ფრაზა, შევატყვე და მიტომაც წამოვიშველებ გიოარსს: „როგორც ჭუპრიდან პეპელა, ასევე ცოდვილიდან წმინდანი უნდა გამოვიდეს. ეს არის ადამიანის მაქსიმალური ამოცანა.“

ხედავ, ჩემო მკითხველო, რას ვეპოტინები? ჯერ მიწისა არა გამიგია რა და, თავმოდრეკილიც, ზეცას ვხედავ, სასუფეველზე ვფიქრობ, ზეციურ საქართველოზე, წინაპართა არსებობის წესზე, ზნეობაზე, გარჯაზე, ბრძოლაზე, თმენაზე, ძიებაზე. ზოგჯერ თავს დავცინი: ე მანდ ფეხი არ წაიმტვრიო, შე უხეირო შენა! და თუ მაინცდამაინც წავიტეხე ფეხი, თავს ასე „ ვიმხნევებ“: აბა რა გეგონა!

კარგა ხანია, მისმენ, მკითხველო, და, ალბათ, იმასაც ფიქრობ, ეს ყველაფერი სიტყვაა, საქმეზე რაღას იტყვიო? ამ შემთხვევაში ილიამაც შეიკავა თავი პასუხისგან და მოკლედ მოჭრა: „საქმე საქმეშია.“ ამიტომ ჩვენ „ისევ პირველ სიტყვასა ზედა მოვიდეთ:“ ჩემი ცხოვრების მიზანი აუცილებლად სულის გადარჩენაა, არსებობის წესი - ამ მიზნისთვის ბრძოლა, იარაღი - რწმენა.

„ძალი მომეც და შეწევნა შენგანით მაქვს, მივსცე გონება,“ - ვევედრები არსთა გამრიგეს სულმნათი წინაპრის სიტყვებით.

სამკვიდრო - სასიცოცხლო ომში ჩავები, მკითხველო, გამარჯვება მისურვე!

მარიამ კობახიძე, XII კლ

რელიგიურ თემათა სწავლების როლი მოზარდის ზნეობრივ აღზრდაში

„არ არსებობს სამყაროში ადგილი, სადაც არ იყოს ღმერთი, არავის არ ძალუძს მისგან დამალვა ღმერთი ყველგან არის“ (ფს. 138. 7-12).

ადამიანი, როდესაც წყვეტს ღმერთთან კავშირს, მატერიალური მოთხოვნილებების მონა ხდება, ეცემა სულიერება და პირიქით „ღმერთისაგან ადამიანის გონების განდგომა ხშირად ზნეობრივი დაცემის შედეგია“ (დიუპლესი).

უღმერთობის ეპოქამ თავისი დაღი დაასვა ჩვენი ქვეყნის, ქართველი ადამიანის მენტალიტეტს, რაც იმის შედეგი იყო, რომ ყველაფერი მატერიალისტურად ისწავლებოდა, გაწყვეტილი იყო კავშირი სულიერებასთან.

ქრისტიანული მოძღვრებისა და ამქვეყნიურ აღქმას შორის კავშირს ხელს შეუწყობს ბავშვობიდანვე სწორი აღზრდა. აღზრდა ჩვილი ასაკიდან იწყება. არ შეიძლება ბავშვს უთხრა: „ამას ნუ აკეთებ, ღმერთი დაგსჯის!“ ეს არ არის ბავშვებში ღვთისადმი მოკრძალებისა და პატივისცემის დანერგვა! მოზარდს ჯერ უნდა აუხსნა როგორი საქციელია ადამიანისათვის შეუფერებელი და ღვთისათვის მიუღებელი. რა შედეგი მოჰყვება მის არასწორ საქციელს. შემდეგ ველაპარაკოთ ღვთის მცნებებზე, სადამდე მივყავართ ღმერთის მცნებების უგულებელყოფას.

ბავშვისადმი მიმართულ სიმკაცრეში სიყვარულიც უნდა იგრძნობოდეს, მაშინ უსათუოდ მოგვენდობა მისი გული. მოზარდმა თვითონ უნდა იგრძნოს მშობლის, მასწავლებლის სიყვარულით განმსჭვალული დამრიგებლური კილო. სიტყვიერ დარიგებებს აუცილებლად უნდა ამტკიცებდეს მშობლის, მასწავლებლის პირადი ცხოვრებისეული მაგალითებიც. დღევანდელი სოციალური სიდუხჭირის მიუხედავად მშობელი არ ღალატობს სინდისს – არ ქურდობს, არ არღვევს მცნებებს, ეს ჩააფიქრებს მოზარდს, რომელიც თავიდანვე ავლენს სიჯიუტეს, შურს – არ უნდა გამოგვეპაროს ეს მომენტები, სწორედ ამიტომაა საჭირო ბავშვობის ასაკიდანვე სწორი ზნეობრივი აღზრდა, რაშიც აუცილებლად დაგვეხმარება მოზარდში ღვთის შიშის ჩანერგვა. ნუ აგვერევა ერთმანეთში ღვთის შიში და შიში, შიში დამღუპველია ბავშვებისათვისაც და დიდისათვისაც, მაგრამ ღვთის შიში სულ სხვაა. ღვთის შიში ნიშნავს ღვთის სიყვარულს. ღმერთი უნდა გიყვარდეს პიროვნულად და შიში უნდა გქონდეს არაქრისტიანული საქმის კეთების: ბოროტების, შურის, ამპარტავნობის, ცილისწამების, მრუშობის, ქურდობის, კაცის კვლის და ა.შ.

აი, ასეთი შიში ჩანერგვაზეა საუბარი და არა ფსიქოლოგიურ შიშზე.

როგორც აღვნიშნეთ ბავშვი პატარაობიდანვე მშობელთა ცხოვრების წესის მიხედვით ყალიბდება. ამ ასაკში ეყრება საფუძველი ღვთისადმი სიყვარულს, ლოცვას, მათ განცდებს. ამ განცდებს კი ჩვენი გულწრფელობა ბადებს. მოზარდი ყოველთვის გრძნობს უფროსების სიწრფელეს, პატარები კი გრძნობების წაკითხვის დიდი ოსტატები არიან.

საღვთო სჯულიც ბავშვებისათვის გასაგები ენით უნდა ისწავლებოდეს, ოღონდ ღრმად, თუ ეს ასე არ მოხდა, მათ ცნობიერებაში ქრისტიანული მოძღვრება და რეალური ყოფა ერთმანეთისაგან გათიშული აღმოჩნდება.

უნდა ჩატარეს ინტეგრირებული გაკვეთილები ქართულ ლიტერატურასა და საღვთო სჯულში. მათემატიკასა და საღვთო სჯულში. ბუნებისმცოდნეობასა და საღვთო სჯულში და ა.შ. ბავშვები მივიყვანოთ იმ დასკვნამდე, რომ რასაც მართლმადიდებლობა მოგვიწოდებს, ეს მარტო თეორია, ან მეცნიერება კი არ არის, არამედ ყოველდღიური ცხოვრებაა. ამ აზრის განმტკიცებაში ხელს შეგვიწყობს წმინდანთა ცხოვრების გაცნობა.

მოთხრობაში „ნერგი“ გოგია მოწიწებით უვლის თუთის ნერგს, რომელიც პაპა თომამ ჩააბარა. უეცრად ქარი ამოვარდა. გოგიამ სახლში შეირბინა, პაპას ჩასძინებოდა მოერიდა გაღვიძება. უცებ მოხუცის გვერდით რკინის წვეტიან ჯოხს მოჰკრა თვალი, ხელი სტაცა და ეზოში გააქანა. თუთის ნერგს შეუყუდა ქარს რომ არ წაექცია.

ამ მოთხრობას დავუკავშირებ წმ. ტიხიან ზადონელის სიტყვებს ბავშვებისათვის გასაგები ენით. ავუხსნი, რომ ისინი ჩვენთვის ნერგები არიან.

აი, რას ამბობ ტიხონ ზადონელი: „მეზაღე ნერგებს მიწაზე გამაგრებულ სარზე ამაგრებს, რათა ქარმა თუ ავდარმა, არ წააქციოს და არ წარწყმიდოს, ხოლო უვარგის ტოტებსა თუ ყლორტებს აცილებს გახმობისაგან გადარჩენის მიზნით. ასევე მოექეცით ბავშვებს, მიაბით მათი გული ღვთის შიშს, რომ არ შეარყიოს ეშმაკის მანქანებმა, და არ დაატოვებინონ კეთილმსახურება, ამოძირკვეთ მათში ჩასახული ვნებები, რადგან გაიზრდებიან და დაიმონებენ მათ და ჩაკლავენ მათში ახალ სულიერ კაცს, რომელიც ნათლისღებით იშვა, ხომ ხედავთ თუ როგორ იზრდება ბავშვის ფიზიკურ ზრდასთან ერთად მასში ჩასახული ცოდვებიც და რომ ეს ნაბარტყი არ გაიზარდოს, არ გამყარდეს და არ დაღუპოს ახლად განბანილი, განსპეტაკებული და გამართლებული ადამიანი, აუცილებელია ხანგრძლივი წრთვნა და ხშირი შეგონება. ბავშვებიდან ხომ მისი აღზრდის და მიხედვით, თანაბრად შეიძლება ეშმაკი ან ანგელოზი ჩამოყალიბდეს, რადგან აღზრდის კეთილი თესლი მომავალ სიკეთეთა საწინდარია. და რომ თვით უფალი იყოს ჩვენი შემწე და წარმმართველი ამ კეთილშობილურ საქმეში, საჭიროა ხშირი და მხურვალე ლოცვა, რათა აღიზარდნენ შვილნი ჩვენნი „სწავლითა და მოძღვრებითა უფლისაითა“ (ეფ. 6,4).

ძველ აღთქმაში ზნეობრივი თვისებები ხშირად სამოსელთანაა შედარებული. ზნეობა ჩვენში ხორცის ანუ სხეულის, სამშვინველისა და სულის სამოსია.

სხეულის მოძრაობასაც კი კონტროლი უნდა გავუწიოთ. უნდა შეგვეძლოს მოზარდის მოზღვავებული ენერგიის მართვა, ბავშვების სიცელქის გამიჯვნა ზღვარგადასული სიცელქისაგან, რაც შეიძლება თანდათან თავხედობაში, უხეშობაში და სადიზმში გადაიზარდოს. სიცელქის ზომიერება ბავშვს შრომას აჩვევს, სიდარბაისლეს უყალიბებს, ეჩვევა გრძნობების მართვას. პატარობიდანვე უნდა მივაჩვიოთ ტკივილის ატანას, სიძნელეთა გადალახვას. ამით სული გამოიწრთობა, რაც ხორცზე გამარჯვების საწინდარია.

სულს სამი უმთავრესი ძალა აქვს: 1) გონება, 2) ნება და 3) გული.

1) გონებრივი აღზრდა პატარობიდანვე უნდა დავიწყოთ ლაპარაკის სწავლებასთან ერთად. უნდა განვუმარტოთ რა არის კარგი და რა ცუდი. ბავშვი ქცევის ჩვევებსაც კი ჩვენგან იძენს ყველაფერს აკვირდება, ყველაფერს იტაცებს კეთილისა და ბოროტის განურჩევლობის გამო, ამიტომ აქვე უნდა განვუმარტოთ რა შეიძლება გააკეთოს და რა არა. ავუხსნი, რომ ზოგჯერ ადამიანს უწევს საკუთარი ნება-სურვილის შეზღუდვა. მოვუყვები რა მოჰყვა ადამისა და ევას საქციელს, რომლებმაც არ დაუჯერეს ღმერთს. ისინი იმიტომ კი არ დაისაჯნენ, რომ აკრძალული ხილი შეჭამეს, არამედ იმიტომ რომ ღვთის ნება-სურვილს აღუდგნენ წინ.

ამ მაგალითით მოზარდს უნდა გამოვუმუშაოთ მოთმინების უნარი, ავუხსნათ თუ ისინი მოთმინებას და ზომიერებას დაიცავენ ჭამის დროს, მთელი სიცოცხლის მანძილზე თავისუფლად მართავენ თავიანთ გრძნობებს. ამასთან დაკავშირებით განვიხილავთ მასალას „ბევრზე ბევრი“, „მსხალი“, „მგელი და ძაღლი“ – მგელი ნებისყოფას იჩენს და არ აჰყვება ცდუნებას. შიმშილი და თავისუფლება არჩია მონურ ყოფაში განცხრომას. „მოუთმენლობის მსხვერპლი“ - მგზავრმა წყურვილს ვერ სძლია, ვერ გაუძლო ცდუნებას. დაეწაფა წყალს და სიკვდილს ძლივს გადაურჩა. მას არ ჰქონდა გამომუშავებული ნებისყოფა, არც უფროსების რჩევა გაითვალისწინა. დედის, უფროსის რჩევა ყოველთვის საყურადღებოა. მოთხრობა „უსუნო ყვავილში“. დედა შვილს ურჩევს ცუდი მეგობრებისაგან თავის დაცვას. როგორც უსუნო ყვავილი გახდა სურნელოვანი, ასე მოგვეცემა ჩვენც მადლი ყოველი წმინდა საგნებით, ხატებით, ეკლესიური ცხოვრებით.

სრულიად საწინააღმდეგო შედეგს იძლევა სულის გაუფრთხილებლობა. სულის ხორციელი ვნებებისადმი დაქვემდებარება. მოზარდის სულის ხორციელი ვნებებისადმი დაქვემდებარება მაშინ ეყრება საფუძველი, როდესაც ბავშვის ნებისმიერ ნება-სურვილს დაუფიქრებლად ვასრულებთ. მოზარდს უნდა ავუკრძალოთ ტელეეკრანით მისთვის შეუფერებელი გადაცემების ყურება. მოსწავლეებს ავუხსენი: დაუკვირვით, როგორ მიეცა უსუნო ყვავილს ვარდის სუნი. ასევე შეიძენთ მანკიერ თვისებებ თუ არ მოერიდებით ტელეეკრანით ჩხუბის, ძალადობის, ბიწიერების ყურებას. ბავშვისათვის გასაგები ენით ავხსნი, რომ: მანკიერი მხარეები ფოტოგრაფიის მსგავსად აღიბეჭდება ჩვენს ცნობიერებაში. მკვიდრდებიან ჩვენი სულის ყველაზე ფარულ ადგილებში და მოგვიანებით, ადამიანის დაზიანებული ფსიქიკის ჯერ გამოუკვლელი კანონების მიხედვით ამოიჭრებიან თავ-თავიანთი სამყოფელებიდან. ამის გამო მომრავლდება უკანასკნელ ხანს უჩვეულო მოულოდნელი დანაშაულობები.

ამბობენ, რომ ადამიანის სულსა და ცოდვას შორის არსებობს გარკვეული გზა. ადამიანი ამ გზას მისდა უნებურად გადის, როდესაც თვალით ნანახ ცოდვას გაითავისებს. ის უნებლიედ იმეორებს ამ ცოდვას. თუკი მშობელს შესთავაზებენ მისი შვილი წაიყვანოს სასეირნოდ იმ ბაღში, სადაც გარყვნილებაა, შეიცხადებს და შეურაცხყოფად მიიღებს, მაგრამ იგივე მშობელი ტელევიზიით თავის შვილთან ერთად მშვიდად უყურებს ამ გარყვნილებას, ტერორს, ძალადობას

და ათას მანკიერებას. ეს მოქმედებს მოზარდის ზნეობაზე და თუ დროზე არ იქნა მიღებული ზომები. შეიძლება ბავშვმა სრული სულიერი დეგრადაცია განიცადოს. თავდაუზოგავად უნდა ვიზრუნოთ ბავშვის სულიერი ამაღლებისათვის, სული როდესაც ნათელია, გულიც თავისუფალია. გულს ხომ დიდი უნარი აქვს შეიგრძნოს ყოველივე. ამიტომ უნდა გავუფრთხილდეთ მოზარდის გულს, გრძნობებს, გული ხომ ღვთის სავანეა. ტაძარში ყოფნა გაწმენდს მათ გულებს და აღავსებს სიკეთით. იგავი „ანთებული სანთელი“ (მთ. 5,18).

„სანთელს რომ ანათებენ, ხვიმირის ქვეშ არ დგამენ, არამედ სასანთლეზე, რათა გაუნათონ ყველას, ვინც შინ არის“.

იესო ამ იგავით მიმართავს მოწაფეებს, ადარებს მათ ანთებულ სანთელს და დასძენს: „ასევე ბრწყინავდეს თქვენი ნათელი კაცთა წინაშე, რათა იხილონ მათ თქვენი კეთილი საქმენი და ადიდებდნენ თქვენს ზეციურ მამას (მთ. 5,26).“ „გონიერი და უგონო მშენებლები“ (მთ. 7,24-27; ლკ. 6,47-49) „ყველა ვინც ჩემს სიტყვებს ისმენს და ასრულებს, კეთილგონიერ კაცს ჰგავს, რომელმაც სახლი კლდეზე ააშენა.

მოვიდა წვიმა, გადმოხეთქეს მდინარეებმა, დაჰქროლეს ქარებმა და ეკვეთნენ სახლს, მაგრამ სახლი ვერ შეარყიეს, რამეთუ კლდეზე იყო დაფუძნებული“.

თეოფილაქტე ბულგარელი განმარტავს ამ იგავს: კლდე არის ქრისტე, ხოლო სახლი – სული. თუ კაცი სულს ქრისტეს მცნებათა აღსრულებაზე ააგებს, მას ვერ დაარღვევს ვერც წვიმა, – ვგულისხმობ ეშმაკს, ვერც მდინარე-მავნე ხალხი, ვერც ქარები – ბოროტი სულები.

უგონოა ის ვისაც რწმენა აქვს, მაგრამ კეთილ საქმეებს არ აღასრულებს. ასეთი კაცი სახლს ქვიშაზე აშენებს და თანაც დამპალი მასალით. ამიტომაც დაეცემა ეშმაკის ცდუნებით.

მაშ, მარტო ღმერთის რწმენა არ გვიშველის თუ კეთილი საქმეები არ ვაკეთეთ. ამ იგავით განვამტკიცებ ბავშვებში რწმენას, რომ სიკეთის კეთება აუცილებელია, რასაც გამოვიყენებ ნაწარმოებების ახსნისას: „მატარებელი გადაარჩინა“ – ხიდი ჩანგრეულია, ოფლში გაწუწულმა ბიჭუნამ მგზავრები დაღუპვისაგან იხსნა, „კოჭლი კაცი“ – კაცმა საკუთარი ჯანმრთელობის ფასად როგორ გადაარჩინა ბავშვი სიკვდილს და ა.შ.

ნებისმიერმა ქრისტიანმა უნდა იცოდეს, არ არსებობს ისეთი კეთილი საქმე, რომლის აღსრულებაც არ ევალება მას. ის ვერასოდეს იამაყებს რომ გააკეთა იმაზე მეტი, რაც უნდა გაეკეთებინა. ასე რომ ლაპარაკიც ზედმეტია რაიმე ჯილდოზე. „კეთილი გული“ თამაზი, რომელმაც სიკვდილს გადაარჩინა ბავშვი, მადლობის თქმასაც კი არ დაელოდა.

სიკეთე, რომელსაც აკეთებენ, ეს არის მხოლოდ ღმერთის სამადლობელი აქტი.

„ურგები მონები“ (ლკ 17,7-10) ქრისტე ამბობს: „განა მონის მადლიერი იქნება ბატონი იმის გამო, რომ მონამ მისი ბრძანება შეასრულა? ვფიქრობ არა. ასევე ხართ თქვენც, როცა მხოლოდ იმას აკეთებთ, რაც გევალებათ და ამბობთ: „ურგები მონები ვართ, რადგან მხოლოდ მოვალეობა მოვიხადეთ“.

„ურგები მონა“ იყო ბერიკაცი, რომელიც სხვაზე ფიქრობდა, როცა მსხალს ამყნობდა. თვითონვე ამბობს: „შეიძლება ამის ნაყოფს მე ვეღარ მოვესწრო, მაგრამ სხვები მოესწრებიან“. არც მაია და მზია ფიქრობდა ჯილდოზე, როცა მოხუცს ეხმარებოდნენ. ბავშვებს შევახსენებ, რომ ვინც სიკეთეს აკეთებს განძს, საუნჯეს აგროვებს ზეცაში.

იგავი „ძვირფასი მარგალიტი“ (მთ. 13.45-46)

ცათა სასუფეველი იმ ვაჭარსა ჰგავს, რომელიც ძვირფას მარგალიტს დაეძებდა და როდესაც იპოვა, წავიდა, ყველაფერი გაყიდა, რაც ებადა და ის მარგალიტი შეიძინა.

თეოფილაქტე ბულგარელი ამბობს: ვაჭარი მარგალიტს ზღვაზე უნდა დაეძებდეს. ზღვა არის – აწყმო ცხოვრება. ვაჭრები ისინი ვინც დაძრწიან და დაეძებენ რაიმე ცოდნას. მარგალიტი ეს მრავალ ბრძენთა აზრებია, მაგრამ მათგან მხოლოდ ერთი არის ძვირფასი, ერთი ჭეშმარიტი – ქრისტე. შევიძინოთ ეს მარგალიტი ნიშნავს, შევიძინოთ ზეციურ სამეფოში ყოფნის უფლება რწმენითა და უბიწო ცხოვრებით. აი, რას ამბობს თავად ქრისტე ქადაგებაში კაპერნაუს მახლობლად: „ნუ მოაგროვებთ საუნჯეს დედამიწაზე, სადაც მღილი და მჭამელი სპობენ მას და სადაც ქურდები თხრიან და იპარავენ, არამედ მოაგროვეთ თქვენთვის საგანძური ზეცაში, სადაც ვერც მღილი და მჭამელი შეჭამს და ვერც ქურდები ამოთხრიან და მოიპარავენ, რამეთუ სადაც შენი საუნჯეა, შენი გულიც იქ იქნება“ (მთ. 6, 19-2). ასევეა მოთხრობაში „კაცი და ოქრო“ :

– რას ტირი?

– ოქრო დავფალი, დახარჯვა არ მინდოდა, მოუპარავთ და ლოდი დაუფლავთ, მომპარავმა უთხრა: – ვაი, შენ, რასა ტირიო?

– მანდ მიწაში თუნდ ოქრო გდებია, თუნდ ქვა, თუ არ მოიხმარდიო, ვინ იცის რამდენ ხანს აგროვა ოქრო!

სულ სხვა განძი მოაგროვა იაკობ გოგებაშვილმა. მისი საუნჯე სხვებისათვის გაწეული სიკეთე იყო. „იაკობ გოგებაშვილის ცხოვრების ეპიზოდები“ თვითონ ხელმოკლედ ცხოვრობდა. ეხმარებოდა გაჭირვებულებს, სტუდენტებს. სიკვდილის წინ იაკობმა 13.000 მანეთი შესწირა განათლების საქმეს, დანარჩენი ფული გაუნაწილა თეატრს, ჟურნალს და ნათესავებს.

იაკობ გოგებაშვილს თავის თავზე უფრო უყვარდა მოყვასი „შეიყვარე მოყვანი შენი ვითარცა თავი შენი“ (ლევ. 19.18.27.6,5).

იგავი „გულმოწყალე სამარიტელი“

„ერთი კაცი იერუსალიმიდან იერიქონს მიდიოდა. ყაჩაღები თავს დაესხნენ, გაძარცვეს, დაჭრეს და დააგდეს ცოცხალ-მკვდარი. შემთხვევით ერთმა მღვდელმა გამოიარა იმ ადგილას, დაჭრილი რომ ნახა, გვერდი აუარა, ასევე მოიქცა ლევიტელიც. შემდეგ ერთმა სამარიტელმა გამოიარა. დაჭრილი რომ დაინახა, შეიბრალა, მივიდა, ჭრილობები შეუხვია, ზეთი და ღვინო დაასხა, შესვა თავის სახედარზე ქულბაქში მიიყვანა და მოუარა იმ ღამეს. მეორე დღეს ორი დინარი აიღო და მექულბაქეს მისცა თან უთხრა: „დაჭრილს მოუარე და თუ ეს ფული არ ეყოფა, უკან რომ გამოვივლი, კიდევ მოგცემ“. იუდეველმა ჰკითხა : „ვინ არის ჩემი მოყვასი?“ სამარიტელი, რომელიც რელიგიური და ეროვნული მტერი იყო იუდეველის, როგორც პიროვნება, შესაძლოა მისი მოყვასი გამხდარიყო. თავად აპასუხებინა ქრისტემ იუდეველს: „ეს არის ჩემი მოყვასი, ვინც წყალობა გამოიჩინა“.

მოყვასი იყო მეფისთვის „იოთამ ზედგენიძე წევს იოთამი მეფის ქვეშაგებში. ელის მკვლელებს და თან ავედრებს ღმერთს საქართველოს, მეფეს, თავის შვილებს“ (IV კლ).

მოყვასი იყო ცოტნე დადიანი - „ჩემი ამხანაგები უდანაშაულონი არიან. უდანაშაულოთა დასჯა თუ შეიძლება, მეც მათთან ერთად დამსაჯეთო“. მისმა თავდადებამ იხსნა მამულიშვილები.

გავიხსენოთ „გლეხი ბოსტაშვილი“ ქიზიყელმა გლეხმა ბოსტაშვილმა მიართვა მეფეს ცხენი და მოახსენა: „ჩემი სიკვდილი არაფერია, შენი დაღუპვა კი ქვეყანას უბედურებას მიაყენებსო“.

ამ ნაწარმოებებში გარდა მოძმის სიყვარულისა, სამშობლოსადმი თავდადებაც ჩანს.

პატრიოტული მოტივი გაშუქებულია ძველ აღთქმაშიც და ახალ აღთქმაშიც.

მოსე წინასწარმეტყველი მხურვალედ ლოცულობდა ღმერთის წინაშე, ევედრებოდა მშობელი ერის გადარჩენას. ბოლოს აღმოხდა: „უკეთუ არა, აღმხოცე მეცა წიგნისა მისგან, რომელსა დამწერე“. შეისმინა უფალმა მოსეს ვედრება, არ გაწყვიტა ერი მთლიანად.

ახალ აღთქმაში პავლე მოციქული ამბობს: „აწ უკუე, ვიდრე ჟამი გუაქუსლა, ვიქმოდით კეთილსა ყოველთა მიმართ, ხოლო უფროისად სახლეულთა მათ მიმართ სარწმუნოებისათა“.

ამრიგად, ქრისტიანობა პატრიოტულ გრძნობას არ უარყოფს.

საქართველოს დაცვისათვის სამსახური წმიდათაწმიდა მოვალეობაა (ყველა კლასში უხვადაა სამშობლოსადმი თავდადებაზე, „რუქნადინის დამარცხება“, „დავით აღმაშენებელი“, „300 თავდადებული გლეხი“ და ა.შ.).

დღეს მომრავლდა ოჯახები, რომლებიც სხვადასხვა სექტებში არიან გაერთიანებული და ქრისტეს VI მცნების „არა კაც ჰკლა“ მოტივით უარს ამბობენ სამშობლოს დაცვაზე. როდესაც საპროგრამო მასალის შესწავლისას მოზარდს შევასწავლით ბიბლიასაც და გავუმარტავ, რომ აპოკალიფსში წერია: „ომი იყო ზეცაში (აპოკ. XII-7)“. როდესაც მთავარანგელოზებმა მიქაელმა და გაბრიელმა ანგელოზებთან ერთად ღმერთის მოღალატე ეშმაკი გადმოაგდეს ციდან, მოზარდი დაფიქრდება ომზე. სწორად ჩასწვდება ომის არსს „არა კაც ჰკლა“, როდესაც დაიწერა ეს მცნება, ისრაელი უზენაესის ბრძანებით ამარცხებდა მტერს.

მაშ, იკრძალება დამპყრობლური ომი და არა, სამშობლოს დასაცავად ბრძოლა!

„სოფელი იმად არა ღირს კაცი ნატრობდეს ჟამს გრძელსა,
თუ ფუჭი მისი სიცოცხლე, ვერარას არგებს მამულსა.“

სამშობლოსათვის სიკვდილი სახელოვანია. სამშობლოს დასაცავად როდესაც გიწევს მტრის მოკვლა, ამას ღმერთი გპატიობს. მაგრამ არ ეპატიება ადამიანს მოყვასის მოკვლა. მოთხრობა საღვთო ისტორიიდან „კაენი და აბელი“ და „კაენის დასჯა და სეითის შობა“.

ღმერთმა იცის, რომ მოკლა კაენმა აბელი, მაგრამ უნდა სინანულში ჩავარდეს და ეკითხება: „კაენ, სად არის შენი ძმა?

კაენმა არ მოინანია და ამიტომ არ აპატია ღმერთმა.

ღმერთი მიმტევებელია, თუკი ვაღიარებთ ჩვენს ცოდვებს„ ამაში ჩვენი სინდისის ხმა დაგვეხმარება. სინდისის ხმა ხომ ადამიანის სულში მცხოვრები ღვთის ხმაა. ღმერთი გულთამხილველია. სინდისმა შეაწუხა სანდრო „სირცხვილის აშორება“ – ნათლიდედ, გეთაყვა, ნუ გეწყინება თქვენს ვენახში 4 ვაშლი მოვწყვიტე.

სანდრო შინ სინდისდამშვიდებული დაბრუნდა.

აპატია დიასახლისმა სანდროს.

„ …და მომიტევენ ჩვენ თანანადებნი, ვითარცა ჩვენ მიუტევებთ თანამდებთა მათ ჩვენთა...“ (მამაო ჩვენო), როგორც ჩვენ მიუტევებთ, ჩვენც ისე მოგვიტევებს ღმერთი.

მიმტევებელი აღმოჩნდა ივანე, როდესაც მეზობლის ხბო მის ბოსტანში შეიპარა. შერცხვა მეზობელს. მიმტევებელია ელამი კატო, რომელმაც ყველაზე მეტი თანაგრძნობა გაუწია ნინოს.

„ჭეშმარიტი მოძღვარი“ გაბრიელ ეპისკოპოსმა დალოცა ავაზაკი და აპატია ძველი ცოდვები. გავიდა რამდენიმე წელი, ავაზაკი მასწავლებლად იქცა – აი, რა ძალა აქვს მიტევებას. “სიტყვის ძალა“. უცხოელმა მათხოვრის ტანსაცმელი ჩაიცვა და მოტყუებით წაართვა ცხენი. ცხენის პატრონმა სთხოვა არავისთვის ეთქვა რა ხერხით წაართვა ცხენი, თორემ გაჭირვებულს აღარავინ დაეხმარებოდა – ყველას შიში ექნება, არ მოტყუვდეს, ისე როგორც მე შენ მომატყუე – უთხრა ცხენის პატრონმა.

– შურმა დამაბრმავა და მართალ გზას ამაცდინა, მაგრამ შენმა სიტყვებმა კეთილ გზაზე დამაყენა, თვალი ამიხილა, გთხოვ მაპატიო შეცდომა! უთხრა მატყუარამ და ცხენი დაუბრუნა. ერთმანეთი გადაკოცნეს და მეგობრები გახდნენ. აპატია ცხენის პატრონმა.

რომ გაპატიონ, უნდა აღიარო დანაშაული!

იგავი: „ძე შეცდომილი~.

ერთ კაცს ორი ძე ჰყავდა. უმცროსმა უთხრა: „მამა მომეცი ჩემი წილი ქონება“. მიატოვა მამა და წავიდა. გაფლანგა მთელი ქონება, ბოლოს საჭმელიც კი ენატრებოდა. მეორე შვილმა არ მიატოვა მამა იცავდა ღვთის მცნებებს. გავიდა ხანი. ძე შეცდომილი, რომელმაც მამა მიატოვა გონს მოეგო, გაჭირვებამ, შიმშილმა გაუნათა გონება, გადააწყვიტა მამასთან დაბრუნება „მამა ვცოდე ცის მიმართ და შენს წინაშე, თუმცა აღარ ვარ იმისი ღირსი, რომ შენი ძე მერქვას, მაგრამ მოჯამაგირედ მაინც დამიყენე“ – უთხრა მამას.

მამამ აპატია. „უძღები შვილი“ მიხვდა თავის შეცდომას და მოინანია.

ის შვილი, რომელიც გოდორს უწნავდა მამას, რათა კლდეზე გადაეგდო. ვერ ხდება თავის შეცდომას, ვიდრე მამა არ შეახსენებს.

„ვიცი, ვისთვისაც გინდათ, მაგრამ ისეთი დაწანით, რომ თქვენს შვილებსაც გამოადგეთ“ – შვილები გონზე მოვიდნენ და მაშინვე ხელი ანებეს ამ საქმეს.

მშობლების პატივისცემისაკენ მოგვიწოდებს ღმერთი მეხუთე ცნებაში.თუ გინდა, რომ დღეგრძელი იყო და პატივი გეყოს, პატივი ეცი მამასა და დედასა შენსაო.

ამის მიხედვით ავხსნი ნაწარმოებებს „დედაშვილობა“. „მოსიყვარულე შვილები“, – გურამს ახსოვს ავადმყოფი დედა.

„მისაბაძი მაგალითი“ – თამრიკო და მერაბი შინ დედაზე ადრე დაბრუნდნენ, ყველაფერი თავის ადგილზე შეინახეს. როდესაც დედა სამსახურიდან დაბრუნდა, მან ღიმილით გადახედა მაგიდას. გახარებულმა ორივე შვილს შუბლზე აკოცა.

მათ უთქმელად გააკეთეს საქმე.

იგავი: „ორი ძე“ (მათე 21-28-30).

ერთ კაცს ორი ძე ჰყავდა. მივიდა პირველთან და უთხრა: „შვილო, წადი დღეს და ჩემს ვენახში იმუშავე“. მან უპასუხა: „არ მინდა, ბოლოს კი ინანა, მამას რომ უარი უთხრა და წავიდა“.

მივიდა მამა მეორესთან და იგივე უთხრა. მეორე ძე დაჰპირდა წავალო, მაგრამ არ წავიდა. ამ იგავში მამა არის ღმერთი, მასაც გაეხარდება თუ ღმერთის საქმეს გავაკეთებთ და მარტო „ჰოთი“ არ ამოიწურება ჩვენი რწმენა.

არ უნდა ვიზარმაცოთ. სიზარმაცე ყოველგვარი ცოდვის დასაწყისია. ყოველი დღე ისე უნდა იცხოვრო, თითქოს უკანასკნელია.

იგავი: „ფხიზელი მონები“

„არიან კაცნი, რომელიც თავიანთი ბატონის დაბრუნებას ელიან. . . თუ ძალიან დაიგვიანა და მონებს მაინც არ ეძინებათ მისი მოსვლისას, ნეტარება მათ“.

ეს იგავი გვაფრთხილებს: „იესოს მოსვლის დრო და საათი არავინ იცის და როცა ის მოვა თავისი დიდებით, უნდა შეხვდეთ რწმენით“.

მაშ, ყოველთვის მზად უნდა ვიყოთ. არ უნდა ვიზარმაცოთ. არ უნდა გადავდოთ ეკლესიური ცხოვრების დაწყება, რათა პირნათელი წარვდგეთ ქრისტეს წინაშე.

მოსწავლეებს განვუმარტე, რომ მათი უპირველესი ამოცანაა სწავლა. ღმერთმა თითოეულ ადამიანს მოჰმადლა ნიჭი და ამის გამოყენება უნდა.

განვიხილავ ნაწარმოებებს „თხა და გიგო“, „ყმაწვილები ჭალაში“, „ლუარსაბ თათქარიძე“.

განვმარტავ მამაო ჩვენოს... პური ჩვენი არსებობისა – აქ მხოლოდ ხორციელ საზრდოზე არაა ლაპარაკი, იგულისხმება სულიერი საზრდოც, ცოდნაც.

ჩვენი ერის მამა – ილია მართალი – ცოდნას ღვთისნიერ წინამძღოლს უწოდებდა.

„სიღარიბის უებარი წამალი“ – სიტყვა ილია ჭავჭავაძისა, გლეხებისადმი მიმართული სოფ. წინამძღვრიანთკარში სამეურნეო სასწავლებლის გახსნის დროს.

ცოდნა სიღარიბის უებარი წამალია, მაგრამ საშიშია სწავლული, რომელსაც ღვთის შიში და რწმენა არა აქვს, მას დიდი ბოროტების მოტანა შეუძლია კაცობრიობისთვის.

„უფრთხილდით მარტო მეცნიერების შესწავლას, როგორც ამას აკეთებდი წინათ. ისწავლე ამქვეყნიური კანონები ერთი თვალით, მეორე კი დაუცხრომელად მიაპყარ საკუთარ ნათელს, ერთი ხელით გამოიძიე ბუნება, მეორეთი კი როგორც ბავშვს მამის კალთა, გეპყრას ბოლო ღვთის სამოსელისა“ (ამპერი).

სპენსერი წერდა: „ნამდვილი მეცნიერება და ნამდვილი სარწმუნოება ტყუპი დებია“. მათი განცალკევება და ერთმანეთისაგან ჩამოშორება ორივეს სიკვდილს ნიშნავს.

ამიტომაა, მეცნიერული მწვერვალებისაკენ მიმავალ გზას რელიგიურად განსწავლული და ზნეობრივად ამაღლებული ადამიანი უნდა დაადგეს.

ზნეობის პრინციპები, საღვთო სჯულის შემეცნებით განმტკიცებული „კლდეზე აშენებულ სახლს მოგვაგონებს“.

სინანულისა და სიყვარულის ნაზავი - ზღაპარი

მრისხანება ყინულის ეტლით დაბრძანდებოდა. დაბრძანდებოდა და მის ნაკვალევზე ყველაფერი იყინებოდა. ბევრი იარა, ქვეყანა შემოიარა და ბოლოს ერთ დიდ ყინულის მთად იქცა. სად იყო და სად არა, ყინულის დედოფალიც გაჩნდა. ამ მთაზე სიცივემ დაისადგურა, ისე ციოდა, რომ თავად ყინულის დედოფალსაც შესცივდა. მზერა მოავლო არემარეს და მოგონებები მოეძალა. უცება კაბაზე დახადა. ყინულის კაბაში ჯერ კიდევ მოჩანდა გაყინული ყვავილები, რომლებსაც ფერადოვნება ეკარგებოდათ. ზოლებად კი გაყინული მდინარეები დასდევდა.

დედოფალს მოსწონდა ფერები და მის მრისხანებას დარდი შეეპარა. რაც უფრო უფერულდებოდა მისი კაბა, რაც უფრო ქათქათდებოდა მით უფრო იპყრობდა დარდი. დარდი ნელ-ნელა სინანულში გადაუვიდა. ნანობდა ყვავილები ყინულად რომ იქცნენ, იქნებ უკეთესი იქნებოდა კაბის კალთაზე ცოცხლად დაებნია. ვინ იცის?

ერთ ლამაზ, მშვენიერ დღეს ყინულს სინანულმა ცრემლი მოჰგვარა და ჩამოუგორდა. იმ ცრემლის ადგილზე უცებ სიყვარულის სხივმა დაივანა.

სიყვარული ელაპარაკებოდა, აქებდა მინდვრის ყვავილებს და ჰოი საოცრებავ, ყინულმა დნობა დაიწყო.

სიყვარულმა გაათბო, მთელს ტანში დაუარა, წყლად გადმოიღვარა. წყალი მდინარეს შეურთდა. ადიდდა მდინარე და დედამიწას გადაეღვარა. მიწის გულში ჩააღწია.

სიყვარულისა და სინანულის ნაზავმა ახალ სიცოცხლედ, ახალ სიყვარულად ამოხეთქა, მოედო ქვეყნიერებას ყვავილებად, კვირტებად და მოვიდა გაზაფხული.

გაზაფხული სხივებად გაიშალა, სხივებზე დაიტია

დაუტევნელის სასოება და მოლოდინი კაშკაშა ნათლისა, – იმ ღვთიური ნათლისა, რომელიც ზემოდან მზესავით იფრქვევა.
– ყველგან და ყველაფერში აღწევს.
– თითოეულის გულში ჩაიღვარა და სიყვარულად აანთო!
გაზაფხულმა ულამაზესი დღესასწაული იდღესასწაულა!
ქრისტეს აღდგომა მოგვილოცა და ადიდა შემოქმედი!

გამოგზავნილი ღვთისაგან



უფლის კაცი დაიფარე
მზეო, მზეო თიბათვისა,
ლოცვის მადლი ეწეოდეს
ხევის, ბარის, მთის და ზღვისა.
სიწმინდე გვიყვარს მისი თვალების,
გულის სარკის გამომძახილი!
ის ზრუნვა გვიყვარს,
უანგარო მართლის ძახილი.
ის ლოცვა გვიყვარს
შეწირული მსხვერპლად, ზვარაკად,
შთამომავლობას რომ წაუძღვება
ღვთისკენ არაკად.

ის მადლი გვიყვარს
ღმერთს რომ შესთხოვს
კაცთა მოდგმისთვის.
ის გული გვიყვარს
ერთარსობის
არსის დამცველი!
ის გული გვიყვარს,
ღვთის შექმნილის
კაცთა მოდგმის სიყვარულის
გრძნობის დამტევი!
ის კაცი გვიყვარს
ღვთისგან რჩეული,
დედოფლისგან გამორჩეული!

* * *

შემხვედრი მოძღვრის თვალებიდან როცა სიწმინდე იმზირება,
მაშინ სხეულის ფსკერზე სიხარული იძირება,
ილექება, ძარღვებში გადადის, იტოტება,
მოიცავს ყოველივეს და... სულად გაქცევს.
ასე სულად ქცეული სხვას ვეღარაფერს ამჩნევ,
არაფერი არაფრად მიგაჩნია და ისევ იმ თვალებზე ფიქრობ.
ისევ იმ სიწმინდეს ელი და გრძნობ, ეს სულიწმინდის
მზერა იყო, სულიერი მოძღვრის თვალებით გიმზერდა და გეალერსებოდა.
ღმერთო მიმრავლე ეს გრძნობა.

სტეფანწმინდა - ილია თეზბიტელის სახელობის მამათა მონასტერი

ღმერთსა და კაცთა შორის იჯდა მამა ეგნატე. ტყის პირას იჯდა უფლის ჭურჭული. ნათელი თვალებით, მოწყალებით გვიმზერდა და მადლს გვიგზავნიდა.
გვიგზავნიდა კურთხევას!
სიყვარულს გვინაწილებდა და თავადაც უფრო მომეტებული სიყვარულით ივსებოდა...
თუ არ გაეცი, როგორღა აღივსები ნეტავ...
აი საიდუმლო, ჩასაწვდომი და ამოსახსნელი მარადიული!

გერგეტის მადლო, წმინდა სამებავ,
ჩვენი გულები მადლით გიპყრია.
მზერა მოგვმადლე, კალთა გვაფარე
ძეს შეგვავედრე ოდიგიტრია.

ცისკრის ვარსკვლავი ვიხილე შენით
და მყინვარწვერი განათებული
ჩემს საქართველოს შემოგავედრებ
მუდამ ვილოცებ გულანთებული.

* * *

სულის წრთვნა მაშინ იწყება, მარტო რომ რჩები ამქვეყნად, გარშემო მჩქეფარე ცხოვრება...
შენც ამ მჩქეფარე ცხოვრებაში ხარ ჩაფლული, ოჯახის ფერხულში ჩაბმული უყურებ შენი გენის გაგრძელებას და მაინც მარტო ხარ, გაკლია სისავსისათვის ნაწილი და მთელი ცხოვრება ესწრაფვი შერწყმას. ეძებ შენს ნაწილს, რადგან უიმისოდ მარტო ხარ დედამიწაზე. ამ ძიებაში ილევა ცხოვრება. ხვდები ის ნაწილი და სისავსე მხოლოდ ზეცაშია. სიმარტოვეს ზეცით გადმოსული ნათელი გისხივოსნებს, სასოებით გმოსავს და ზიარებით გაწყვილებს უფალთან!

* * *

ბედნიერებას დაეძებ?
უფალშია
გაძლევს ლუკმას
სულს რომ შია.
ლუკმას ღვთისას,
ლუკმას ცისას,
მარადიულ სიცოცხლისას.
აგავსებს და დაგაპურებს
წაგიძღვება მშვიდსა ყურეს.
სად ვიპოვო ნეტარება?
გულის კართან,
უფლის კრავთან,
ღვთის ძის კვართთან
ქრისტეს ჯვართან,



ზიარებით მიხვალ მადლთან!
ასე ცოდვილსაც მიმიღებს?
შობის მადლი შეგეწევა
აღდგომა კი მოგცემს იმედს.
ამაღლება, სულთმოფენა
ღვთის სულს მოგფენს
მადლს გარგუნებს
სამოთხეში დაგაბრუნებს!
შემიწყალე...
დამამშვიდე მოვალ როცა,
ამიხდინე გულის ლოცვა,
ლურჯი ციდან
გადმომხედე!
მისმინე და შემასმინე!

* * *

რისთვის მოვედი?
სულის საცდელად?
იქნებ საწვრთნელად?
ჩემს გაჩენაში ნეტავ რა იდო?
ასე მგონია იმიტომ გავჩნდი
რომ უფლის ნება ბეჭებით ვზიდო!
ასე მგონია იმიტომ გავჩნდი
უსამართლობა ფეხქვეშ გავიღო.
ღვთის განაჩენი ხელზე დავიდო
ვკითხულობდე და უფალს ვმადლობდე
აღვასრულო და უსიტყვოდ ვზიდო!
ასე მგონია იმიტომ გავჩნდი
გამოვიცადო წრფელ სიყვარულში,
განგების მადლი გულში ჩავტიო
მადლია ღვთისა აქ გაჩენისა,
მადლი ქართველად დაბადებისა,
მადლი ამ ენით აღმაფრენისა
მადლი ნათლობის განაჩენისა,
ქრისტიანობით გადარჩენისა,
მადლი ღვთის შვილად მოვლინებისა,
უფლის შექმნელის ხილვა მეღირსა.
გთხოვ, ღირსი გავხდე შენი ნებისა
ვიწრო ბილიკით გადარჩენისა
სამის არსობის შემეცნებისა.
სამებამ შეჰქმნა მყარი სამ-მყარო
უფალო შენგან აღარ გამყარო.

* * *

როცა ხორცს მიწას მიაბარებ
და ზეცას სულსა,
ოდეს იხილავ
სრულყოფილს, სრულსა,
ცხოვრების აზრს,
სულის წრთვნის არსს
მაშინ ჩაწვდები.
ღმერთო მაღირსე!

* * *

ღმერთო!
ყველა ბოროტი მაცილე,
შენს კარამდე მიმაცილე!
სიკეთისკენ ფერი ვიცვალო,
ღვთისთვის გარდავიცვალო!
ხორცი მიწას,
სული ზეცას მივაბარო!
ანდერძად ღვთის დიდება დავიბარო!

არსი გაკვეთილისა

გაკვეთილი... რა არის გაკვეთილი, რას კვეთს?
კვეთს უვიცობას, სიბნელეს, უცოდინარობას და ცხოვრებაში შემოაქვს ნათელი!
რა არის ნათელი? ნათელი ცოდნაა, ცოდნა ყოველგვარი სიკეთის დასაწყისია, სიკეთე კი თავად ნათებაა, ნათელი მომავალია.
სიკეთე უსიყვარულოდ ანგარებაა. თუ სიკეთეს სიყვარულით აკეთებ, ეს უკვე ღვთიური ცხოვრებაა, რადგან ღმერთი სიყვარულია.
სიყვარული უდიდესი ძალაა, რომელიც გარშემო ყველაფერს ნათელში აქცევს.
ადამიანში შედის ნათელი. ასეთ ადამიანზე ამბობენ ნათელი ადგასო და როცა ამ ნათელს ცოდნაც ემატება – განათლებულ პიროვნებად ყალიბდება. ასეთი პიროვნება ზნეობრივად ცხოვრობს.

ცხოვრება ადამიანს გაკვეთილებს უტარებს. ცხოვრებისეული გაკვეთილები ღრმა კვალს ტოვებს ადამიანის სულზე, გროვდება გამოცდილება და ბრძენდება ადამიანი.

უბერებელი გული

გული როგორ შეიცვლებოდა მე არ მეკუთვნის, ის სიყვარულს ეკუთვნის, სიყვარული თავად უფალია, უფალი კი ყველგანაა, თქვენთანაა, გამოდის რომ ჩემი სიყვარულიც თქვენთანაა.

მე თქვენ ყოველთვის მეყვარებით, რადგან სიყვარული მარადიულია, სიყვარულით სავსე გულიც ამიტომაა უცვლელი და უბერებელი, მუდამ ბავშვივით წრფელი და სუფთა.

გულის სარკე, ჩვენი თვალები ამიტომ სიბერეშიც გამოსცემს ბრწყინვალებას და ნაპერწკლებს ისვრის სიყვარულისას.

მაშ, რა ემართება სახეს? ჩემს სხეულს? ცვდება ხორცი ამ სიყვარულის წრთობაში და ილევა თქვენს სიყვარულში!

ფიქრისა და სინდისის დიალოგი

ვფიქრობ, ძალიან ბევრს ვფიქრობ, რისთვის და რატომ? ვისთვის და რატომ? საით მიგვაქანებს დრო!

ვფიქრობ... უცებ ფიქრის დროს ფიქრი მეკითხება... და ვიძირები უსასრულობაში.

ფიქრი: რაო? რას ელი, ვის ელი, გგონია გაცხადდა ყოველი? გგონია გაითავისეს შენი გულისთქმა? გგონია სჯერათ შენი უზადო სიყვარულისა? სიყვარულისა, რომელიც მძიმე ტვირთის ზიდვაში გეხმარება! არა და არა... ტყუილად ნუ დაიმშვიდებ სინდისს!

სინდისი: მეც აქ ვარ, ფიქრო! რას მომეძალე. ყველა მეუბნება, რომ ამას გრძნობენ.

ფიქრი: სინდისო, არ დაიჯერო! გგონია წლების შემდეგ ახსოვხარ ვინმეს?

სინდისი: მინდა დავიჯერო! თუ ყველაფერი წარმავალია, მაშ რაღა შემრჩა სანაცვლოდ!?

ფიქრი: თუნდაც ის, რომ გჯერა სიკეთის და სიყვარულის!

სინდისი: დიახ, მჯერა უანგარო თვალების. მჯერა ბავშვების წრფელი სიყვარულისა.

ფიქრი: რატომ გჯერა? განა ასეთს რას გეუბნებიან ეს თვალები?

სინდისი: თვალები პირველი შეხვედრისას შიშნარევ სიხარულს, შიშნარევ მოლოდინს მაგრძნობინებენ. მოლოდინს დედობრივი სიყვარულისას. მოლოდინს ღვთის შვილის, ღვთის ხატების მსგავსის ჩემთან, ჩემს სულიერ სამყაროსთან შერწყმისას... მოლოდინს ჩემთან შეერთებისას.

ფიქრი: და შენ ამბობ, რომ უძლებ ამდენ მზერას, რომ შეგიძლია ყველას ერთნაირად მოეფერო, ყველას ერთნაირად გაუნაწილო შენი სითბო?

სინდისი: ხელებს ჩემს სულში აფათურებ! უშენოდაც სულ მაგას ვცდილობ! ჩემს წარსულში, ჩემს აზრებში დავხეტიალობ და ვეძებ სად რა შევცოდე, სად რა დავაშავე, როდის მომდრიკა ტვირთის სიმძიმემ!

ფიოქრი: მერე რას ხედავ?

სინდისი: უფრო მეტი მოთმინება უნდა მქონოდა, უფრო მეტი მიტევება უნდა შემძლებოდა, მყვარებოდა ძლიერი, ქრისტესმიერი სიყვარულით მყვარებოდა ყველა... ფიქრო შემეშვი!... ვიცი არა ვარ ისეთი როგორიც უნდა ვიყო, მაგრამ მინდა, ძალიან მინდა მდუმარება ვისწავლო! უსიტყვოდ ვზიდო ჩემი ჯვარი და გავხდე სკოლის ჭეშმარიტი მოძღვარი!. . . მაგრამ არ გამომდის!

ფიქრი: ხომ არ აზვიადებ? იცი კი რა გამოგდის და რა არ გამოგდის?

სინდისი: არ ვიცი! . . . იქნებ შენ მაინც მითხრა, ფიქრი რისი ფიქრია თუ არ იფიქრა რა უნდა ქნას ადამიანმა როცა მას ყველაზე საყვარელს, ყველაზე სათუთს და მოსაფერებელს მიაბარებენ?

გინახავს როდესმე შენსკენ მომავალი დედათა გუნდი? სათუთად ეალერსებიან შვილების პაწია ხელებს, თანდათან გიახლოვდებიან და იმ პაწია ხელებს დუმილით გადმოგილოცავენ. მრავლისმთქმელია ის დუმილი, მრავლისშემცველი და მრავლისდამტევი.

მაბარებენ თვალის ჩინს და თვალის ჩინის სულს! ... გესმის ამის მნიშვნელობა, სულ მაბარებენ აღსაზრდელად!

– დუმხარ... შენ ხომ ისედაც დუმილი ხარ!

– მაშ, კარგად დაიმახსოვრე!

ეს უნეტარესი გრძნობაა თუ კი შეისისხლხორცებ და გაითავისებ.

მაბარებენ აღსაზრდელად და მეც ვიბარებ. ვიწყებ იმათი ცხოვრებით ცხოვრებას. გავურბივარ რეალობას! ვივიწყებ ამ გაუტანელ, ცრუ წუთისოფელს და ვცხოვრობ ბავშვთა სუფთა, ხალასი, წმინდა სიყვარულით სავსე საუფლოში, ვიყურები იმათი თვალებით, დავეხეტები მათ სამყაროში მათივე სურვილებით და ფიქრებით აღსავსე, ვცდილობ მათ მივემსგავსო!

ფიქრი: ვის მათ სინდისო!

სინდისი: ბავშვებს ფიქრო, ბავშვებს!

„თუ ისე არ მოიქცევით და არ იქნებით როგორც ბავშვები, ვერ შეხვალთ ცათა სასუფეველში“. (მათე 18.3)

ფიქრი: სინდისო, თავს ხო მარ იტყუებ! შენი პატრონის ნააზრევი თანხვედრია მისი ქცევისა!

სინდისი: ფიქრო, თავი დამანებე! ისედაც სულ მაგაზე ვფიქრობ!

უპასუხა ჩემმა სინდისმა და ჩაიძირა უძირო ფიქრებში.

უფლის საუფლოში ყოფილს ნება-ნება წილად მერგო შვილად მოვლინება

უფლის საუფლოში თავისუფალი სული ჩემი ლაღობდა. უცებ, ჭურჭელში გარდამსახეს. მივხვდი, რაღაც შეიცვალა, შევიბოჭე, დავიტვირთე წარსულით, ავივსე მომავლით და ფეთქვა დავიწყე!

ჯერ მხოლოდ გული ვარ! გული ყველაფრის საწყისი და თვით უფლის მტვირთველი! უფლის, რომლის ნებითაც აქ ჩავისახე, რომლის განგებითაც მერგო ამ ადამიანების შვილად მოვლინება.

დედის წიაღში მარცვლისხელა ვარ, მარცვლისოდენა რწმენა რომ გქონდეთო, ქრისტე რომ ამბობს, იმ მარცვლისხელა!

თანდათან ვიზრდები, ვემზადები დედამიწისთვის, დედამიწისთვის, რომელსაც ერთ მშვენირ დღეს მოვევლინები.

ტირილით მოვდივარ. ტირილი ქვეცნობიერი შიშია სულისა, ჯვრის ზიდვისა, დედამიწაზე სულის გამოცდისა, სულის წრთვნისა.

ჯერ უბიწომ ვიცი ვიწრო ბილიკებით უნდა ვიარო, რომ კვლავ ნათელში დავბრუნდე, მეძნელება და ვტირი! მამშვიდებენ, სიყვარულით მანებივრებენ მშობლები და დედამიწაზე ცხოვრებას ვიწყებ! წლების შემდეგ...

• მადლობა უფალს, რომ მომავლინა ამქვეყნად.
• მადლობა უფალს, რომ ვიხილე მისი შემოქმედება.
• მადლობა უფალს იმისთვის, რომ ღირსი გამხადა ჭეშმარიტების შეცნობისა.
• მადლობა უფალს მართლმადიდებლობისთვის.
• მადლობა უფალს ქართველად რომ დამბადა და ამ ენით მამეტყველებს.
• მადლობა უფალს საღი გონებისთვის.
• მადლობა უფალს, რომ დედმამიშვილი მყავს.
• მადლობა უფალს ქმარშვილისთვის.
• მადლობა უფალს, რომ მასწავლებელი ვარ და ღვთის სიტყვის ბავშვებამდე მიტანის ნებას მაძლევს, ისე როგორვ შემიძლია და მაპატიოს თუ რამე მეშლება!
• მადლობა უფალს მეგობრებისთვის.
• მადლობა უფალს სამების ტაძრისთვის.
• მადლობა უფალს იმისთვის, რომ სიყვარული შემიძლია, მიყვარს ყველა და ყველაფერი, მთელი სამყარო.
• მადლობა იმისთვის, რომ მოძღვარი მყავს და შენსკენ სავალ გზაზე მეხმარება.
• მადლობა იმისთვის, რომ დედობა მაღირსე, თუნდაც ისეთი როგორიც ვარ, ცოდვილი დედა, შემინდე.
• მადლობა უფალს ყოველი დღის გათენებისთვის.
• მადლობა უფალს ასეთი პატრიარქის მოღვაწეობის დროს რომ დავიბადე!
• მადლობა უფალო ყველაფრისთვის.

ბედნიერი ვარ, რადგან შენი მხევალი მქვია. უფალი იესო ქრისტე შემიწყალე მე ცოდვილი.

სულის ამოძახილი

განსაცდელი – განცდად ქცეული!
განცდა – სულიერბეაში გარდასახული!
სულიერება – ქმედებაში გამოხატული!

საკუთარ განცდას ამაღლებულს, ხორცზედ გამარჯვებულს, აღზევებულს და ამავ დროს სულიერებად ქცეულს მოფრთხილება უნდა. სწორედ ასეთად ქცეული განსაცდელია შენი ამაღლების საფეხურად რომ გაგედება გულში სულის წმინდა სარკედ რომ გადაიქცევა, თვალებიდან სიწმინდედ რომ გადმოიფრქვევა. სახეზედ სათნოებად დაგეღვრება და პირნათლად წარგადგენს უფლის წინაშე ადამიანად.

ფიქრები ზიარების შემდეგ - კვირაძალი



ჩემო უფალო
ძეო ღვთისაო
სიტყვაო ტკბილო
თვალის ჩინო
გულის ლამპარო
შენ გადიდებს
მთელი სამყარო
შენ გმონებ
მთელი არსებით
სრულით
შენ მოგენდობი
წრფელითა გულით.
ამ უბადრუკი ფიქრით
მგონია მიყვარხარ,

* * *

არ მიმატოვო უფალო
არ დავრჩე სხვისა ხელადა
უშენოდ ჩემი სიცოცხლე
წავა ეულად, ძნელადა.
თუ ჩემში რამე კეთილ არს
არ მიმაჩნია ჩემადა
შენთან ყოფნა მსურს სულით.
ფიქრის, სურვილის
საქმის თანხვედრა
მწადს შენი ნებით
მაგრამ რას ვჩადი?
ვაგლახ, მაინც ვერ გამიგია
რა ვარ და ვინ ვარ!
შენს თვალში თუნდაც
მატლად თუ ვღირვარ?
შემინდე უბადრუკს
ცოდვები ჩემი
და მომივლინე
წყალობა შენი.

* * *

ყოველ წუთს შენით ვსულდგმულობ
ვარ შენი სულის ხელადა.
როს მოვკვდე საზვერეები
არ გავიარო ძნელადა...
არ მიმატოვო უფალო
არ მიმცე ბოროტსა ხელადა.

თაფლის სანთლის გამო

გარეჯელი ბერის ლოცვა
ჩუმად მოაქვს ბუჩქთა რხევას.
უდაბნოში ბერის სუნთქვით
პეპლის ფრთებიც შეირხევა.
მოძებნიან წმინდა სანთელს
მიმოფენენ ირგვლივ ნათელს
მოისმენენ მოვკვდავთ ლოცვას
ბერთან მიაქვთ, ბერს კი ზეცას.
მაშინ ღმერთი საქართველოს
ქრისტეს კვართის ნათლით მოსავს...

უცნაური გენი

დაილოცოს ქართული ჯიში და გენი. დაილოცოს ქართული სიტყვა და ქართული სიმღერა.
7 ნოტს ცისარტყელას შვიდ ფერად შლიან ქართველები და ზედ ჰანგებს ამაგრებენ.
სამი ფერით სამებას, ოთხი ფერით ოთხ თავ სახარებას აასხივოსნებენ და უფალს უგალობენ.
შემდეგ სამისა და ოთხის ისევ შეერთებით „სამ-ოთხ-ეს“ ღებულობენ.
ღმერთო შეიწყალე საქართველო და გახადე ქართველები სამოთხის მკვიდრნი.

ღვთაებრივი ცეცხლის მადლი
საქართველოს მოეფინა
ნიშნად ღმერთის დიდებისა
ხატთ მირონი დაედინა.
ნათლის სხივი დაეფინა
ყველა ტაძარს, ყველა კერას
ელიას მთას პატრიარქი
გვახარებდა ახალ ერას.
მისი ცრემლი იქცეოდა
შესაწირავ მარგალიტად
ერი, ბერი, გუგუნებდა
ქრისტე აღსდგა!
ჭეშმარიტად!

რუბრიკის ავტორი - დალი კირვალიძე-ტომარაძე
იტალიური სკოლა "ცისკარი", დაწყებითი კლასების პედაგოგი

ჩვენი სკოლის მოსწავლეებმა ლაშა ჯაფარიძემ ლექსებით და გვანცა ჩუბინიძემ ნახატით „მწყემსმთავარი“ - მიულოცეს პატრიარქს საიუბილეო თარიღი

დატირება

გოლგოთის შემდეგ ისევ გოლგოთას
კვლავ გავუყენეთ იესო ქრისტე,
ასე დაიწყო ჩვენი დაფერფვლა
ჯოჯოხეთის და სამოთხის ხიდზე.
კაცობრიობა დღეს დავიტირე...
ზეციდან მიწას დანარცხებული
სახეშეცვლილი სულები ვნახე,
ასე დამლახვრა ყველაფრის შიშმა,
რაც ჩემში ცოდვის ეკლები ვმალე.
მე-ს პიროვნება დღეს დავიტირე...
ამ ცხელი ცოდვის სულს ჩაყინული
სინანულის ხმა რად არ მახრჩობდა?!
ჩემი სული თუ ნათელი იყო
მაშ, მისი დარი რად არ დარობდა?!
ჩემი ცრემლებიც დღეს დავიტირე...

ყელში მეჭირა ის ბოლო სუნთქვა,
ცრემლის გაშრობის შემდეგ რომ ჩამრჩა,
ყოველდღე ვნახავ იმ ნაცნობ სახეს,
ნერვების მწველი ცეცხლით რომ მჭამდა.
ანგელოზებმა აქ დამიტირეს...
ასე წარვსდექი გოლგოთის შემდეგ
ღმერთს განდეგილი უნიჩბო ნავით,
ისე განმსაჯეს რომ ჯოჯოხეთში
ეშმაკი დამხვდა დახრილი თავით.
იესო ქრისტემ აქ დამიტირა...
ასე ვეწერე ხავსიან ქვაზე -
"მგლების შეჭმული უტვინო ცხვარი"!
ასე ვეჯაჭვე უგულოდ კლდეზე
და გვერდზე მერჭო სასჯელის სარი!
კაცობრიობამ აქ დამიტირა...

* * *

ნოემბრის ქარებს რად არ ვეშინი,
რად მეამება მე მათი ბერვა?
ჩემს გულზე შრამად ამოზნექილი
მომაკვდავ ფოთოლთ მიწაზე თრევა...

წვიმით, წვეთებად დაღვრილი ჩემზე
ცის დარდიანი ღრუბელთა სევდა...
გარდაუვალად მე კვლავ მიმიწევს
ჩემში გაქცეულ მუზათა დევნა!

ცაო, უსისხლოდ როგორ მერევი?
ან მაგ სილურჯით როგორღა მათრევ?
დაუსაბამოვ, მე ვერ გელევი,
შენ კი მიწიერს ზედ მზერად მკადრებ!

როს მოგებარო არმიწიერად
შტორმით, ქუხილით მე არა მშთანთქო,
შეგთხოვ, მიმიღე მე ლმობიერად,
რომ უმეცრებით მე ვეღარ დაგგმო!

მადლიერებით ფრთაგამოსხმული
ღრუბელ და ღრუბელ დავიფრენ ზეცას,
შენის სილურჯით როს დავიფერო
მაშინ ვეღირსო ზემოდან ცქერას!

ქალაქი სახლად

ჩემს ქალაქში შესვლით თურმე, ჩემს სახლში შევდიოდი,
ეს ყოფილა სახლი, სადაც ბავშვურობით ვგმირობდი,
მე აქ ვნახე მიწა, რაზეც დაჩოქილი ვტიროდი,
აქ ყოფილა ყველაფერი, რას ოდესმე ვფიქრობდი...
მცხეთის სუნი ძველისძველი, ნაომი და ნალოცი,
რატომ პატარობაშივე მე მისით არ გავვოცდი?!
რად მიწევდა გული სხვაგან, მასზე რატომ ვჯავრობდი?!
სხვაგან წასვლით მე კი თურმე, იერუსალიმს გამოვცდი!
გავიზარდე, შემიყვარდა, მე აქ არ ვიოხრები,
ნუთუ, ვპოვე მიწა სადაც სისხლით არ ვიომებდი?!
ჩემს მცხეთაში გაზრდილი ვარ - ასე მოვიგონები!

* * *

ხედავდით ჩვენში მიკარგულ გენებს,
ჩვენს ცოდვებს, როგორც თავდახრილ გედებს.
დამონებულნი დამპყრობელ სენებს
შემოვივლიდით ძებნაში ველებს...
    დავაბრალებდით ღვაწლმოსილ დედებს,
    უწვრთნელობისგან უმართავ დრეკებს,
    რწმენა შერყევით... ვერ ვარჩევთ ფერებს,
    კარგსაც და ცუდსაც მალ ვუწვდით ხელებს.
ლოცვანაკითხ და ნაწვალებ თვალებს,
ოხვრით ვიფშვნეტთ და ძვირად ვადგენთ,
ვერ ვხვდებით, რომ ჩვენ სასახლეს ვაგებთ,
მისთვის ხომ მოყვასს სისხლსაც კი ვადენთ.
    ღმერთო, მოგვეცი შენდობა, მადლი,
    რაც კი შემოგვრჩა, არარას გვარგებს,
    ხსნა ხომ შენშია, მოგვეცი აზრი,
    თორემ, ყოველი ბნელ ეჭვებს ბადებს!
მოგვეცი ძალა, რომ შევამჩნიოთ
და დავაფასოთ - რაც მხოლოდ გვარგებს!
შენი სიტყვები არ გავაბნიოთ
და ის მოვიმკათ, რაც შენით დავრგეთ!
    ღვთის სახლ-ტაძრების ზარებთა რეკვა,
    ხვალვე მსოფლიოს წვდებოდეს ერებს,
    არ მოჰკლებოდეთ იმედის ნება
    ჩვენთვის ლოცვებში გაგუდულ ბერებს!...

აწყვეტილთა

მწყემსმთავრის ეპისტოლე

სამყარო ვნახე უღმერთოს ნიღბით -
კაცობრიობის კვალი არ ეტყო,
თითქოს ცხოვრობდა ეს ხალხი ქირით
და დედამიწა მათი არ იყო!

სულები ვნახე ჯაჭვით ბოჭილი,
სისპეტაკისა მათ არა ეტყოთ,
რატომ მივაგდეთ უკვდავყოფილი,
განა ეს სული ჩვენი არ იყო?!

რად ვეტანვოდით მხეცურსა ჟინებს,
ღმერთიანობის რად აღარ გვეტყო,
რატომ ავავსეთ ეს მიწა შიშით,
განა ეს მიწა ჩვენი არ იყო?!

ტაძარი ვნახე დარაზულ კარით,
ღვთისსახლობისა მას არაეტყო,
ახლა ვუყურებთ მას მხოლოდ - თვალით,
თითქოს ღვთის სახლი ჩვენი არ იყო!

სამღვდელოებაც ვნახე უღირსი,
თუმცა არაა ეს მათი ბრალი,
რადგან როდესაც ცხვარი გყავს ურჩი
მწყემსსაც ერევა უკვალო კვალი!...

ვიხილე ხალხი - გზაწახდენილი,
არაფრისმთქმელი უმზეო სახით,
თავისი მოძმით შეშინებული
და დაუცველი თავისი თავით!

შიმშილი ვნახე, ტანჯვა და კვნესა,
მაგრამ ვერ ვნახე ამ ხალხში - ბრძოლა,
აქ დავინახე ამ ერის სახე!..
ამ ერის სახემ მეც გამასწორა!

იმედი ვიგრძენ, მაგრამ - ვერ ვნახე!
გვიან მივხვდი რომ ღირს მისი ქონა,
აქვე მივხვდი რომ ასე მცირე ვარ
და გავიხადე მეც ანაფორა!

ახლა ვნახე რომ ბრძოლის დრო დადგა
იმისთვის, რასაც არ მოგართმევენ!
- ეს არის დიდი ჭეშმარიტება
და მას გულივით ვერ წაგართმევენ!

აბჯარ ავისხი, ხმალი ავიღე
და მოვინდომე ერისთვის ბრძოლა!
ახლა კი მოდი, - კარი გამიღე,
მეფესაც უნდა მეომრის ყოლა!

ამ ბრძოლის ველზე მეფედ ვიდექი,
თავზე სინდისის გვირგვინი მედგა!
მე ღვთის წყალობით მყარად ვიდექი
ყურში მესმოდა ჩემივე ფეთქვა!

სადავეები რწმენას მიეცით!
ხმალ-მშვილდ ისარი - გიორგის ჯგრაგის!
ყველა მძინარემ ყურად მიიღოს
ეს დალოცვილი ყეფა ულაყის!

ჩვენს ბედს ვეკვეთოთ ამ კარისლეწვით,
დიდების დრონი ასე მოდიან!
რა დამარცხება, - ამ გულის ფეთქვით
თუ ფრანგული ჭრის - მტრები მოდიან!

ეს გალაშქრება არ არის ბოლო,
კიდევ და კიდევ დავლეწავთ კდლეებს!..
ეშმაკი მოვა, მაგრამ იცოდეს
მზად ვარ ღვთის სიტყვით მას
შევებრძოლო:

იმისთვის, რაც კი ზეცამ მოგვმადლა!
იმისთვის, რაც კი მამამ დაღვარა!
ბრძოლა ისე ღირს ვით ქარბორბალა
ერთი მუშტის და გულის ამარა!

დაე, ვიბრძოლოთ და გავიმარჯვოთ!
ზეციერს ვთხოვოთ, ბიჭებო, ლოცვა,
ჩვენ არაფერი არ დავინანოთ
და გვეღირსება დედაღვთის კოცნა!

ცის ტახტრევანზე მეფობს უფალი,
ღრუბლებს კვლავ ასდის ღვთიური ალი,
ღმერთო, აკურთხე ჩვენი მარჯვენა
ჩვენი ერისთვის!
სულისთვის!
ამინ!

ლაშა ჯაფარიძე, XI კლ

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

1. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II, „ეპისტოლენი, სიტყვანი, ქადაგებანი“, ტომი II, თბილისი, 1997 წ.;

2. კვინტილიანე. ორატორის დარიგებანი. წგნ. I, თ. I, თარგმ. გ. ხუხუა. თბ. 1999. №1, გვ. 8;

3. ქრისტიანობის გავრცელების ისტორია დასავლეთ საქართველოში (I-IX სს.); დის.; თსუ, თბ., 2002

4. სერგო ვარდოსანიძე, საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია 1917-1952 წწ. თბ. 2001. გამომც. მეცნიერება გვ.323 (მონოგრაფია);

5. სერგო ვარდოსანიძე, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმიდესი და უნეტარესი ილია II. თბილისი, 2008 წ

6. დეკანოზი ალექსანდრე შმემანი, ლიტურგია და ცხოვრება, ქრისტიანული განათლება ლიტურგიული გამოცდილებით, იხ., http://www.orthodoxy.ge/tserilebi/shmemani_liturgia.htm

7. „პატრიარქი “, შემდგენელი მზია კაცაძე, თბილისი, 2006;

8. მიშელ კენო, ხატი, მარადისობის სარკმელი, http://www.orthodoxy.ge/khatebi/keno/khati1.htm

9. კულტურათაშორისი კომუნიკაციები 2009 №6-7 გულნაზი ხუხუა, ლეილა შეროზია, განათლება და ბიბლია.2009. N6-10. - 2009. – 3-251 გვ.

10. საქართველოს სულიერი მისია. ზვიად გამსახურდია. ლექცია წაკითხული „იდრიატის“ ფესტივალზე თბილისში. ფილარმონია, 2 მაისი, 1990 წელი; http://saunje.ge/index.php?id=1470&lang=ka

11. ვ. გაგუა. პედაგოგიკა. თბ., 1996, გვ. 64;

12. И. Харламов. Педагогика. М. 2000., ст. 71

13. http://www.patriarchate.ge/?action=text/sinas_mtaze_datserili_locva

14. „უგალობდით უფალსა ყოველი ქუეყანაჲ'' - http://www.facebook.com/KldisubnisTsmgiorgisSakhelobisTadzari/posts/618519908173802

15. http://church.ge/index.php?showtopic=8493&st=0

www.italianschool.ge
info@italianschool.ge
https://www.facebook.com/italiantsiskari